ხელოვნება

მასწავლებლის წიგნი

II კლასი

თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯობავა, ქრისტინე ჯობავა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

მასწავლებლის წიგნი

II კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
მიერ 2018 წელს

„საქართველოს მაცნე“

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მეორე კლასის მასწავლებლის წიგნი

ავტორები
თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

მხატვრობა და დიზაინი
ქრისტინე ჯობავა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
ტელ: 232 09 78, 591 34 73 77
ელ-ფოსტა: sakmacne@gmail.com
მაღალაშვილის ქ. 5, 0178, თბილისი.

© თ. ჯალაღანია, ჯ.ჯობავა
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გამოცემის წელი 2018

ISBN 978-9941-16-681-5


პრეისტორიული ხანა 30-20000 – 3000 ძ3.ნ.
ძველი ეგვიპტე 3000 – 300 წწ. ძ3.ნ.
შუამდინარეთი 3500 – 600 წწ. ძ3.ნ.
აფრიკა 1000 ნ . ძ3.ნ.
ჩინეთი 1000 ნ . ძ3.ნ.
კოლუმბამდელი სამხ. ამერიკა 3000ნ.ძ3.ნ. – 1500 ახ.ნ
ინდოეთი 1500 ძ3.ნ.
ძველი საბერძნეთი VIII–I სს. ძ3. ნ.
ძველი რომი V ს. ძ3. ნ. – V ს. ახ. ნ. 0 (1)
ბიზანტია V – XV სს.
რომანული / გოთიკა X – XV სს.
იაპონია 1100 ახ.ნ.
აღორძინება XIV – XV სს.
ბაროკო XVI – XVII სს.
როკოკო XVII ს.
კლასიციზმი XVII – XIX სს.
რომანტიზმი XVIII – XIX სს.
აკადემიზმი XIX ს.
მოდერნიზმი XX ს.
პოსტმოდერნიზმი XX–XXI სს.

სარჩევი

შესავალი 3

შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან 4

საგნის სწავლების სპეციფიკა და მეთოდური ორიენტირები 5

II კლასის სტანდარტი (მუხლი 89) 10

დაწყებითი საფეხურის (I-IV კლ.) სტანდარტი (მუხლი 78) 13

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (შინაარსისა და მიზნების რუკა) 17

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება 24

გაკვეთილის დაგეგმვა კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიების მიხედვით 26

კომენტარები მასწავლებლის წიგნზე 30

პრაქტიკული რჩევები 31

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები 36

შეფასება 125

შეფასება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში 126

რესურსები 129

კომენტარები II კლასის ელექტრონულ რესურსზე 129

ძირითადი ტერმინები 131

დანართი. ხელოვნების ლექსიკონი 132

წერილი მასწავლებელს

მოგეხსენებათ, რომ შემოქმედებითი უნარისა და შესაბამისი ცოდნის მქონე მასწავლებელს, სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, სამეცნიერო ფაქტებზე, საკუთარ გამოცდილებასა და იდეებზე დაყრდნობით, შეუძლია შექმნას მოღვაწეობის საკუთარი სისტემა, გადააქციოს თავისი საგნის სწავლება საინტერესო, მდიდარ და ღრმა პროცესად, გახადოს მოსწავლეთა საქმიანობა მრავალფეროვან, შემოქმედებით და პრაქტიკულად დამაჯერებელ საქმედ.

დღეს მეტად მრავალფეროვანი და მრავალპლანიანი სახელმძღვანელოები, მეთოდური გზამკვლევები, ნაბეჭდი და ელექტრონული მასალები არსებობს, რაც გავლენას ახდენს წამყვანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და აღზრდის მეთოდების შერჩევის პროცესზე და საგანმანათლებლო საქმიანობის ფორმის ორგანიზებაზე. ვინაიდან ნებისმიერი სასკოლო პროგრამა უნდა იყოს ორიენტრებული ბავშვის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე, მის მიერ სამყაროს ესთეტიკური აღქმის განვითარებაზე, შემოქმედებით თვითგამოხატვასა და ხელოვნებით გატაცების მეშვეობით ცხოვრებისადმი ინტერესის ფორმირებაზე, ხელოვნების მასწავლებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ იქნება ორგანიზებული შემოქმედებით-პედაგოგიური პროცესი, თუ რა შინაარსის და ფორმის მიხედვით მოახდენს იგი გავლენას შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

მეთოდური სახემლძღვანელო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების მასწავლებლისთვის. ის აწვდის მას საგნის სწავლების საფუძვლების უფრო სიღრმისეულად აღქმის და შემოქმედებითად გამოვლინების საშუალებას, გაკვეთილის დაგეგმვის სპეციფიკას, მის რეჟისურას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხატოვან-ემოციურ დრამატურგიას. მოცემული მასწავლებლის წიგნი – გზამკვლევი – ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს პედაგოგებს იმ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მუშაობისთვის, რომლებსაც პედაგოგიური მეცნიერება სასწავლო პროცესისგან ითხოვს.

მეთოდიკა, რომელსაც ეყრდნობა ეს გზამკვლევი, უმცროსკლასელების შემოქმედებითი განვითარების კონკრეტულ გზებს იკვლევს მათი კომპლექსური აღზრდის პროცესში. იგი მოიცავს ხელოვნების სულიერი ფასეულობების, მშობლიური ბუნების სილამაზის, არსებული გარემოს გათავისებასა და ასევე მოსწავლეების მიერ მთელი რიგი უნარების ათვისებას სახვითი, დეკორატიული და კონსტრუქციული საქმიანობის სფეროებში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნების სხვადასხვა დარგების კომპლექსურ გავლენას მოსწავლის გონებაზე, რაც ხელს უწყობს უმცროსკლასელებში ემოციური გამოხმაურების ფორმირებას არსებულ გარემოსა და ხელოვნების ზნეობრივ-ესთეტიკურ შინაარსზე.

ბუნებრივია, რომ ყოველ მასწავლებელს შეუძლია, თავად შეარჩიოს შემოთავაზებული მასალები, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს გაკვეთილის შინაარსს და მის სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების რეალიზებას.

უმცროსკლასელები ხელოვნებასა და გარემოს თავისებურად აღიქვამენ, რაც აისახება როგორც მეთოდიკაში, ასევე გაკვეთილების სტრუქტურაში. აღქმის სფეროში საქმიანობის მრავალფეროვნება (საუბრები ბუნების, ხელოვნების შესახებ, ბავშვთა ნამუშევრების განხილვა, ლიტერატურული თუ მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა) პედაგოგის მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება, მოსწავლეთა მზაობის და წინამდებარე გამოცდილების ხასიათის გათვალისწინებით.

დაწყებით ეტაპზე მოსწავლის ცოდნისა და უნარების თანმიმდევრული განვითარება ემსახურება მის მიერ ხელოვნების ცხოვრებასთან კავშირის სრული გაცნობიერების მთავარ პრინციპს. მხატვრული ცოდნა, შესაძლებლობები და უნარები არ წარმოადგენს გაკვეთილის ერთადერთ თვითმიზანს, რადგან ისინი შედის ფართო აღმზრდელობით კონტექსტში, რასაც პედაგოგებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ყოველ კონკრეტულ გაკვეთილზე, რათა არ დაირღვას პიროვნების მხატვრული განვითარების პროცესი.

ბავშვებში მხატვრული ენის გამომსახველობის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად ძალიან მნიშვნელოვანია ის კავშირები, რომლებიც სათავეში უდევს სახვით, დეკორატიულ და კონსტრუქციულ საქმიანობას. ხაზის, ფერის, ფორმის, მოცულობის და სილუეტების ხასიათი თანმიმდევრულად განიხილება სახვით, დეკორატიულ და კონსტრუქციულ დავალებებში, რაზეც განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება.? ამის გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია წინასწარ მოამზადოს საჭირო მასალა სახვითი ხელოვნების გაკვეთილებისთვის, მით უფრო, რომ ოპტიმალური მასალის თავად პედაგოგის მიერ გაკეთებული შემოქმედებითი არჩევანი ყოველთვის მიზანშეწონილია.

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დარგი, მიზნად ისახავს არა მარტო პროფესიული მხატვრული უნარ-ჩვევებისა და სპეციალური ცოდნის მიღებას, არამედ, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მოსწავლის პიროვნებისა და მისი შესაძლებლობების ყოველმხრივ განვითარებას, რათა მომავალში იგი გახდეს საზოგადოების წარმატებული და სასარგებლო წევრი. სწორედ ამ მიზნისაკენ სწრაფვამ განაპირობა განათლების თანამედროვე პარადიგმის[1] იმ ძირეული პრინციპების წარმოქმნა, რომლებსაც, თავის მხრივ, ეყრდნობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების II კლასის მასწავლებლის ეს წიგნი.

ეს პრინციპებია:

- **შედეგზე ორიენტირება** – მნიშვნელოვანია არა ათვისებული ინფორმაციის ოდენობა, არამედ მისი ხარისხი და მისი გამოყენების უნარი.
- **მოსწავლეზე ორიენტირება** – სწავლება ეფექტიანია მაშინ, როდესაც პროცესის ცენტრში იგულისხმება მოსწავლე, გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური მონაცემები, ცოდნა და გამოცდილება, აღქმისა და აზროვნების თავისებურებანი.
- **ინტეგრირება** – სწავლა-სწავლების პროცესი კომპლექსური ხასიათისაა და სასწავლო საგანთა შორის კავშირთა გამოვლენას ემყარება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მსოფლშეგრძნების მთლიანობის ჩამოყალიბებას, უქმნის მათ წარმოდგენას სამყაროს ერთიანობასა და მოვლენათა ურთიერთკავშირზე.
- **ინტერაქტიურობა** – სწავლება ემყარება დიალოგს სწავლის პროცესის მონაწილეთა შორის (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე), რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას გაკვეთილის მსვლელობაში, მოტივაციის ამაღლებას, სტიმულს აძლევს დამოუკიდებელ აზროვნებას და ავითარებს კომუნიკაციის უნარს.
- **ეგზისტენციალურობა** – სწავლების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს არა მარტო მოსწავლის ინტელექტს, არამედ მის ხატოვან აზროვნებას, შემოქმედებით ფანტაზიას, ემოციურ სფეროს და სხვ.

---

[1] განათლების პარადიგმა – ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში ტერმინი „პარადიგმა" გულისხმობს ერთიან კონცეპტუალურ სქემას, პრობლემათა დასმისა და გადაწყვეტის, კვლევის მეთოდებისა და თეორიების ერთობას, რომლებიც გარკვეული დარგის ზოგად საფუძველს წარმოადგენს. ტერმინი „განათლების პარადიგმა" პირველად იხმარა ბ. ბიტინასმა ნაშრომში „მრავალგანზომილებიანი ანალიზი პედაგოგიკასა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში", 1971.

შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან

განათლების თანამედროვე პარადიგმის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირია მისი შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან. მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც წარმოადგინა 1987 წელს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიამ გ. ჰ. ბრუნდტლანდის ხელმძღვანელობით, დამტკიცებულ იქნა, როგორც განვითარების გლობალური სტრატეგია, 1992 წელს, გაეროს რიო დე ჟანეიროს კონფერენციაზე.

მიჩნეულია, რომ მდგრადი განვითარება ნიშნავს თანამედროვე თაობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ძირითადი შემადგენელი ელემენტები, რომლებსაც ეყრდნობა მდგრადი განვითარების კონცეფცია, წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ხედვის გაერთიანებას როგორც დღევანდელი, ისე მომავალი კეთილდღეობის მიზნების განხორციელებისთვის. დღეს პრაქტიკულად მთელს მსოფლიოში აღიარებულია შეხედულება, რომლის შესაბამისადაც მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში მთავარი როლი ენიჭება სწორედ განათლებას, რომელსაც გაეროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში პირდაპირ უწოდებენ „ცვლილებების გადამწყვეტ ფაქტორს“.

განათლება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული აღზრდის ფაქტორი დიდწილად განსაზღვრავს მომავალი თაობების მსოფლმხედველობას და აზროვნების წესს. შესაბამისად, ის ეკოლოგიური აზროვნების საწყისები და სოციალური ქცევისა და შეხედულებების ნორმები, ისევე, როგორც ეკონომიკურ სფეროსთან ნაწილობრივ დაკავშირებული ელემენტარული წარმოდგენები, უნდა ყალიბდებოდეს საწყის ეტაპზევე და, აქედან გამომდინარე, უმცროსი კლასებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს.

რასაკვირველია, სახვითი ხელოვნების სწავლებას დაწყებით საფეხურზე თავისი სპეციფიკა გააჩნია. შესაბამისად, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა უნდა ხდებოდეს როგორც ასაკობრივი, ისე საგნობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის წიგნი მჭიდროდაა დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრინციპებთან სწორედ ამ სპეციფიკის საფუძველზე. შესაფერისი მარტივი აქტივობების მეშვეობით მოსწავლე ეცნობა გარემოს და ცხოველთა სამყაროს, შეიტყობს ბუნების დაბინძურებისაგან დაცვის და მეორადი

მასალების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, ეცნობა ხელოვნებაში ოჯახის ასახვის თავისებურებებს, ითვისებს გაკვეთილზე ქცევის წესებს და თანაკლასელებთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის წესებს, სწავლობს შემოქმედებითი საქმიანობის მეშვეობით (ხატვის, ძერწვის და ა.შ.) საკუთარი გრძნობებისა და აზრების გამოხატვას და ა.შ. (მაგალითად, გაკვეთილები: 9. ქუჩა ჩვენს ქალაქში, 17. ფოთლის არსებები, 32. დინოზავრები, 39. იალქნიანი ნავები ზღვაში, 41. გაზაფხული და ვინსენტ ვან გოგი, 42. რას ვაჩუქებთ დედას? 44. რას დახატავ ეზოში – დედამიწის დღე და სხვ.).

საგნის სწავლების სპეციფიკა და მეთოდური ორიენტირები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლების პრაქტიკა ათასწლეულთა წინ ჩაისახა, მაგრამ XIX ს-ის შუახანებამდე იგი პროფესიული ოსტატობის დაუფლებით შემოიფარგლებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ ესთეტიკური აღზრდის ისეთი კორიფეების მოღვაწეობის შედეგად, როგორებიც იყვნენ ჯონ დიუი და ვიქტორ ლოუენფელდი ამერიკაში, ჰერბერტ რიდი და ალბერტ ნორტონ უაითჰედი ინგლისში, ლევ ვიგოტსკი რუსეთში და ა.შ., ყურადღება გამახვილდა სწორედ ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე – შემოქმედებითობისა და აღქმის უნარის განვითარებაზე, თვითგამოხატვის საშუალებებზე, ხელოვნების გზით პიროვნული თვისებების სრულყოფაზე, ხელოვნების მეშვეობით ფსიქიკის გაჯანსაღების (არტთერაპიის) საკითხებზე, ხელოვნების, როგორც ინტელექტის განვითარების საშუალებაზე და სოციალური ადაპტაციის ხერხზე და ა.შ. სწორედ ამ თეორიულ საფუძველზე შეიქმნა მოცემული სახელმძღვანელო.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი გათვალისწინებულია ესთეტიკური აღზრდის პროცესის ხელშესაწყობად და გასაიოლებლად და არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად მოსწავლისა და მასწავლებლის შემოქმედებითი სწრაფვის დამუხრუჭებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია სწავლების პროცესში შეცვალოს ნებისმიერი აქტივობა (შეცვალოს დავალების ფორმა, მასალა, ტექნიკა), თუ იგი შესაფერის მიზან-შედეგობრივ კავშირს ემყარება, აგრეთვე შეცვალოს გაკვეთილის მსვლელობისას თეორიული და პრაქტიკული აქტივობების ხვედრითი წილი, საჭიროებიდან გამომდინარე გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული საილუსტრაციო მასალა და სხვა

რესურსები ან მოიშველიოს სხვა შესაფერისი რესურსები (რეპროდუქციები, ფოტოები, სურათები, სტატუეტები და სხვ.). ეს ასპექტი ხაზგასმულია თვით მოსწავლის სახელმძღვანელოშიც.

ხელოვნების სწავლება არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე ფორმით ან მეთოდით – იგი მრავალმხრივი და მრავალგვარია. წამყვანი როლი ენიჭება **შემოქმედებითი (დივერგენტული[2])** სწავლების მეთოდს. მისი გამოყენებისას პრიორიტეტულია მოსწავლის დამოუკიდებლობის, ინდივიდუალურობის და ინიციატივის განვითარების ხელშეწყობა, შემოქმედებითი უნარისა და წარმოსახვის სტიმულირება, სიახლისა და გამოგონებათა სიყვარულის წაქეზება.

ამ მეთოდით მუშაობისას ძალზე მნიშვნელოვანია **დიფერენცირებული მიდგომა**, დიფერენციაციის სტრატეგიების მოშველიება. მასწავლებელი უნდა იცნობდეს ყოველი მოსწავლის შესაძლებლობებს და სწავლის სტილს და გაითვალისწინოს ეს სწავლების პროცესში. შესაძლებელია დიფერენციაცია ორი ხერხით: 1) დავალების ან 2) შედეგის მიხედვით. პირველ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს სხვადასხვა, მათი მომზადებისა და უნართა შესაფერის დავალებებს აძლევს, მეორე შემთხვევაში დავალება იგივეა, მაგრამ სხვადასხვაა მოსალოდნელი შედეგი, რომელსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ.

სახვითი ხელოვნების სწავლებისას დიდი როლი ენიჭება აგრეთვე **კვლევით** მეთოდს, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა მიერ შემოქმედეიბითი ამოცანის დამოუკიდებელ გადაწყვეტაზე. მისი ფორმებია ექსპერიმენტი, ცდა და ა.შ. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს ცოდნის დამოუკიდებელ მოპოვებში აღმოჩენის გზით. ამ მეთოდის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს დასახული ამოცანის რეალურად მისაწვდომ ხასიათს და დიფერენცირებულ მიდგომას.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ხშირად გამოიყენება სახვითი ხელოვნების სწავლებისას და ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედების განვითარებას, არის **ევრისტიკული[3]** მეთოდი. იგი გულისხმობს მოსწავლის მიერ პრობლემური ამოცანის გადაჭრას მასწავლებლის დახმარებით, როდესაც მისი შეკითხვა ნაწილობრივ შეიცავს პრობლემის გადაწყვეტას ან მის ეტაპებს. ყველაზე უკეთ ამ მეთოდის რეალიზება შესაძლებელია ინტერაქტიული საუბრის მეშვეობით.

---

[2] ფსიქოლოგიაში სამეცნიერო ტერმინი „დივერგენტული" (ლათ. divergere – გაშლა) აღნიშნავს შემოქმედებით მეთოდს, რომელიც პრობლემათა და ამოცანათა გადაჭრისას იხმარება და მოიცავს ისეთ ხერხებს, როგორიცაა *გონებრივი იერიში* და *მეხსიერების რუკა.*

[3] ევრისტიკა (ბერძნულად – აღმოვაჩენ, მოვიძიებ) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის შემოქმედებითი საქმიანობის თავისებურებებს.

შემოქმედებითობის განვითარებას ნაკლებად ემსახურება **ახსნით-ილუსტრაციული** და **რეპროდუქციული** მეთოდები. პირველი გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას ბავშვისთვის, თხრობას, თვალსაჩინოების დემონსტრირებას, რაც უფრო ხშირად სწავლების პირველ ეტაპზე იხმარება და ძირითადად მეხსიერებას ავითარებს. მეორე გულისხმობს რაიმე მოქმედების მრავალჯერად გამეორებას (რეპროდუქციას). მისი ფორმებია: ერთტიპური სავარჯიშოები, მსგავს დავალებათა შესრულება, განვლილი მასალის გამეორება და ა.შ. ეს მეთოდი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებისთვის არის საჭირო.

წიგნში მოცემული მასალა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, საჭიროების მიხედვით გამოიყენოს ზემოხსენეული მეთოდები სასწავლო მიზნების განხორციელებისათვის.

მოცემული თემატიკა და აქტივობები შერჩეულია საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით. მისი მიზანია, სრულად მივაღწიოთ იმ შედეგებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამივე მიმართულებით. (პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეათა განვითარება, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია, ხელოვნების აღქმა კონტექსტში).

მუხლი 89. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამები

II კლასი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ს.გ.II.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ჩანაფიქრისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენტისა და პრინციპის, მასალისა და ტექნიკის გამოყენება ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის ნამუშევრებს შთაბეჭდილებებით და წარმოსახვით;
- იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს (სქელს და წვრილს, სწორს, ტალღოვანს, ტეხილს, წყვეტილს, ზიგზაგს, მრუდეს, კონტურს);
- იყენებს ძირითად და შედგენილ ფერებს;
- ქმნის და იყენებს ორ (2D) და სამგანზომილებიან (3D) ფორმებს (გეომეტრიულს და ბუნებაში არსებულს);
- განმეორებადი ხაზებით, ფორმებით და ფერით ქმნის რიტმულ გამოსახულებებს;
- შერეული მასალითა (ბუნებრივი და ხელოვნური) და სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით ქმნის ნამუშევარს (აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა და სხვა);

- ძერწავს გეომეტრიულ ფორმებს, ქმნის მარტივ კომპოზიციებს და მცირე პლასტიკის ნიმუშებს თიხისა და პლასტილინის გამოყენებით;
- სხვადასხვა მასალით ამზადებს ნივთებს, კონსტრუქციებს, სათამაშოებს და სხვა;
- იღებს სხვადასხვა ფაქტურას (ქსოვილით, კბილის ჯაგრისით, ფუნჯის ტარით, სავარცხლით და სხვ.);
- კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ხატავს/გამოსახავს სხვადასხვა ტიპისა და სისქის ხაზს, კონტურს, მარტივ (ორგანზომილებიან) ფორმებს, რიტმულ გამოსახულებებს, იყენებს სხვადასხვა ფერს.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.II.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- მუშაობს წყვილში/ჯგუფში საერთო ნამუშევრის შესაქმნელად, უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს;
- უსმენს მასწავლებლის ინსტრუქციას, რჩევას/მითითებას;
- მონაწილეობს საკლასო და სასკოლო გამოფენაში;
- მხარს უჭერს თანაკლასელებს სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებაში მონაწილეობისას ან ერთობლივი ნამუშევრის შექმნისას.

ს.გ.II.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის გამოთქმა საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრების შესახებ ელემენტარული ტერმინოლოგიის გამოყენებით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ინდივიდუალური ან ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს და ხსნის, რისი ასახვა სურდა;
- უზიარებს თანაკლასელებს საკუთარ შთაბეჭდილებებს სხვისი ნამუშევრის შესახებ;
- საუბრისას იყენებს ელემენტარულ ტერმინებს (ხაზი, ფერი, ფორმა);
- უსმენს და აცდის სხვებს აზრის გამოთქმას;
- უფრთხილდება (არ აზიანებს) საკუთარ და სხვის ნამუშევარს.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.II.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმა (აღმოჩენა) გარემოში და დაკავშირება ხელოვნების კონკრეტულ/შესაბამის დარგებთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ჩამოთვლის ხელოვნების დარგებს (მხატვრობა, მუსიკა, კინო, თეატრი და სხვ.), იხსენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში სად და რა სახით შეხვედრია, საუბრობს საკუთარ შთაბეჭდილებაზე;
- საუბრობს ხელოვნების დარგებზე იმის მიხედვით, თუ რომელ გრძნობის ორგანოებზე მოქმედებენ ისინი;
- საუბრობს სხვადასხვა დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებზე (კომპოზიტორი, მხატვარი და ა.შ.);

- ასახელებს არქიტექტურულ ძეგლებსა და ქანდაკებებს, რომელიც უნახავს და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას (რომელი მოსწონს და რატომ);
- საუბრობს საოპერო, საბალეტო, თეატრალურ წარმოდგენებზე, სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე და ახალ ინფორმაციაზე;
- საუბრობს და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მისთვის ნაცნობ საყვარელ ანიმაციურ და მხატვრულ ფილმებზე, ელექტრონულ საგანმანათლებლო თამაშებზე, ილუსტრირებულ წიგნებზე და საუბრობს, რატომ მოსწონს ესა თუ ის ანიმაციური თუ მხატვრული ფილმი, გმირი, მუსიკა/სიმღერა, ილუსტრაცია;
- ამოიცნობს ხელოვნების ნიმუშებში ნაცნობ სიუჟეტებს, სცენებს, საგნებს და მოვლენებს, საუბრობს ნამუშევრის შინაარსზე და მიღებულ შთაბეჭდილებაზე.

შინაარსი და რეკომენდაციები

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები

ელემენტები:

ხაზი: სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური, განსხვავებული სისქის კონტური.

აქტივობები ხაზით:

მოსწავლე იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს გამოსახულების შესაქმნელად, ჩანაფიქრის და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად. აკვირდება ხაზებს - „ბუნებაში არსებულს“ და ადამიანის მიერ შექმნილ ნივთებში (მაგ., დაფა, მერხი, ფანჯარა და ა. შ. - ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური ხაზი და ა.შ.) და იყენებს გამოსახულების შესაქმნელად. სხვადასხვა ტიპის ხაზის განმეორებით ქმნის რიტმულ გამოსახულებებს.

ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცისარტყელას ფერები.

აქტივობები ფერით:

მოსწავლე ჩანაფიქრის გადმოსაცემად იყენებს ძირითად (წითელი, ყვითელი, ლურჯი) და მათი შერევით მიღებულ შედგენილ ფერებს (მწვანე, ნარინჯისფერი, იისფერი), გარემოში ამოიცნობს და იყენებს ცისარტყელას ფერებს. აკვირდება და შეარჩევს ასახული ობიექტის ფერს, გამოხატავს შესაბამისი ფერით დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთს, წელიწადის დროს და სხვა.

ფორმა: მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, მაგ., ღრუბელი, ყვავილი და ა. შ., ბრტყელი და მოცულობითი - 2D და 3D.

აქტივობები ფორმით:

მოსწავლე მისთვის ნაცნობ გარემოში (საკლასო ოთახში, ქუჩაში თუ ბუნებაში) ამოიცნობს გეომეტრიულ (მაგ., წრეს, ოთხკუთხედს, სამკუთხედს) და ბუნებრივ (მაგ., ყვავილი, ღრუბელი, ხე და სხვა) ფორმებს. ამ ფორმებს იყენებს ნამუშევარში გამოსახულების შესაქმნელად (მაგ., წრის, ოთხკუთხედი, სამკუთხედი ფიგურის, ორნამენტების და სხვა). ორ და სამგანზომილებიან - ბრტყელ და მოცულობით ფორმებს იყენებს მარტივი

კონსტრუქციების შესაქმნელად (მაგ., მის მიერ გამოძერწილი სხვადასხვა ზომის ოთხკუთხედის, წრის, სამკუთხედისაგან ქმნის თოვლის ბაბუის, ჯამბაზის, სახლის და სხვა გამოსახულებებს; სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოლოფებისაგან ქმნის ნაგებობებს). ასახავს გარემოში არსებული ობიექტის ფორმას ნამუშევარში (მაგ., პეპელა, ჩიტი, სოკო და სხვა).

პრინციპები: რიტმი.
გამოყენებული პრინციპი:
მოსწავლე ქმნის რიტმულ გამოსახულებებს სხვადასხვა ტიპის ხაზის, სხვადასხვა ფერისა და ფორმის განმეორებით ან მათი კომბინაციით.

მასალა და იარაღი: ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ფლომასტერი, გუაში, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, ფუნჯები, დაჭმუჭნული ქაღალდები, ლითონის, მუყაოს, პლასტმასის კოლოფები, გირჩა, ტოტი, ხის ქერქი, ფოთოლი, მარცვლეული, ნიჟარა, მძივები, ლენტები, მაკრატელი, წებო და სხვა

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
გამოყენებული მასალა და ტექნიკა:

აქტივობების დროს მოსწავლე იყენებს მრავალფეროვან მასალას, იარაღს, ტექნიკას და პროცედურას; მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობების ძიება/აღმოჩენაში მოსწავლე მარტივი ექსპერიმენტებით განიმტკიცებს და იღრმავებს მიღებულ ცოდნას და გამომუშავებულ უნარებს. სხვადასხვა მასალისა და ხერხის გამოყენებით იღებს მრავალფეროვან ფაქტურას (ქსოვილით, ფუნჯის ტარით, სავარცხლით და სხვ.) აკეთებს ანაბეჭდს (მაგ., მუყაოსგან/პენოპლასტისგან ამოჭრილი სხვადასხვა ფორმის ან გამოსახულებების, კარტოფილის ან ლიმონის გამოყენებით);
ატარებს ექსპერიმენტებს არატრადიციული იარაღით და მასალით; იყენებს ფანქრებს, ფლომასტერებს, პასტელს, ნახშირს, გუაშის საღებავებს, ფუნჯებს, ფერად ქაღალდებს, მუყაოს, ქსოვილს, დაჭმუჭნულ ქაღალდებს, ლითონის, მუყაოს, პლასტმასის კოლოფებს, გირჩას, ტოტს, ხის ქერქს, ფოთოლს, მარცვლეულს და სხვა; იყენებს ხატვის, აპლიკაციის, კოლაჟის, ანაბეჭდის, მოზაიკის ტექნიკას და სხვა.

სავარაუდო თემები: “ზაფხულის არდადეგები”, “მეგობრობა”, “სოფელი შემოდგომაზე”, “შემოდგომის ნატურმორტი”, “ახალი წლის ღამე”, “ზამთრის პეიზაჟი”, “შობა”, “აღდგომა”, “ბუნება გაზაფხულზე”, “ცირკში”, “ზოოპარკში”, “ჩემი ეზო”, “ჩემი ქალაქის მოედანი”, “ფანტასტიკური ქალაქი”, “საყვარელი გმირი”, თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით და სხვა.

მუხლი 78. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დარგის პედაგოგიურ პოტენციალს მისი თვალსაჩინო-სახეობრივი ბუნება განსაზღვრავს. უმცროსკლასელებში, მათი ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო-პრაქტიკული აზროვნება და სამყაროს ემოციური აღქმა სჭარბობს, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია აღმოჩენაზე, კეთებაზე, დაკვირვებაზე დაფუძნებული აქტივობა, რასაც კარგად მიესადაგება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის სპეციფიკა.

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების სწავლება ძირითადად ბავშვის ემოციური და შემეცნებითი სფეროს, შრომითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას ემსახურება.

მიმართულებების აღწერა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება სასწავლო გეგმის მიხედვით სამი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია;
3. ხელოვნების აღქმა კონტექსტში.

სწავლება ყველა მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

1. **შემოქმედებითობა და პრაქტიკა**

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ჩართულნი არიან შემოქმედებით საქმიანობაში, ახდენენ მრავალფეროვანი იდეების გენერირებას *(იდეების წყარო მრავალფეროვანი უნდა იყოს (მაგ. წარმოსახვა, საკუთარი ფანტაზია, გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებები, სხვა საგნებში გავლილი მასალა, ზღაპრები, პოეზია ლიტერატურული ნაწარმოებები საბავშვო ბიბლია, მოთხრობები, ადაპტირებული მითოლოგია - ქართული, ძველბერძნული, ძველი აღმოსავლეთის; იგავ-არაკები, საბავშვო ლიტერატურის ილუსტრაციები, ზღაპრული, მითოლოგიური, ბიბლიური, მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები და სიუჟეტები, ცნობილ ხელოვანთა ან თანატოლების ნამუშევრები, მხატვრული, ანიმაციური ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები; საკონცერტო, თეატრალური, საცირკო წარმოდგენები, ადგილობრივი და ოჯახური სადღესასწაულო ტრადიციები და სხვა).* მიმართავენ თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმას, ქმნიან ნამუშევრებს წარმოსახვით, ფანტაზიით, ასახავენ გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს, განწყობილებებს და სხვ. ამისთვის მოსწავლეები ეუფლებიან ხელოვნების მოცემული დარგის ელემენტებს, პრინციპებს, გამომსახველობით ხერხებს, ეცნობიან სხვადასხვა ტექნიკას, მასალასა და იარაღს. შედეგად, მოსწავლეებს უღვივდებათ ცნობისმოყვარეობა, აღმოჩენისა და სიახლის ძიების სურვილი, უვითარდებათ წარმოსახვა და პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი.

შემოქმედებითობის გასავითარებლად და დასახული მიზნების განსახორციელებლად მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი სტრატეგიები და აქტივობები, რომლებიც გამოხატვის მრავალფეროვანი გზების, საშუალებებისა და მიდგომების ძიებაზე, ექსპერიმენტებსა და

აღმოჩენებზე იქნება დაფუძნებული. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები და გამოცდილება, მისცეს მას განსხვავებული იდეების წამოყენებისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება (მაგ. თავად შეარჩიოს თემა, სიუჟეტი, მასალა, ტექნიკა და სხვ.).

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეებს აგრეთვე უვითარდებათ აღჭურვილობის მოტანა-მოწესრიგების, დროის ლიმიტის, კლასში მოქცევის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვის, სამუშაო ადგილის, საკლასო ოთახის მოწესრიგების უნარები; ჩართულნი არიან შრომით საქმიანობაში (მაგ. მონაწილეობა ეზოს დასუფთავება-გალამაზებაში, დაზიანებული ნივთებისა და სასკოლო ინვენტარის (წიგნი, რუკა) აღდგენა და სხვ.).

2. კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ ხელოვნების ნაწარმოების გაგებასა და შეფასებას, მის შესახებ აზრის ჩამოყალიბებას, ხელოვნების, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების, გააზრებას. ეჩვევიან საკუთარი ჩანაფიქრის ნათელ და მკაფიო განმარტებას *(მოსწავლემ საუბრისას სწორად უნდა შეძლოს ტერმინების გამოყენება, ადეკვატურად რეაგირება მასწავლებლის კომენტარზე, ასევე რჩევისა და მითითების გაგება და შესრულება. მას უნდა ესმოდეს ტერმინის მნიშვნელობა, უნდა შეეძლოს საკუთარი სიტყვებით ახსნა, თუმცა არ მოეთხოვება ტერმინის განმარტების დაზეპირება)* და სხვისი აზრის გულისყურით მოსმენას, უვითარდებათ შეფასებისა და თვითშეფასების უნარები.

მოსწავლეებს ასევე უვითარდებათ სოციალური და საკომუნიკაციო უნარები, ეუფლებიან გუნდური მუშაობის მეთოდებს (წყვილში/ჯგუფში ერთობლივი მუშაობა, სხვადასხვა სამუშაოს შესრულების დროს ერთმანეთთან თანამშრომლობა, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, განსხვავებული აზრის მოსმენა/გათვალისწინება, ინიციატივის გამოჩენა და სხვ.).

ამ მიმართულების ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა. მოსწავლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიონ უმცროსკლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვა.

3. ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ქართული და მსოფლიო ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს *(დაწყებით კლასებში მოსწავლეს არ მოეთხოვება ნანახი ხელოვნების ნიმუშის სათაურის და ავტორის ვინაობის ცოდნა, თუმცა, თანდათან მაინც უნდა შეძლოს ზოგიერთი მათგანის დასახელება, რათა ნელ-ნელა შეეჩვიოს ხელოვნების ნაწარმოებთან ურთიერთობას)* უძველესი დროიდან დღემდე და ხალხურ შემოქმედებას, არკვევენ მათ შინაარსს, დანიშნულებასა და როლს საზოგადოების ცხოვრებაში. აკავშირებენ მათ ყოველდღიურ რეალობასთან და საკუთარ გამოცდილებასთან, ეცნობიან მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს.

მოსწავლეებს უვითარდებათ სამყაროს ესთეტიკური აღქმის, დაკვირვებისა და მისით ტკბობის უნარი. ამისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს გარემოში ხელოვნებისა და მისი

ელემენტების მრავალფეროვნების აღქმასა და გააზრებაზე *(მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება უნდა გაამახვილებინოს იმაზე, თუ სად და რა სახით შეხვედრიათ ხელოვნება, მისი გამოვლინება ყოველდღიურ ცხოვრებაში (ილუსტრირებული წიგნები, სათამაშოების დიზაინი, ანიმაციური ფილმები, მუზეუმებში და გალერეებში არსებული ხელოვნების ნიმუშები და სხვ.)).*

I-IV კლასების სტანდარტი

ა) მისაღწევი შედეგები IV კლასის ბოლოს

ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს.გ.დაწყ.(I).1.:**

„ს.გ.“ - მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„დაწყ“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი	
შედეგების ინდექსები	**სტანდარტის შედეგები**
	1. მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა
ს.გ.დაწყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთა-ბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.
ს.გ.დაწყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.
	2. მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია
ს.გ.დაწყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.
ს.გ.დაწყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.
	3. მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში
ს.გ.დაწყ.(I).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმა გარემოში და საკუთარი დამოკიდებულებისა და შთაბეჭდლების გამოხატვა.
ს.გ.დაწყ.(I).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასა და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

ბ) შინაარსი

სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; განსხვავებული სისქის კონტური, შტრიხი); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, ტონალობა - თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი); ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, ბრტყელი და მოცულობითი - 2D და 3D).

სახვითი ხელოვნების პრინციპები: რიტმი, ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა.
ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, მონოტიპია და სხვა.
სარეკომენდაციო მასალა და იარაღი: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო და სხვ.
სახვითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
სახვითი ხელოვნების ჟანრები: ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი და სხვ.

მასწავლებლის წიგნის შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული თემატიკა და აქტივობები შერჩეულია საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით. მისი მიზანია, სრულად მივაღწიოთ იმ შედეგებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამივე მიმართულებით (პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეათა განვითარება, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია, ხელოვნების აღქმა კონტექსტში.)

შინაარსისა და მიზნების რუკა

თემა	**სასწავლო მიზნები და შედეგები**
1. როგორ გავატარე ზაფხული	**მიზნები** მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი და მეხსიერება, შემოქმედებითობა და აკვარელის ტექნიკის ფლობის საწყისი უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
2. ფერწერა – ფერით წერის ხელოვნება	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „ფერწერა“. პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეების დაკვირვებულობა, მხედველობითი მეხსიერება და გუაშით ხატვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

3. ცისარტყელას მინდორი (პლასტილინის რელიეფი)	**მიზნები** მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე გავაცნოთ მოსწავლეებს ცისარტყელას ფერები, განვავითაროთ მათი წარმოსახვა და შემოქმედებითი უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
4. გრაფიკა – ნახატის ხელოვნება	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „გრაფიკა“, პრაქტიკული აქტივობის მეშვეობით განვავითაროთ მათი ფანტაზია, შემოქმედებითობა და ხატვის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
5. ვბეჭდავთ ორნამენტებს	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „ნაბეჭდი გრაფიკა“, განვავითაროთ შემოქმედებითობა, დეკორატიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
6. ვხატავთ მოცულობას ვაზარელის შთაგონებით	**მიზნები** საინტერესო და ასაკისათვის შესაფერისი ფორმით მოვუთხროთ მოსწავლეებს მხატვრობაში მოცულობის გადმოცემის შესახებ, ვაზარელის ნამუშევართა გაცნობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
7. ცოტა რამ ქანდაკების შესახებ	**მიზნები** გავაღრმაოთ მოსწავლეების ცოდნა ქანდაკების დარგის შესახებ, გავაცნოთ მათ ტერმინები „მრგვალი ქანდაკება“ და „რელიეფი“, ვიზუალური მასალის დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფორმისა და ფერის გრძნობა და პლასტილინით მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
8. საცხოვრებელი არქიტექტურა – როგორ აშენებენ სახლებს	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესრულების და მსჯელობის საფუძველზე მივმართოთ მოსწავლეთა ყურადღება საცხოვრებელი არქიტექტურის როლის მნიშვნელოვნებაზე, განვავითაროთ მათი შემოქმედებითობა, ფანტაზია და აპლიკაციის ტექნიკის ფლობის ელემენტარული უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
9. ქუჩა ჩვენს ქალაქში	**მიზნები** მოსწავლეები მსჯელობის, ვიზუალური მასალის დათვალიერების და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე აფართოვებენ თავიანთ ცოდნას გარე სამყაროს და კერძოდ ურბანული გარემოს შესახებ, აყალიბებენ საწყის წარმოდგენებს ეკოლოგიურად და სოციალურად უსაფრთხო, დადებითი გარემოს შესახებ, ავითარებენ კოლაჟის ტექნიკის ხერხების ფლობას და

	გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
10. სილამაზე ჩვენს გარშემო – დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნება	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება“, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მათი შემოქმედებითი უნარი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
11. ერთად ვაკეთებთ შემოდგომის ხალიჩას	**მიზნები** განვამტკიცოთ მოსწავლეთა ცოდნა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ, პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე, განვავითაროთ დეკორატიული და კომპოზიციური უნარები და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
12. მხატვარი საკუთარი თვალით	**მიზნები** პრაქტიკული სამუშაოს შესრულების და შესაბამისი ვიზუალური მასალის გაცნობის საფუძველზე მოსწავლეები ეუფლებიან საკუთარი თავის გამოსახვის ელემენტარულ უნარებს. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
13. ვხატავთ ნატურმორტს ნატურიდან	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესრულების და შესაბამისი ნაწარმოებების გაცნობის საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი, განვამტკიცოთ ნატურიდან ხატვის ჩვევა, კომპოზიციის აგების საწყისი უნარები და პასტელით მუშაობის ტექნიკის საფუძვლები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
14. ფოთოლცვენა – ვხატავთ პეიზაჟს წარმოსახვით	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესრულების და შესაბამისი ნაწარმოებების გაცნობის საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა ცოდნა პეიზაჟის ჟანრის შესახებ, განვავითაროთ წარმოსახვა და ხედვითი მეხსიერება, კომპოზიციის აგების საწყისი უნარები და პასტელით მუშაობის ტექნიკის საფუძვლები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
15. ვხატავთ ძირითადი და შედგენილი ფერებით (გაკვეთილი I)	**მიზნები** საინტერესო და ასაკისათვის შესაფერისი ფორმით მოვუთხროთ მოსწავლეებს სხვადასხვა ფერის შესახებ, სტიმული მივცეთ შემოქმედებითი უნარის განვითარებას, დავეხმაროთ მოტორიკის დახვეწასა და მხედველობითი მეხსიერების განმტკიცებაში. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

16. ვხატავთ ძირითადი და შედგენილი ფერებით (გაკვეთილი II)	**მიზნები** განვამტკიცოთ მოსწავლეების ცოდნა სხვადასხვა ფერის შესახებ მარტივი ექსპერიმენტებისა და პრაქტიკული აქტივობების საფუძველზე. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
17. ფოთლის არსებები	**მიზნები** პრაქტიკული დავალების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფორმისა და ფერის გრძნობა, ხელის მოტორიკა, ტაქტილური შეგრძნებები, შემოქმედებითობა და დაკვირვების უნარი, განვამტკიცოთ კოლაჟის შესრულების მარტივი ხერხების ფლობა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.
18. აფრიკა!	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი მათთვის უცნობი ქვეყნების მიმართ, გავაღრმაოთ მათი წარმოდგენა დედამიწის შორეული კუთხეების შესახებ, განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია და წარმოსახვის უნარი, შემოქმედებითობა და გუაშის საღებავებით მუშაობის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
19. შემაჯამებელი გაკვეთილი	**მიზნები** მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
20. მეგობრების მგზავრობა	**მიზნები** მოსწავლეები პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე ეუფლებიან აპლიკაციის ტექნიკის საფუძვლებს, ავითარებენ წარმოსახვის უნარს და შემოქმედებითობას და გუნდური მუშაობის უნარებს. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.
21. როგორ მოძრაობენ დახატული ფიგურები	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, უშუალო დაკვირვებისა და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი, შემოქმედებითობა და ხატვის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
22. ორნამენტებიანი ხელთათმანი	**მიზნები** პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფერის, ფორმისა და რიტმის გრძნობა, ფანტაზია და კომპოზიციის აგების ელემენტარული უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

23. საახალწლო განწყობით – „სათაგურის“ ილუსტრაცია (გაკვეთილი I)	**მიზნები** გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი და სიყვარული მხატვრული ლიტერატურის მიმართ, განვავითაროთ ხატოვანი აზროვნება და მეხსიერება, დავხვეწოთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
24. საახალწლო განწყობით – „სათაგურის“ ილუსტრაცია (გაკვეთილი II)	**მიზნები** გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი და სიყვარული მხატვრული ლიტერატურის მიმართ, განვავითაროთ ხატოვანი აზროვნება და მეხსიერება, დავხვეწოთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
25. ვემზადებით კარნავალისთვის	**მიზნები** საახალწლო ღონისძიებისთვის გამიზნული აქსესუარების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითი ფანტაზია და ჯგუფური მუშაობის უნარები, განვამტკიცოთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.
26. შობის წინა ღამე	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია და ემოციური სფერო, დავხვეწოთ ფერისა და ფორმის გრძნობა და ელემენტარული კომპოზიციური უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
27. თამაშები მხატვრის თვალით	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერებისა და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი, შემოქმედებითობა და ხატვის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
28. ვძერწავთ მოცეკვავე გოგონას	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, უშუალო დაკვირვებისა და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი, შემოქმედებითობა და ძერწვის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
29. უჩვეულო წერილები	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, ფანტაზია, დაკვირვების უნარი და კომუნიკაციის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

30. ძველი სამყაროს საოცრება – პირამიდები	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, თემის შესახებ მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი ისტორიული, გეოგრაფიული და კულტურული გარემოსადმი **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
31. „რომაული მოზაიკა“ ბუნებრივი მასალებით	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „მოზაიკა“, პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ ფერისა და ფორმის გრძნობა და კომპოზიციური უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
32. ვხატავთ დინოზავრებს	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესარულების საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი ბუნებრივი გარემოს, ცხოველთა სამყაროს და მისი ისტორიისადმი, განვავითა-როთ შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4.
33. რობოტები და ნამ ჯუნ პაიკი	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, კონსტრუირების უნარი და მოტორიკა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4.
34. ყველაზე ლამაზი სიზმარი და დავით კაკაბაძე	**მიზნები** დავით კაკაბაძის ნამუშევართა გაცნობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა და წარმოსახვის უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4.
35. შემაჯამებელი გაკვეთილი	**მიზნები** მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
36. დასაკეცი წიგნი	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი ლიტერატურისა და ილუსტრირებული წიგნებისადმი, განვავითაროთ შემოქმედებითობა და ჯგუფური მუშაობის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
37. ციხე-სიმაგრე მუყაოს კოლოფებისაგან (გაკვეთილი 1)	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე შევუქმნათ მოსწავლეებს წარმოდგენა ციხე-სიმაგრეების შესახებ, განვამტკიცოთ კონსტრუირების ელემენტარული უნარები და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4,

38. ციხე-სიმაგრე მუყაოს კოლოფებისაგან (გაკვეთილი I1)	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა კომპოზიციის გრძნობა, მოდელირებული გარემოს მრავალგვარი მასალებით შექმნის უნარი და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.
39. იალქნიანი ნავები ზღვაში	**მიზნები** მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე გავზარდოთ მოსწავლეების ინტერესი გარე სამყაროსა და ბუნებისადმი, გავავარჯიშოთ სივრცის პლანებად გადმოცემასა და აპლიკაციის ტექნიკით მუშაობაში. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
40. აღმოსავლური ახალი წელი	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს შორეული აღმოსავლეთის კულტურასთან დაკავშირებული საახალწლო აყვავებული ხეების გამოსახვის თემატიკა და ბეჭდური გამოსახულებების შექმნის ახალი ტექნიკა, განვავითაროთ მათი ინტერესი უცხო კულტურებისადმი, გემოვნება და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.
41. გაზაფხული და ვინსენტ ვან გოგი	**მიზნები** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეების ინტერესი ბუნებისადმი, მხატვრული ხედვა, დაკვირვებულობა, მხედველობითი მეხსიერება და გუაშით ხატვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
42. რას ვაჩუქებთ დედას?	**მიზნები** პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, გემოვნება, დეკორატიული უნარი და ძერწვის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4.
43. საადგომო ნატურმორტი – ვხატავთ ფიროსმანის სტილით	**მიზნები** ფიროსმანის ნამუშევართა დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა მხატვრული ხედვა, შემოქმე-დებითობა და გუაშის საღებავებით მუშაობის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
44. რას დახატავ ეზოში – დედამიწის დღე	**მიზნები** საერთაშორისო ეკოლოგიური დღესასწაულის – დედა-მიწის დღის აღნიშნვაში მონაწილეობის და შესაბამისი თემატიკის ნამუშევრების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ეკოლოგიური აზროვნება, ფანტაზია და შემოქმედებითი უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

45. სვანური პეიზაჟი კოშკით	**მიზანი** საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი საქართველოს ბუნებრივი და კულტურული გარემოსადმი, მათი წარმოსახვა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
46. გამოძერწე შენი საყვარელი გმირი	**მიზნები** მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, წარმოსახვის უნარი და ძერწვის ელემენტარული უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
47. ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობები	**მიზნები** მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ, განვავითაროთ მსჯელობის უნარი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
48. სილუეტური პორტრეტები	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „სილუეტი“, პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ხელის მოტორიკა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4.
49. ხედი ჩემი ფანჯრიდან	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვებულობა, კომპოზიციური უნარები და შერეული ტექნიკით მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.
50. შემაჯამებელი გაკვეთილი	**მიზნები** მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება

გაკვეთილთა სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგ ფაზებს:

ა. მოტივაცია

ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

გ. ძირითადი სასწავლო მასალა. (მაგ., ტექსტი, ილუსტრაცია)

დ. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები

ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები.

ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ა. მოტივაცია. მოტივაცია ნიშნავს სტიმულის ან მიზეზის არსებობას რაიმე მიზნის მისაღწევად ძალისხმევის გაკეთებისთვის. არსებობს მოსწავლის მოტივაციის გარეგანი და შინაგანი ფორმები. გარეგანი გულისხმობს, მაგალითად, ნიშნის მიღების სურვილს ან წარუმატებლობის შიშს. შინაგანი მოტივაცია გულისხმობს ახალი ცოდნის მიღების სურვილს, შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრისადმი ინტერესს და ა.შ. სწორედ მოტივაციის შინაგან ფორმაზეა ორიენტირებული სწავლების თანამედროვე კონცეფცია. შინაგანი მოტივაციის წარმოქმნისათვის აუცილებელი პირობაა პოზიტიური გარემო კლასში, მასწავლებლის მხრიდან მასტიმულირებელი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მოსწავლის მზადყოფნა სწავლისათვის. მასალა სწორად უნდა იყოს ორგანიზებული. გაკვეთილის დასაწყისშივე მოსწავლეთა მოტივაციის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შემდეგი ხერხები: **ა)** გაკვეთილი იწყება ფრაზით, სადაც ახალი მასალა ეყრდნობა უკვე არსებულ ცოდნას და გამომდინარეობს მისგან. **ბ)** გაკვეთილი იწყება ინტერესის აღმძვრელი ინფორმაციით, **გ)** გაკვეთილი იწყება ინტერაქტიური შეკითხვით.

ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა. ეს გაკვეთილის მომდევნო ფაზაა. თუ მოსწავლეს გაცნობიერებული არა აქვს მიზანი, სასწავლო ამოცანა, მაშინ სწავლაც გაძნელებულია. თუ დავეხმარებით მას ამოცანის გააზრებაში, იგი მიზანმიმართულად შეეცდება მის მიღწევას. უმცროს კლასებში მასწავლებელს შეუძლია თავად გააცნოს იგი მოსწავლეებს (იხ. შინაარსისა და მიზნების რუკა.)

გ. ძირითადი სასწავლო მასალა. ნათელი, კარგად ჩამოყალიბებული მასალა ადვილად ასათვისებელია მოსწავლისათვის, რაც ზრდის მოტივაციას და გვეხმარება მიზნის მიღწევაში. მასალა – ინფორმაცია, რეპროდუქციები, კომპიუტერული გამოსახულებები, ფოტოები, სქემები – იძლევა იმის საშუალებას,

რომ გაკვეთილის მიზანი განვახორციელოთ. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სურვილის შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი რესურსები თავისი შერჩევით, მაგ., აჩვენოს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული სხვა რეპროდუქციები.

დ. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები. ამ ეტაპისთვის გამიზნული სავარჯიშოები შედარებით მარტივი უნდა იყოს, რომ მოსწავლეს არ გაუძნელდეს მისი შესრულება და არ შეუსუსტდეს მოტივაცია მომდევნო დავალების შესრულებისთვის.

ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები. რადგან წინა ეტაპზე სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლემ უკვე გადალახა შედარებით იოლი ბარიერი, შემდეგი სავარჯიშო შეიძლება უფრო რთული იყოს.

ვ. დამოუკიდებელი სამუშაო. დამოუკიდებელი სამუშაო გაკვეთილის შემდეგი ეტაპია და შეიცავს პრაქტიკულ სამუშაოს, რომელიც მის თემატიკასთანაა დაკავშირებული. (მაგ., ხატვა ფერადი ფანქრებით, გუაშის ან აკვარელის საღებავებით, პასტელით, აპლიკაცია, ძერწვა, არქიტექტურული მოდელის კონსტრუირება, ქაღალდის პლასტიკა.)

გაკვეთილის დაგეგმვა კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის მიხედვით

თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა გაკვეთილის დაგეგმვის ბევრ ფორმას იცნობს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია დაგეგმვის ტიპი, რომელიც კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიების საფუძველზეა შემუშავებული. იგი ხელს უწყობს მასწავლებელს, განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს როგორც გაკვეთილის კონკრეტული ამოცანები, პირობები და ხერხები, ასევე მისი გლობალური მიზნები და მიმართებები.

დღეს სკოლის მიზანია აღზარდოს თავისუფალი, განვითარებული და შემოქმედებითი პიროვნება, რომელსაც გააჩნია საკუთარი გამოცდილება და ძალუძს ორიენტირება მუდმივად ცვალებად სამყაროში. ამ მიზნის განხორციელებას დიდად უწყობს ხელს ამერიკელი პედაგოგების ჯ. სტილის, კ. მერედიტის, ჩ. ტემპლის და ს. უოლტერის მიერ ჩამოყალიბებული კრიტიკული აზროვნების პედაგოგიური ტექნოლოგია.

ტექნოლოგია „კრიტიკული აზროვნების განვითარება" გამომუშავებულია ჩრდილოეთ აიოვის უნივერსიტეტის და ჰობარტისა და უილიამ სმიტის კოლეჯების

კითხვის საერთაშორისო ასოციაციის მიერ. ეს ტექნოლოგია წარმოადგენს სტრატეგიებისა და მეთოდიკური ხერხების სისტემას, რომელიც გამოყენება სხვადასხვა საგნობრივ სფეროებში, ნაშრომთა სხვადასხვა ფორმებსა და სახეობებში. იგი საშუალებას იძლევა, მივიღოთ ისეთი საგანმანათლებლო შედეგები, როგორებიცაა მუდმივად მზარდი და განახლებადი ინფორმაციის ნაკადთან ცოდნის სხვადასხვა სფეროებში მუშაობის უნარი; საკუთარი აზრის მკაფიოდ, ნათლად და კორექტულად გადმოცემის უნარი (წერილობით და ზეპირად); საკუთარი აზრის ჩამოყალიბების უნარი სხვადასხვა გამოცდილებების, იდეების და წარმოდგენების საფუძველზე; პრობლემების გადაჭრის უნარი; ჯგუფში მუშაობის და თანამშრომლობის უნარი; სხვა ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობების აგების უნარი.

კრიტიკული აზროვნების ფორმირება განსაკუთრებით აქტუალობას იძენს ინფორმაციული სივრცის გაფართოების პერიოდში. საგანმანათლებლო სფეროში კრიტიკულ აზროვნებაში იგულისხმება: 1) თვისებათა და უნართა ერთობლიობა, რომელიც მოსწავლისა და მასწავლებლის კვლევითი კულტურის მაღალ დონეს განაპირობებს, 2) „შეფასებითი, რეფლექსური" აზროვნება, რომლისთვისაც ცოდნა წარმოადგენს არა საბოლოო, არამედ საწყის წერტილს, 3) არგუმენტირებული და ლოგიკური აზროვნება, რომელიც საკუთარ გამოცდილებასა და გადამოწმებულ ფაქტებს ეყრდნობა.

„კრიტიკული აზროვნება" განისაზღვრება, როგორც გონიერი რეფლექსური აზროვნება, რომელიც მიმართულია იმის გადაწყვეტაზე, თუ რა ვირწმუნოთ და რა ვაკეთოთ. კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია ეხმარება მასწავლებელს, განავითაროს მოსწავლეებში ინფორმაციის აქტიური აღქმის, პრობლემის სხვადასხვა მხრიდან განხილვის, თავიანთი აზრების მიმართულების თვალყურის დევნისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის, ურთიერთობის სხვადასხვა სიტუაციებში მიღებული ცოდნის გამოყენების უნარები.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ინფორმაციის არა უბრალო, არამედ გაცნობიერებულ ათვისებას. ანუ მოსწავლე კრიტიკულად უნდა მიუდგეს ინფორმაციას: გააანალიზოს იგი, შეადაროს, შეაფასოს, აირჩიოს და პასუხისმგებლობა იკისროს თავის არჩევანზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის კონცეფცია გამორიცხავს მოსწავლეთა პასიურობას. ისინი აქტიურად არიან ჩართულები სწავლების პროცესში, ხოლო მასწავლებელი

ასრულებს კოორდინატორის როლს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, აძლევს მიმართულებას, მაგრამ პირდაპირ არ აწვდის მზა ცოდნას.

კრიტიკული აზროვნების ტექნოლოგიის მიხედვით შედგენილი გაკვეთილი იგება საგანგებო სცენარის მიხედვით. მისი საბაზისო მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება:

- გამოწვევის ფაზა
- შინაარსის რეალიზების ფაზა
- ფიქრის და რეფლექსიის ფაზა.

გამოწვევის ფაზა

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით, თუ რას წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების გამოწვევის ფაზა, რა თავისებურებები გააჩნია მას და რა მეთოდები გამოიყენება ამ სტადიაზე.

გამოწვევის ფაზა განკუთვნილია იმისთვის, რომ გამოიწვიოს:

- მოსწავლეთა მეხსიერებაში ის ინფორმაცია, რომელიც ამ გაკვეთილზე გამოადგებათ,
- ინტერესი ახალი თემისადმი,
- მოსწავლეთა აქტიურობა.

გამოწვევა გადამწყვეტია იმ თვალსაზრისით, რომ იგი გაკვეთილის ტემპსა და ტონს განაპირობებს. სწორედ ამ ეტაპზე ხორციელდება არამარტო გავლილი მასალის გამეორება (ჩვეული ტერმინებით თუ ვისაუბრებთ), არამარტო ცოდნის ანალიზი, არამედ ყველაზე მთავარი – იქმნება დადებითი მოტივაცია, ხდება ინტერესის ფორმირება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: გამოწვევის ფაზა მიმართულია ყველა მონაწილეთა აქტიურ ჩართვაზე, თუკი ადრე პასიური მოსწავლეები განზე რჩებოდნენ, უთმობდნენ რა ასპარეზს უფრო აქტიურებს, ახლა ეს გამორიცხულია. კლასის ყველა მოსწავლე იღებს მონაწილეობას მუშაობაში. მასწავლებლის მიზანია, დაეხმაროს მოცემულ თემაში დაგროვილი ცოდნის სისტემურ ჩამოყალიბებაში, გამოავლინოს შეუთანხმებლობები, გაურკვევლობები, ხარვეზები და გამოავლინოს ის ამოცანები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებენ. ამგვარად, გაკვეთილზე გამოწვევის ფაზა რამდენიმე ამოცანის გადაჭრას ემსახურება:

- დადებითი მოტივაციის ფორმირებას,
- მოსწავლეებში ახალი თემის მიმართ ინტერესის გამოწვევას,
- გაკვეთილის მთავარი მიზნის ჩამოყალიბებას,
- იმ ამოცანების მონახაზის შექმნას, რომლებიც გაკვეთილზე განიხილება,

• მოსწავლეთა გააქტიურებას, მუშაობაში მათ ჩართვას.

შინაარსის რეალიზების ფაზა

ამ სტადიაზე ხდება მოსწავლეთა მიერ ახალი ინფორმაციის მიღება და მისი დამუშავება.. გაკვეთილის ამ სტადიის ფუნქციებია:

• საინფორმაციო. მოსწავლეები იძენენ ახალ ინფორმაციას, მუშაობენ მასთან, აანალიზებენ და გაიაზრებენ მას, აფასებენ და ადარებენ იმ ცოდნას, რაც უკვე გააჩნიათ.

• სისტემატიზაციური. გააზრების ფაზის ყველა მეთოდი მიმართულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა არამარტო აითვისონ ახალი ინფორმაცია, არამედ მისი სისტემატიზაციაც შეძლონ, ასე ვთქვათ, განალაგონ იგი თავიანთი მეხსიერების „თაროებზე“.

რაში მდგომარეობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საქმიანობა შინაარსის რეალიზების სტადიაზე? კრიტიკული აზროვნების განვითარების გაკვეთილზე მასწავლებელს კოორდინატორის როლი ეკისრება. ასევე მისი მიზანი მდგომარეობს მოცემული თემისადმი მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნებაში. ამასთან მნიშვნელვანია, ბავშვების საქმიანობა ისეთი მიმართულებით წავიყვანოთ, რომ ახალი და ძველი ცოდნის კავშირი ხაზგასმით გამოვავლინოთ. მოსწავლეები გაკვეთილის ამ ეტაპზე უნდა იყვნენ მაქსიმალურად აქტიურები. ისინი კითხულობენ, ისმენენ, იწერენ, დავალებებს ასრულებენ, ინიშნავენ და ა.შ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საქმიანობის სახეობების მორიგეობა, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის კომბინირება.

როგორც ვხედავთ, გააზრების ეტაპი გაკვეთილის იმ სტადიას მოიცავს, როდესაც მოსწავლეები ახალ ინფორმაციას ითვისებენ. ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს:

• სახელმძღვანელოს პარაგრაფის ტექსტი,

• მასწავლებლის მიერ მომზადებული ტექსტი,

• ფილმი,

• პრეზენტაცია,

• თანაკლასელის მოხსენება,

• ლექცია,

• სტატია, ლექცია ინტერნეტში,

• აუდიომასალა და ა.შ.

მუშაობა ამ ფაზაზე მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ამასთან მნშვნელოვანია, რომ ჯერ ინდივიდუალური გამოკვლევა და მსჯელობა ჩატარდეს და შემგომ ჯგუფური მუშაობა.

რეფლექსიის ფაზა

რა არის რეფლექსია? ლექსიკონში მკაფიოდ არის განმარტებული: რეფლექსია არის თვითანალიზი, თვითშეფასება, „ჩახედვა საკუთარ თავში“. გაკვეთილებთან მიმართებაში, რეფლექსია არის გაკვეთილის ეტაპი, რომლის დროსაც მოსწავლეები თავად აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, ემოციებს და თავისი მუშაობის შედეგებს.

რისთვის არის საჭირო რეფლექსია?

სწავლის პროცესი გაცილებით ადვილი ხდება როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც, თუკი ბავშვი ხვდება:

- რისთვის სწავლობს იგი მოცემულ თემას, როგორ გამოადგება მას იგი მომავალში,
- რა მიზანს უნდა მიაღწიოს ამ გაკვეთილზე,
- საერთო საქმეში რა წვლილის შეტანა შეუძლია მას,
- შეუძლია თუ არა მას ადეკვატურად შეაფასოს თავისი და სხვების შრომა.

რეფლექსიის ჩატარება შეიძლება როგორც გაკვეთილის ბოლოს, ასევე გაკვეთილის ნებისმიერ სტადიაზე და ასევე შესწავლილი თემის, მასალის შეჯამების სტადიაზე.

კომენტარები მასწავლებლის წიგნზე

მასწავლებლის II კლასის წიგნში მოცემულია სანიმუშო გაკვეთილების სცენარები, რომლებიც ზემოთ უკვე აღნიშნული კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის მიხედვითაა დაგეგმილი. ეს ხერხი დაეხმარება მასწავლებელს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და შედეგების მიღწევაში. მოცემული აქტივობები წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ რა პრაქტიკული ქმედებითაა შესაძლებელი ამა თუ იმ შედეგის მიღწევა. აქვე მითითებულია სხვა შედეგებიც, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდეს ყოველი კონკრეტული აქტივობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ზოგიერთი საკითხი, რომელიც ამ აქტივობების პრაქტიკულ გამოყენებასთან არის დაკავშირებული:

- მიუხედავად იმისა, რომ წიგნში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი არა მარტო შემოთავაზებული აქტივობები, არამედ საუბრები და დიალოგებიც,

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სავალდებულო არ არის მოცემული აქტივობების ზუსტად შესრულება - საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია გარკვეული სახეცვლილების შეტანა, მაგ., თემის, მასალის ან ტექნიკის შეცვლა, აქტივობის გამარტივება ან გართულება, ან სხვა მსგავსი აქტივობით შეცვლა, თუ ეს ხელს არ შეუშლის შედეგის მიღწევას.

- მასწავლებელს შეუძლია, მოცემული აქტივობების როგორც გაერთიანება, ასევე ორ ან მეტ გაკვეთილზე განაწილება; ასევე, აქტივობის სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე (მცირედი სახეცვლილებით) გამეორება.

- სავალდებულო არ არის აქტივობების ჩატარება მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით. ვინაიდან ცხრილში მოცემულია წლის ბოლოს მისაღები შედეგების მისაღწევად რეკომენდებული აქტივობები, მასწავლებელმა მათი თანმიმდევრობა, მონაცვლეობა თუ გამეორება უნდა შეარჩიოს ისე, როგორც თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად.

- მოცემული აქტივობების სირთულის დონე ისე არის შერჩეული, რომ მათი შესრულება არ უნდა წარმოადგენდეს დაუძლეველ ამოცანას ნებისმიერი მონაცემების მქონე მოსწავლისათვის. თუ ზოგიერთი მოსწავლე სხვებზე იოლად ითვისებს მასალას და უფრო სწრაფად ასრულებს დავალებებს, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მას იმავე დავალების ოდნავ გართულებული ვარიანტი და პირიქით, თუ მოსწავლე ნელა ითვისებს მასალას, უჭირს დავალების შესრულება, მასწავლებელმა მას უნდა გაუმარტივოს დავალება.

წინასწარი პრაქტიკული რჩევები

საკლასო ოთახი

საკლასო ოთახი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ჯანმრთელობისთვის საჭირო ზოგად პარამეტრებსა და იმ სპეციფიკურ მოთხოვნებსაც, რომლებიც სახვითი ხელოვნების პრაქტიკული და თეორიული შემადგენელი ნაწილების სწავლების პროცესის სრულყოფილი ჩატარებისთვისაა საჭირო. ეს ნიშნავს, რომ ოთახში ჩვეულებრივი ავეჯისა და მოწყობილობების გარდა, უნდა იყოს:

- სტენდები ნამუშევრების გამოსაფენად, სპეციალური კარადა სახატავი და სხვ. მასალების, იარაღების და ნამუშევრების, ასევე სხვა აუცილებელი

სასწავლო მასალების – რეპროდუქციების, სლაიდების, კომპიუტერული დისკების შესანახად.

- სასურველია, რომ ოთახში იყოს ონკანი.
- საჭიროა აგრეთვე კომპიუტერი და პროექტორი ცნობილი მხატვრების ნამუშევრების და სხვა სასწავლო მასალების და პრეზენტაციების საჩვენებლად.
- დიდი მნიშვნელობა აქვს განათების ხარისხს – ნათელი გარემო აუცილებელია როგორც პრაქტიკული მუშაობის, ასევე რეპროდუქციების და ილუსტრაციების დათვალიერების დროს. ამავე დროს, ფანჯრებზე უნდა იყოს მუქი ფარდები, რათა პროექტორის მუშაობის დროს იყოს საშუალება ოთახის დაბნელებისა.

მასალები და იარაღები:

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს არ აქვთ დაგეგმილი აქტივობის ჩატარებისთვისთვის აუცილებელი მასალა, მასწავლებელს შეიძლება შეექმნას პრობლემა (მაგ. მასწავლებელს დაგეგმილი აქვს ასწავლოს მოსწავლეებს ფერების შეზავება, მათ ნაწილს კი მხოლოდ ფლომასტერები აქვს მოტანილი). ეს აიძულებს მასწავლებელს, არასრულყოფილად ჩაატაროს დაგეგმილი სამუშაო. ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა უზრუნველყოს კლასში მასალის ერთგვაროვნება: ან სკოლამ მოიმარაგოს მასალა, ან მშობლებმა შეიძინონ მასწავლებლის მიერ რეკომენდებული მასალა, რომელიც ჩაბარდება მასწავლებელს და მოსწავლეებს არ მოუწევთ მისი თან ტარება, შესაბამისად, მასწავლებელს ყოველთვის ხელთ ექნება დაგეგმილი აქტივობისთვის საჭირო მასალა.

მასწავლებელს შეუძლია, შეიტანოს საკუთარი კორექტივები ნებისმიერი აქტივობის მასალაში. აქტივობების უმეტესობის მასალის ჩამონათვალში იგულისხმება გარკვეული ალტერნატივები: პლასტილინი შეიძლება შეიცვალოს მარილიანი ცომით, ფერადი ქაღალდების ნაცვლად შეიძლება ფერადი ჟურნალებიდან ამოჭრილი გვერდების გამოყენება, მოსწავლეებმა, მძივების, ბისერის ნაცვლად შეიძლება იხმარონ გაფერადებული წვრილი კენჭები, პატარა ღილები, ბრინჯი, წვრილად დაჭრილი ნაძვისხის წვიმა... მასწავლებელმა უნდა ჩააგონოს მოსწავლეებს, რომ მათ უნდა თავად მოიძიონ, მოიფიქრონ, გამოცადონ და გამოიყენონ სხვადასხვა მასალა.

აუცილებელი მასალის ჩამონათვალი:

- **წინსაფრები** – გარდა იმისა, რომ იცავს ტანსაცმელს საღებავის ლაქებისგან, წინსაფარი განაწყობს მოსწავლეებს მუშაობისთვის.

- **ცელოფანი** – მერხების დასაცავად საღებავის, პლასტილინის, წებოს ლაქებისგან.
- **ერთჯერადი სველი ხელსახოცები**
- თუ კლასში არ არის **ონკანი**, მასწავლებელს მოუწევს **სუფთა წყლის** მომარაგება, (რათა მოსწავლეებმა ხშირად გამოცვალონ ფუნჯის ნარეცხი წყალი, რომელიც მალე შავდება, აფუჭებს ნამუშევარს და მოსწავლეებმა გაკვეთილის დროს არ ირბინონ სკოლის დერეფანში წყლის გამოსაცვლელად); ასევე, მასწავლებელს დასჭირდება რაიმე მოზრდილი ჭურჭელი ჭუჭყიანი წყლის გადასაღვრელად.
- **A4 ფურცლების 500 ცალიანი შეკვრა** - (30 მოსწავლეზე) კვირაში 2 გაკვეთილზე თუ დახატავენ 4 ნახატს – ყოფნის 1 თვე. (სახატავ რვეულებში საღებავებით ხატვა მოუხერხებელია, რადგან საღებავი სწრაფად არ შრება და მოსწავლე ვერ შეძლებს ახალი ნამუშევრის სუფთა გვერდზე დახატვას ისე, რომ არ გააფუჭოს უკვე შესრულებული ნამუშევარი).
- **ფერადი ფურცლები** - თითო მოსწავლეზე 1 შეკვრა სემესტრში (მოსწავლეებს ურიგდება იმ ზომის და რაოდენობის ფურცლები, რაც საჭიროა კონკრეტული აქტივობისთვის. ყოველი აქტივობის შემდეგ მორჩენილი ფურცლების გამოსაყენებლად ვარგისი ზომის ნარჩენები ინახება მომდევნო აქტივობებისთვის).
- **მუყაო** – (ტკბილეულის კოლოფები, შესაფუთი ყუთები და სხვ.)
- **აკვარელის საღებავები**
- **გუაშის საღებავები** – სასურველია, ყოველი აქტივობისთვის განაწილდეს პლასტმასის პალიტრებზე (1 კოლოფი ეყოფა 20 მოსწავლეს). თუ მოსწავლეები პირდაპირ ქილებიდან იხმარენ საღებავს, ქილებში ფერები სხვა ფერის საღებავით დაისვრება და სახმარად უვარგისი გახდება).
- **პლასტმასის პალიტრა** - ყოველ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური პალიტრა.
- **ღრუბელი**
- **ფუნჯები** – აკვარელის - სქელი, საშუალო და წვრილი; უხეში - წებოსთვის
- **შავი ფანქარი*** - რბილი - 2
- **ფლომასტერები*** –2 მოსწავლეზე 1 შეკვრა (იდება ჭიქებში - 2 მოსწავლეზე 1 ჭიქა).
- **სახაზავი***

- **მაკრატელი**
- **პლასტილინი** – ყოველ მოსწავლეზე 2 კოლოფი სემესტრში
- **წებო** – ქაღალდის მშრალი წებო და თხევადი - პოლივინილაცეტატის ემულსია **(პვა)**
- **წყლის ჭურჭელი ფუნჯების გასარეცხად** - 1/2 ლიტრიანი შუშის ან პლასტმასის ქილები (ყოველ მოსწავლეს ინდივიდუალურად)
- **საქაღალდე** – ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საკუთარი პორტფოლიო ნამუშევრების შესანახად.
- საშლელი, სათლელი, სახაზავი, ფლომასტერები, შავი და ფერადი ფანქრები, მშრალი წებო, ასევე სპეციალურად, კონკრეტული აქტივობისთვის საჭირო მასალები (მაგ. მარცვლეული, პატარა კოლოფები, ნაჭრები, ძაფები, ღილები, მძივები, ფოთლები, კენჭები...) მოსწავლეებს დააქვთ სახლიდან, დანარჩენი მასალა კი სასურველია, ინახებოდეს კლასში.
- მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, შეაგროვონ მსგავსი მასალა და შეინახონ სკოლაში (საერთო ხმარებისთვის), საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად..

სხვა მასალა:

აკრილის საღებავები – გამოიყენება სხვადასხვა ნაკეთობის შესაღებად, რადგან აკრილის საღებავი სწრაფად შრება და გუაშისა და აკვარელისგან განსხვავებით, გამშრალი წყალში აღარ იხსნება. (აკრილის საღებავი შეიძლება შეიცვალოს თხევად წებოში გახსნილი გუაშით).

სამუშაო ადგილის დალაგება:

მოსწავლემ უნდა ისწავლოს საღებავების ხმარება და მათი მოვლა: საღებავები შეაზავოს პლასტმასის პალიტრაზე, ან დამხმარე ფურცელზე და არა საღებავის ქილებში; ფერიდან ფერზე გადასვლისას არ ჩააწოს გაურეცხავი ფუნჯი საღებავში - ფუნჯი გარეცხოს წყლიან ქილაში; სამუშაოს დამთავრების მერე არ დატოვოს საღებავი თავდაუხურავი, პალიტრა და ფუნჯი კი გაურეცხავი და არ ჩაალაგოს ფუნჯები ქილაში თავდაყირა.

გაკვეთილის დამთავრებისას მოსწავლეები აგროვებენ და ინახავენ მორჩენილ, გამოსადეგ მასალას (სუფთა საღებავებს, ფერადი ქაღალდის ნარჩენებს და სხვა), რეცხავენ ფუნჯებს, ასუფთავებენ სამუშაო ადგილს (მაგიდა, იატაკი), ინახავენ ნამუშევრებს საქაღალდეებში.

მოსწავლეებს მუშაობისას ყოველთვის უნდა ჰქონდეთ მაგიდის საწმენდი ტილო, რათა საჭიროების შემთხვევაში გაამშრალონ და გაასუფთავონ სამუშაო ადგილი, გაიწმინდონ ხელები...

ყველა ნამუშევარს უკნიდან უნდა ეწეროს სახელი, გვარი და თარიღი, მოსწავლეებმა საკუთარი სახელი და თარიღი უნდა დააწერონ მუშაობის დაწყებამდე, რადგან მერე, სველ ნამუშევრებზე ამის გაკეთება ძნელია (ეს აქტი გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევს იმ ფურცლის მიმართ, რომელზეც ნამუშევარი უნდა შესრულდეს - მოსწავლეები ტყუილად აღარ დაჯღაბნიან ფურცელს).

გაკვეთილის ბოლოს, საქაღალდეებში ნამუშევრების შენახვისას რომ არ წარმოიქმნას ქაოსი, ეს საქმე უნდა დაევალოს 2-3 (ყოველ ჯერზე სხვადასხვა) ბავშვს, რომლებიც დაახარისხებენ და ჩაალაგებენ ნამუშევრებს. ამით მიეჩვევიან ერთმანეთის ნამუშევრების გაფრთხილებას. ხშირად, ნამუშევრები ვერ ასწრებს გაკვეთილის დამთავრებისთვის გაშრობას. სველი ნამუშევრების ერთმანეთზე დალაგება ან საქაღალდეებში შენახვა არ შეიძლება. მასწავლებელმა, ნამუშევრები გასაშრობად უნდა დაალაგოს უსაფრთხო ადგილას (ფანჯრის რაფა, თარო) და პასუხისმგებელ მოსწავლეებს დაავალოს მათი მომდევნო შესვენებაზე შენახვა.

პორტფოლიო

სასურველია, მოსწავლეების ნახატები ინახებოდეს კლასში, შესაფერისი ზომის საქაღალდეებში, რომლებიც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ხელით დაამზადონ. როდესაც ნამუშევრები ერთადაა მოგროვილი და დათარიღებული, მასწავლებლისთვის თვალსაჩინო ხდება ყოველი მოსწავლის პროგრესი, მიღწევები. ყოველ მოსწავლეს აქვს საკუთარი პორტფოლიო, საქაღალდეებს აწერიათ მოსწავლის სახელი, გვარი და სასწავლო წლის, ან კლასის აღმნიშვნელი ციფრი. შემაჯამებელი გამოფენის მერე მოსწავლეებს შეუძლიათ წაიღონ ნამუშევრები სახლში (იმ ნამუშევრების გარდა, რომლებიც მასწავლებელს ესაჭიროება შეფასების ან სხვა მიზნებისათვის). როდესაც მოსწავლეები ხედავენ, რომ მათი ნამუშევრები მოწესრიგებულად ინახება, შრომას პატივს სცემენ, ისინი მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან გაკვეთილებს.

სავარჯიშო რვეულები

ეს არის რვეული (სასურველია უჯრებიანი ფურცლებით), რომელშიც მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობის დროს, სამახსოვროდ იწერს ახალ ტერმინებს, სახელებს, ინიშნავს ტექნოლოგიურ ნიუანსებს, საშინაო დავალებებს, მომდევნო გაკვეთილისთვის მოსატან მასალას... აკეთებს სავარჯიშოებს, პატარა ესკიზებს;

ექსკურსიებზე მოსწავლეები ამ რვეულში ინიშნავენ შთაბეჭდილებებს, აკეთებენ ჩანახატებს; ინიშნავენ გაჩენილ შეკითხვებს, წერენ საკუთარ მოსაზრებებს, რეფერატებს მოცემულ თემაზე... ჩაინიშნავენ სადისკუსიო თემებს, მათთან დაკავშირებულ შეკითხვებს და შენიშვნებს. სავარჯიშო რვეულების წარმოება დაეხმარება მოსწავლეებს დაიმახსოვრონ და შეაფასონ ნანახი თუ შესწავლილი, ისწავლონ წერა სხვადასხვა მიზნისთვის, შეძლონ აზრების და იდეების გამართულად გამოხატვა წერილობითი ფორმით, მიაჩვევს მათ ორგანიზებულობას. როდესაც მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს რაიმე თემაზე სავარჯიშო რვეულებში საკუთარი მოსაზრების ჩაწერას და შემდეგ ჩანაწერის კლასის წინაშე წაკითხვას, ამით იგი აჩვევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის საჯაროდ, თამამად და გამართულად გამოთქმას. მასწავლებელი არ კითხულობს სავარჯიშო რვეულებს და არ ასწორებს ჩანაწერებს.

დროის ორგანიზება:

იმისთვის, რომ გაკვეთილის დრო მთლიანად დაეთმოს მუშაობას, სასურველია, რომ გაკვეთილის დაწყებისთვის მასალა გამზადებული იყოს. მასალის დარიგების პროცედურას მიაქვს 10-15 წუთი. მზადება იწყება გაკვეთილის წინ, შესვენებაზე. მასწავლებელი ანაწილებს მასალას (ანაწილებს საღებავებს პალიტრებზე, ანაწილებს სახატავ ან ფერად ფურცლებს საჭირო ზომის და რაოდენობის მიხედვით და ა.შ.), მოსწავლეებს მოაქვთ წყალი, ალაგებენ მაგიდებზე მასალას.

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები

1. როგორ გავატარე ზაფხული

მიზნები: მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი და მეხსიერება, შემოქმედებითობა და აკვარელის ტექნიკის ფლობის საწყისი უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები მეხსიერებით ასრულებენ აკვარელის საღებავებით პეიზაჟს თემაზე „სად გავატარე ზაფხული“.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი რვეულები ან ფურცლები, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, აკვარელის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ როგორ გაატარეს მათ ზაფხული - მოინახულეს ძველი, საყვარელი ადგილები თუ ნახეს რაიმე ახალი და საინტერესო, სად იყვნენ (სოფელში ბებიასთან, ზღვაზე, მთაში, ტყეში და სხვ.), რას აკეთებდნენ და ა.შ. ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დახატონ აკვარელის საღებავებით ადგილი, სადაც მათ გაატარეს არდადეგები, ანუ ზაფხულის პეიზაჟი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

სამუშაოს დაწყებამდე მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს ნამუშევრის შესრულების ეტაპების თანმიმდევრობას და აკვარელით მუშაობის მთავარ წესებს. მოსწავლეები თავდაპირველად მოიფიქრებენ სიუჟეტს, შემდეგ კი უბრალო (გრაფიტის) ფანქრით მსუბუქად მიანიშნებენ ესკიზს. ჯერ უნდა აღინიშნოს ჰორიზონტის ხაზი, შემდეგ – პეიზაჟის დეტალები (მაგ. ღრუბლები და ხეები), შემდეგ – ნაგებობები – სახლი ან სახლები და სხვ., საბოლოოდ კი შედარებით მცირე დეტალები – მაგ. ყვავილები ან სხვა რაიმე ნივთები. როდესაც მოსწავლე კმაყოფილი დარჩება ესკიზით, მას შეუძლია შეუდგეს სურათის შეფერადებას აკვარელის საღებავებით. მოსწავლეს უნდა ახსოვდეს, რომ აკვარელის საღებავი თხლად უნდა იხმარებოდეს, რადგანაც სქელი, გაუმჭვირვალე ან ერთმანეთზე წასმული ფენები ძალიან ცუდად გამოიყურება აკვარელის ნამუშევარზე, ამიტომ შესრულებისას სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო: შეცდომის გასწორების მიზნით უკვე შეფერადებულ ადგილზე საღებავის თავიდან წასმა ცუდ შედეგს გამოიღებს. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ (აძლევს რჩევას ან სხვა რაიმე სახით).

რეფლექსიის ფაზა

სამუშაოს დასრულების შემდეგ ეწყობა გამოფენა – დაფაზე ან სტენდზე სკოჩით ან ჭიკარტებით დაამაგრეთ ნამუშევრები. მასწავლებელი და ბავშვები საუბრობენ საკუთარ და მეგობართა სურათების შესახებ და უზიარებენ ერთმანეთს აზრებს, მიუთითებენ, თუ რა გამოვიდა განსაკუთრებით საინტერესოდ, რა მოეწონათ განსაკუთრებით, და რისი გაკეთება შეიძლებოდა სხვანაირად. მთავარია, რომ

კლასში იყოს მეგობრული და ამავე დროს საქმიანი ატმოსფერო. ამისთვის საჭიროა, რომ კითხვები, კომენტარები და შეთავაზებები ზრდილობიანი და კონსტრუქციული იყოს.

დამატებითი აქტივობები

მოსწავლეებმა შეიძლება მოუთხრონ მეგობრებს საინტერესო ისტორიები, რომლებიც მათ მიერ გამოსახულ ადგილებთანაა დაკავშირებული – ისტორიული ამბები, ლეგენდები და სხვ.

სასწავლო შეთავაზებები

შეაგროვეთ ნამუშევრები მოსწავლეების პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ როგორ შეუძლია მას გამოავლინოს:

- გარემოზე დაკვირვების უნარი და მხედველობითი მეხსიერება ნაცნობი პეიზაჟის გამოსახვის დროს;
- შემოქმედებითობა და ელემენტარული კომპოზიციური უნარები ესკიზის შესრულების დროს;
- ნახატისა და ფერის ფლობის ელემენტარული უნარები;
- აკვარელის საღებავებით მუშაობის ხერხების ელემენტარული ფლობა.

2. ფერწერა – ფერით წერის ხელოვნება

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „ფერწერა“. პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეების დაკვირვებულობა, მხედველობითი მეხსიერება და გუაშით ხატვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები გუაშის საღებავებით ასრულებენ მატისის „ოქროს თევზების“ ასლს მეხსიერებით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ანრი მატისის „ოქროს თევზების“ რეპროდუქცია ან კომპიუტერული გამოსახულება

მასალა მოსწავლეთათვის:

ქაღალდის ფურცლები, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

ტერმინები

ფერწერა

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ მათ უკვე უნახავთ ცნობილი მხატვრების ნაწარმოებები, თავადაც ბევრს ხატავენ და უყვართ მხატვრობა. მაგრამ მხატვრობა ძალზე მრავალფეროვანია, მაგალითად, როდესაც ნაწარმოები საღებავითაა შესრულებული, იგი ფერწერის დარგს მიეკუთვნება. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს, მათი აზრით, ეს სიტყვა (სავარაუდო პასუხი: „ფერით წერა“ საღებავებით ხატვას ნიშნავს.). მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რომელი საღებავებით ხატავენ ისინი სკოლაში (აკვარელით, გუაშით) და უხსნის, რომ არსებობს კიდევ ბევრი სახის საღებავი – ზეთის, აკრილის და სხვ., რომელთა ხმარებას ისინი მომავალში დაეუფლებიან.

შემდეგ საუბარი ეხება იმას, თუ რას ვხატავთ ხოლმე, საიდან გვიჩნდება ნამუშევრის იდეა: წარმოვიდგენთ რაიმეს ფანტაზიით, გავიხსენებთ უკვე ნანახს, ან ვხატავთ იმას, რასაც ამჟამად ვუყურებთ. მაგრამ არსებობს ნამუშევრის იდეის კიდევ ერთი წყარო: ცნობილი ხელოვანის შემოქმედება, მისი ნამუშევრის ასლის დახატვა. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეასრულონ ცნობილი ფრანგი მხატვრის, ანრი მატისის ფერწერული ტილოს „ოქროს თევზების” ასლი გუაშის საღებავებით.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რეპროდუქციას ან კომპიუტერულ გამოსახულებს. ბავშვები რამდენიმე წუთის განმავლობაში გულდასმით აკვირდებიან ნამუშევარს და დეტალურად აღწერენ მას: რა ფორმისაა ტილო, რა არის ზედ გამოსახული, როგორი ხაზები და ფორმებია გამოყენებული, რა ფერებია ნახმარი. ამის შემდეგ მასწავლებელი შეინახავს რეპროდუქციას და მოსწავლეები მეხსიერებით ხატავენ ასლს.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები დაფაზე ან სტენდზე სკოჩით ან ჭიკარტებით ამაგრებენ ნამუშევრებს. მასწავლებელი და ბავშვები საუბრობენ მათ შესახებ და უზიარებენ ერთმანეთს აზრებს, მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი ასლები გამოუვიდათ, რამდენად კარგად დაიმახსოვრეს და გადმოსცეს დეტალები, რამდენად მიამსგავსეს ნამუშევრები ორიგინალს. მასწავლებელი უნდა ადევნებდეს თვალყურს, რომ კლასში იყოს მეგობრული და ამავე დროს საქმიანი ატმოსფერო, კითხვები, კომენტარები და შეთავაზებები კი ზრდილობიანი და კონსტრუქციული იყოს. ამავე დროს, არ არის საჭირო გადამეტებული აღფრთოვანება, ერიდეთ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „საუკეთესო", „ულამაზესი" და ა.შ. იყავით კეთილგანწყობილი და პოზიტიური, რათა შეაგულიანოთ მოსწავლეები და გაზარდოთ მათი მოტივაცია, მაგრამ ამავე დროს - საქმიანი და ობიექტური.

სასწავლო შეთავაზებები

შეაგროვეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისათვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ როგორ შეუძლია მას გამოავლინოს:

1. ტერმინ „ფერწერის" სწორად გაგების და ხმარების უნარი;
2. ნაწარმოების აღქმის და დამახსოვრების უნარი;
3. ასლის შესრულების უნარი ელემენტარულ დონეზე;
4. გუაშის საღებავებით მუშაობის პრაქტიკული უნარები ელემენტარულ დონეზე.

3. ცისარტყელას მინდორი

მიზნები: მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე გავაცნოთ მოსწავლეებს ცისარტყელას ფერები, განვავითაროთ მათი წარმოსახვა და შემოქმედებითი უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები მუყაოს ფურცელზე პლასტილინით ასრულებენ რელიეფურ კომპოზიციას „ცისარტყელას მინდორი".

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ცისარტყელას გამოსახულება

მასალა მოსწავლეთათვის:

მუყაო, უბრალო ფანქარი და საშლელი, პლასტილინი, პლასტმასის დანა (სტეკი), სველი ერთჯერადი ხელსახოცები.

ტერმინები

ცისარტყელას ფერები

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, თუ როგორ ხატავდნენ ისინი გაზაფხულის პეიზაჟს ფერადი ფანქრებით, და სთვაზობს, შეასრულონ მსგავსი ნამუშევარი, სახელწოდებით „ცისარტყელას მინდორი“, ოღონდ ამჯერად განსხვავებული მასალითა და ტექნიკით: მუყაოზე პლასტილინის ფორმებით. ბავშვები იხსენებენ, როდის და რის შესაქმნელად გამოიყენეს ასეთი ტექნიკა (მსგავსი სამუშაო შესრულდა ბერძნული ლარნაკის გამოსახვისას, გაკვეთილი „მოხატული ლარნაკები - 2”). მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, წარმოიდგინონ, რომ გაზაფხულის ტყეში არის ჯადოსნური მინდორი, რომელსაც თავზე ყოველთვის ცისარტყელა ადგას და გამოსახონ იგი. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ცისარტყელას გამოსახულებას და სთხოვს, ჩამოთვალონ, რა ფერებს შეიცავს იგი (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი).

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები მუყაოს ფურცელზე გრაფიტის ფანქრით მსუბუქად მიანიშნებენ გამოსახულების დეტალებს. შემდეგ რბილი პლასტილინით ჯერ გამოსახავენ ლურჯ ცას და მწვანე ბალახს (შესაძლებელია გაიოლებული ვარიანტის გამოყენებაც – ცა და ბალახი გუაშის საღებავით იხატება ან პირდაპირ ფერადი ქაღალდის დაწებებით იქმნება.). შემდეგ მოსწავლეები გამოძერწავენ და ფონზე დაამაგრებენ ცისარტყელას, მზეს, ხეს (ან ხეებს), ყვავილებს და პეპლებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ დეტალებში აუცილებლად იყოს გამოყენებული ცისარტყელას ყველა ფერი. მოსწავლეები ავარჯიშებენ ძერწვის მათთვის უკვე ნაცნობ ხერხებს: მრგვალი ფორმების გამოძერწვას ხელისგულების წრიული მოძრაობებით, გრძელი მრგვალი ზოლების გამოძერწვას ხელისგულების

წინ და უკან პარალელური მოძრაობებით, დეტალების ამოწელვას პლასტილინის დიდი ნაჭრისგან, მთლიანი ფორმისთვის ცალკეული დეტალების მიმაგრებას და შეერთების ადგილების თითით გლუვად გალესვას და სხვ.

რეფლექსიის ფაზა

დასრულებულ ნამუშევრებს მოსწავლეები გამოფენენ კლასში. ისინი საუბრობენ იმაზე, თუ როგორ დაიმახსოვრეს ცისარტყელას ფერები და მათი მიმდევრობა, უნახავთ თუ არა ცისარტყელა ცხოვრებაში, როგორი ამინდის დროს ჩნდება ხოლმე ცაზე ცისარტყელა და სხვ. მოსწავლეები საუბრობენ ნამუშევრების შესახებ, იმაზე, თუ რა არის გამოსახული, რა ფერები და ფორმებია გამოყენებული და რა განწყობას ქმნიან ისინი.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ფანტაზიას და წარმოსახვის უნარს „ცისარტყელას მინდვრის“ მოგონების და გამოსახვის დროს;
- ცისარტყელას ფერების სახელებისა და თანმიმდევრობის ჩამოთვლის უნარს;
- ფორმის, ფერის და კომპოზიციური გადაწყვეტის ელემენტარულ უნარებს;
- ძერწვის ელემენტარულ უნარებს.

4. გრაფიკა – ნახატის ხელოვნება

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „გრაფიკა“, პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მათი ფანტაზია, შემოქმედებითობა და ხატვის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ გრაფიკულ ნამუშევარს შავი ფლომასტერით ან მელნის კალმით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

გრაფიკული ნამუშევრების რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ქაღალდის ფურცლები, უბრალო (გრაფიტის) ფანქარი და საშლელი, შავი ფლომასტერები ან მელნის კალმისტარი.

ტერმინები:

გრაფიკა

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა:

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ უკვე იციან – საღებავებით შესრულებული სურათი ფერწერის დარგს მიეკუთვნება. მაგრამ რა დარგს მიეკუთვნება ყველა სხვა მასალით შესრულებული სურათი, მაგალითად, უბრალო ან ფერადი ფანქრებით, პასტელებით, ტუშით დახატული ნამუშევრები? მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ისინი მიეკუთვნება გრაფიკის დარგს, სადაც მთავარი ფერი კი არა, ხაზია. „გრაფიკა“ ბერძნულად წერას ნიშნავს. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს შესაფერის საილუსტრაციო მასალას, მაგ., ლადო გუდიაშვილის „ნადირობა“, ოგიუსტ რენუარის „ჟიული მანეს პორტრეტი“, ენგრის „გიონ-ლეტიერის ოჯახი“, მატისის „ქალი გაშლილი თმებით“, პაბლო პიკასოს „დორა მაარის პორტრეტი“, ედგარ დეგას „მოცეკვავე, რომელიც ფეხსაცმელს ისწორებს“ და სხვ.

შინაარსის რეალიზების ფაზა:

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეასრულონ გრაფიკული ნამუშევარი. მოსწავლეები ფურცლის მარცხენა კიდეზე ხატავენ ნახევარ სახეს გაფრიალებული ტალღისებური გრძელი თმებით. თმებს ისინი აფორმებენ სხვადასხვაგვარი ხაზებითა და ორნამენტებით. ჯერ უბრალო ფანქრით სრულდება მონახაზი. როდესაც ესკიზი მზად არის, მოსწავლეები ფანქრის ხაზებს შემოავლებენ შავ ფლომასტერს ან მელნიან კალამს.

რეფლექსიის ფაზა

მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ თავიანთ ნამუშევრებს – სკოჩით ან ჭიკარტებით ამაგრებენ მათ დაფაზე ან სტენდზე. მასწავლებელი და ბავშვები საუბრობენ მათ შესახებ და უზიარებენ ერთმანეთს აზრებს. მოსწავლეები აღწერენ როგორი ხაზები გამოიყენეს და როგორი შედეგი მიიღეს, გამოთქვამენ

თავიანთ შეხედულებებს იმაზე, თუ რამდენად შეძლეს ჩანაფიქრის განხორციელება.

დამატებითი აქტივობები

შეიძლება ნამუშევრის გაფერადება ფერადი ფლომასტერებით

სასწავლო შეთავაზებები

შეაგროვეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისათვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს მათ, გამოევლინათ:

- ტერმინ „გრაფიკის“ სწორი გაგება და გამოყენება;
- შავი ფლომასტერით გრაფიკული ნამუშევრის შესრულების უნარი.

5. ვბეჭდავთ ორნამენტებს

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „ნაბეჭდი გრაფიკა“, განვავითაროთ მათი შემოქმედებითობა, დეკორატიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ქმნიან ორნამენტებს ანაბეჭდების მეშვეობით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის:

ნაბეჭდი გრაფიკის ნიმუშების რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ქაღალდის ფურცლები, მუყაო, უბრალო ფანქარი, მაკრატელი, წებო, გუაშის საღებავები.

ტერმინები:

ნაბეჭდი გრაფიკა

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები აგრძელებენ საუბარს გრაფიკის შესახებ. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ხელით შესრულებული, ანუ ნახატი გრაფიკის გარდა, რომლის მაგალითებიც მათ წინა გაკვეთილზე დაათვალიერეს, არსებობს აგრეთვე ნაბეჭდი გრაფიკაც. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა ეწოდება სხვადასხვა მასალისაგან (ხისგან, ლითონისაგან, ლინოლეუმისაგან) დამზადებულ ფირფიტაზე ამოკვეთილი გამოსახულების ანაბეჭდს (სავარაუდო პასუხი: ესტამპი). სწორედ ნაბეჭდ გრაფიკას მიეკუთვნება ესტამპი. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს რემბრანდტის „კეთილ სამარიტელს“ და „სამ ხეს“, დიურერის „წმ. იერონიმეს“, გუსტავ დორეს ზღაპრების ილუსტრაციებს და სხვ. მასწავლებელი აგრეთვე უხსნის მოსწავლეებს, რომ ნაბეჭდი გრაფიკა შეიძლება იყოს არა მარტო შავ-თეთრი, არამედ ფერადიც, და უჩვენებს მათ იაპონური გრაფიკის ნიმუშებს, მაგ., ჰოკუსაის და ჰიროსიგეს ნამუშევრებს.

შინაარსის რეალიზების ფაზა:

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გამოიყენონ ბეჭდვის ტექნიკა და გამოსახონ ფერადი ორნამენტები. ამისთვის მოსწავლეები ამზადებენ საბეჭდავებს, რისთვისაც რამდენიმე ხერხი არსებობს (იხ. ელექტრონული რესურსი). ყველაზე მარტივი ასეთი ხერხია: მუყაოზე გრაფიტის ფანქრით იხატება და გამოიჭრება რაიმე უბრალო პატარა ფორმები: წრეები, რომბები, გულები, ყვავილები და სხვ. შემდეგ უკანა მხრიდან დაწებდება სახელური – ნებისმიერი პატარა ფორმა, მაგ., კბილის პასტის ან რაიმე პატარა ბოთლის თავსახური, ან შეიძლება ამ ფორმების ფანქრის ბოლოზე ან საცობზე მიწებება, ან თუნდაც უბრალოდ პლასტილინის ნაჭრის მიმაგრება. შემდეგ წავუსვათ პალიტრაზე გუაშის საღებავები, ჩავაწოთ მუყაოს საბეჭდავები და დავბეჭდოთ ნებისმიერი სასურველი ორნამენტი.

რეფლექსიის ფაზა

როდესაც სამუშაო დასრულდება, მზა ნამუშევრებს გამოფენენ კლასში. მოსწავლეები საუბრობენ საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე, აღნიშნავენ, როგორი ფორმები და ფერებია გამოყენებული, რომელი ორნამენტები მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ. მასწავლებელი ყურადღებას აქცევს, რომ მოსწავლეთა კომენტარები პოზიტიური და მეგობრული იყოს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეთა შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენენ ისინი:

- ტერმინ „ნაბეჭდი გრაფიკის“ სწორ გაგებას და გამოყენებას;

- ფანტაზიის უნარს და შემოქმედებითობას, ფერისა და კომპოზიციის გრძნობას ნაბეჭდი ორნამენტების გამოსახვისას.



6. ვხატავთ მოცულობას ვაზარელის შთაგონებით

მიზნები: საინტერესო და ასაკისათვის შესაფერისი ფორმით მოვუთხროთ მოსწავლეებს მხატვრობაში მოცულობის გადმოცემის შესახებ, ვაზარელის ნამუშევართა გაცნობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოცულობის გადმოცემა ფერადი ხაზების მეშვეობით.

შესაბამისობა სტანდარტთან

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალები და იარაღები

მასწავლებლისთვის: რეპროდუქცია ვიქტორ ვაზარელის „ზებრას“ გამოსახულებით.

მოსწავლეთათვის: სახატავი ქაღალდის ფურცლები, ფლომასტერები.

ტერმინები:

მოცულობა

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა:

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს მხატვრობაში მოცულობას: „სურათი თვითონ ბრტყელია, მაგრამ მასზე დახატული საგნები ზოგჯერ მრგვალად, ანუ სურათის ზედაპირიდან ამობურცულად გვეჩვენებიან. ანუ იქმნება არა ნამდვილი მოცულობა, როგორც, მაგალითად, ქანდაკებაში, რომლის ხელით შეხება შეიძლება, არამედ მოჩვენებითი. არსებობს ბევრი ხერხი, რომლითაც ნახატში მოცულობის გადმოცემა შეიძლება. დღეს

საუბარი გვექნება იმაზე, თუ როგორ ქმნიან მხატვრები მოცულობის შთაბეჭდილებას პარალელური ხაზების მეშვეობით.“ მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ვიქტორ ვაზარელის „ზებრას“. ისინი საუბრობენ იმაზე, თუ რა ხატია სურათზე, იგრძნობა თუ არა ფორმათა მოცულობრიობა, როგორ ხაზებს და როგორ ფერებს იყენებს მხატვარი. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად შეასრულონ ასეთი სტილის ნამუშევარი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები დადებენ მარცხენა ხელს ფურცელზე და მარჯვენა ხელით შემოხაზავენ მის კონტურს. შემდეგ სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით გაავლებენ პარალელურ ხაზებს ხელის გარშემო, ხოლო კონტურის შიგნით დახატავენ ასევე პარალელურ მომრგვალებულ რკალებს.

რეფლექსიის ფაზა.

მზა ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები საუბრობენ თავიანთ და სხვის ნამუშევრებზე და გამოთქვამენ თავიანთ აზრს. მასწავლებელი სვამს კითხვებს: რა არის გამოსახული ნახატზე? იგრძნობა თუ არა მოცულობა? როგორი ხაზებია გამოყენებული? რა ფერებია გამოყენებული? რა მოგწონთ ამ ნამუშევარში?

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეთა შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ გამოავლინონ:

- ტერმინ „მოცულობის“ სწორი გაგება და გამოყენების უნარი;
- ვიქტორ ვაზარელის ნამუშევრის შთაგონებით ფლომასტერებით ხელის მოცულობრივი ფორმის გამოსახვის უნარი პარალელური ხაზების გამოყენებით.

7. ცოტა რამ ქანდაკების შესახებ

მიზნები: გავაღრმაოთ მოსწავლეების ცოდნა ქანდაკების დარგის შესახებ, ვიზუალური მასალის დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფორმისა და ფერის გრძნობა და პლასტილინით მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ქმნიან რელიეფს პლასტილინისაგან.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის:

ქანდაკების სხვადასხვა დარგების ნაწარმოებთა ამსახველი რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები.

მასალა მოსწავლეთათვის:

მუყაოს ფურცელი, გრაფიტის ფანქარი და საშლელი, მახვილი ჩხირები, პლასტმასის დანა (სტეკი), ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

ტერმინები

მრგვალი ქანდაკება, რელიეფი

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, უნახავთ თუ არა მათ ქანდაკებები რომლებიც ქუჩებში, პარკებში არ დაბაზებშია განლაგებული, რა ქანდაკებები იყო ეს, რომელი მოეწონათ განსაკუთრებით და რატომ. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ასეთი ქანდაკებები მრგვალია და ჩვენ შეგვიძლია, გარშემო შემოვუაროთ მათ. მათ ასეც ეწოდება – „მრგვალი ქანდაკება“.

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ უკვე იციან – ქანდაკება, იქნება ის გამოძერწილი თუ რაიმე მასალისაგან, მაგალითად, ქვის ან ხისაგან ამოკვეთილი, ყოველთვის არ არის ხოლმე მრგვალი – ხანდახან იგი რაიმე ბრტყელ ზედაპირზე, მაგალითად, შენობის კედელზე არის ხოლმე გამოსახული. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას, სადაც მოცემულია მრგვალი და რელიეფური ქანდაკების ნიმუშები და სთხოვს, რომ მიუთითონ, რომელია რელიეფი და რომელი – მრგვალი ქანდაკება. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შესასრულონ ასეთი ტექნიკით პლასტილინის ყვავილებიანი ლარნაკის რელიეფი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები მუყაოს ფურცელზე გრაფიტის ფანქრით მიანიშნებენ ლარნაკისა და ყვავილების ფორმებს. როდესაც ესკოზი მზად იქნება, რბილი პლასტილინით ქმნიან ფონს (უფრო ადვილი და სწრაფი ვარიანტია ფონის გუაშის საღებავით

შესრულება). მასზე გამოსახავენ ლარნაკის ბრტყელ ფორმას და მის ზემოთ – სხვადასხვა ფორმის ფერად-ფერად ყვავილებს..

რეფლექსიის ფაზა

სამუშაოს დასრულების შემდეგ ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები უფრთხილდებიან თავისსა და სხვის ნამუშევრებს, რომ ისინი არ დაზიანდნენ, არ დაიჭყლიტონ, არ მოხვდნენ მზიან ადგილას ან გამათბობელის სიახლოვეს. ბავშვები საუბრობენ საკუთარ და მეგობართა ნამუშევრებზე. მნიშვნელოვანია, რომ საუბრის ტონი დადებითი და კეთილგანწყობილი იყოს, თუმცა მისაღებია, გამოითქვას აზრები იმის შესახებ, თუ რა ხერხით შეიძლებოდა ნამუშევრების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია მას გამოავლინოს:

- ტერმინების „მრგვალი ქანდაკება“ და „რელიეფი“ სწორად გაგების და ხმარების უნარი;
- მუყაოზე პლასტილინით ყვავილებიანი ლარნაკის რელიეფის შექმნის უნარი.

8. საცხოვრებელი არქიტექტურა – როგორ აშენებენ სახლებს

მიზნები: პრაქტიკული აქტივობის შესრულების და მსჯელობის საფუძველზე მივმართოთ მოსწავლეთა ყურადღება საცხოვრებელი არქიტექტურის როლის მნიშვნელოვნებაზე, განვავითაროთ მათი შემოქმედებითობა, ფანტაზია და აპლიკაციის ტექნიკის ფლობის ელემენტარული უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები აპლიკაციის ტექნიკით ასრულებენ ილუსტრაციას „სამი გოჭის სახლები“.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა საცხოვრებელი არქიტექტურის მაგალითებით.

მასალა მოსწავლეთათვის:

ფერადი ქაღალდები, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, მაკრატელი, წებო, ფლომასტერები

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ პირველ კლასში მათ უკვე შეიტყვეს, რა არის არქიტექტურა და რას საქმიანობენ არქიტექტორები და სთხოვს, გაიხსენონ ეს ტერმინები (სავარაუდო პასუხი: არქიტექტორი იგონებს და ქმნის ნაგებობებს, არქიტექტურა შენების ხელოვნებაა). მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას და სთხოვს, უპასუხონ, რომელი შენობაა გამიზნული საცხოვრებლად, რომელი – სალოცავად, რომელი – სასწავლებლად, რომელი – გასართობად და ა.შ,.

ამის შემდეგ მასწავლებელი უკითხავს ან უყვება მოსწავლეებს ზღაპარს „სამი გოჭი“. მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რომ საცხოვრებელ სახლებს მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს: სახლები იცავდა გოჭებს სიცივისგან და მტრებისაგან და სწორედ სახლებისთვის შერჩეულმა მასალამ გადაწყვიტა გოჭების ბედი. შემდეგ მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს იმაზე, რომ ასეთი სახლები – თივის, ჯოხების და აგურისაგან აშენებული – მარტო ზღაპარში კი არ გვხვდება, არამედ ცხოვრებაშიც, და უჩვენებს მოსწავლეებს შესაბამის ვიზუალურ მასალას (მაგალითები იხ. ელ. რესურსში).

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გამოსახონ გოჭების სახლები აპლიკაციის ტექნიკით.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები მუყაოს ფურცელზე უბრალო ფანქრით მიანიშნებენ, სად განალაგებენ სახლებს და მოხაზავენ მათ კონტურებს. ამის შემდეგ შეასრულებენ ფონს: დააწებებენ ლურჯ „ცას“ და მწვანე „ბალახს“ (ან შეღებავენ ფონს გუაშის საღებავებით. შემდეგ მოსწავლეები გამოჭრიან ყვითელი ქაღალდისაგან თივის სახლს, ყავისფერი ქაღალდისაგან ჯოხების სახლს და წითელი ქაღალდისაგან – აგურის სახლს და დააწებებენ ფონზე. როცა წებო გაშრება, სახლების კედლებს დაამუშავებენ ფლომასტერებით: თივის სახლს დაუსვამენ მუქ ყვითელ ან ნარინჯისფერ ხაზებს, ჯოხებისას – მუქ ყავისფერს, ხოლო წითელზე შავი ან თეთრი ფერით მიახატავენ აგურებს. შემდეგ მოსწავლეები გამოჭრიან და მიაწებებენ დეტალებს: ფანჯრებს, კარებს, საკვამურებს და ა.შ. შეიძლება აგრეთვე

ფონზე ღრუბლების, ხეების, ყვავილების და გოჭების ფიგურების მიწებება ან დახატვა. როდესაც ნამუშევრები გაშრება, კლასში მოეწყობა მათი გამოფენა.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები და მასწავლებელი საუბრობენ ნამუშევრებზე, ჰყვებიან, თუ რა გამოსახეს, შეძლეს თუ არა მათ, მიემსგავსებინათ კედლების მასალის ფერი და ფორმები, რომელი სახლია უფრო ლამაზი, რომელი იქნებოდა უფრო მყუდრო, რომელი – უფრო დაცული და ა.შ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად გამოავლინეს მათ:

- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები;
- აპლიკაციის ტექნიკის საწყისი ხერხების ფლობა.



9. ქუჩა ჩვენს ქალაქში

მიზნები: მოსწავლეები მსჯელობის, ვიზუალური მასალის დათვალიერების და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე აფართოებენ თავიანთ ცოდნას გარე სამყაროს და კერძოდ ურბანული გარემოს შესახებ, აყალიბებენ საწყის წარმოდგენებს ეკოლოგიურად და სოციალურად უსაფრთხო, დადებითი გარემოს შესახებ, ავითარებენ კოლაჟის ტექნიკის ხერხების ფლობას და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ გუნდურ სამუშაოს: კოლაჟს ქალაქის ქუჩის გამოსახულებით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ქალაქების /ქუჩების ამსახველი ვიზუალური მასალა

მასალა მოსწავლეთათვის:

მუყაო, ფერადი ქაღალდები, ქსოვილის ნაჭრები, გაზეთის და შესაფუთი ქაღალდები, შპალერის და ჭრელი ჟურნალების ფურცლები, მაკრატელი, წებო, გრაფიტის ფანქარი, საშლელი

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, რომ ქალაქის მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა, რომ იგი ლამაზიც უნდა იყოს, გამწვანებულიც, მყუდროც და კომფორტულიც. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს მწვანე (მდგრადი) არქიტექტურის ნიმუშებს.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ქაღალდზე ან თხელ მუყაოზე მსუბუქად მიანიშნებენ უბრალო გრაფიტის ფანქრით კომპოზიციას – სად გამოსახავენ სახლებს, ხეებს, მანქანებს და ა.შ. ამის შემდეგ ისინი ფერადი ქაღალდების, ქსოვილის ნაჭრების, გაზეთის და შესაფუთი ქაღალდების, შპალერის და ჭრელი ჟურნალების ფურცლებისაგან გამოჭრიან საჭირო ფორმებს და დააწებებენ ფონზე. სასურველია ბევრი სხვადასხვა ფერის და ფაქტურის მასალის გამოყენება. სურათის ქვედა ნაწილზე ყველა ბავშვი მიახატავს ერთნაირ ნაცრისფერ ზოლს შუაში თეთრი წყვეტილი ხაზით – სავალ ნაწილს. ეს „გზა“ ყველას დაახლოებით ერთი ფერისა და სიგანის უნდა ჰქონდეს, რადგანაც შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები თავიანთ ნამუშევრებს სკოჩით დაამაგრებენ ერთმანეთზე, რომ გამოვიდეს ერთი გრძელი ქუჩა, სადაც ეს „სავალი ნაწილი“ ერთმანეთს დაემთხვევა.

მასწავლებელი ყურადღებას აქცევს, რომ ბავშვებმა ფრთხილად და აკურატულად იხმარონ მაკრატელი და სხვა იარაღები. მზა ნამუშევრები გამოიფინება კლასში.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა გამოსახეს მათ თავიანთ ნახატებზე, როგორი გამოვიდა მათი „ქუჩა“, რა ფერები და ფორმები

გამოიყენეს და მოუხდა თუ არა ისინი ერთმანეთს, კმაყოფილები არიან თავიანთი მუშაობის შედეგით თუ რაიმეს დაამატებდნენ ან შეცვლიდნენ. ისინი ადარებენ დახატულ ქუჩას თავიანთ საცხოვრებელ გარემოს და მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი წარმოუდგენიათ ყველაზე კომფორტული და ლამაზი ქუჩა.

დამატებითი აქტივობები

მოსწავლეებს შეუძლიათ მოიფიქრონ მოკლე მოთხრობა სახელწოდებით „როგორი უნდა იყოს ქვეყნად ყველაზე ლამაზი ქუჩა“.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მომავალი გამოფენისთვის, დეკორირებით „ჩვენი ლამაზი პლანეტა – დედამიწა”.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეთა შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლინეს მათ:

- გარემოსადმი ყურადღების და პასუხისმგებლობის შეგრძნება;
- ქალაქის ესთეტიკური, პრაქტიკული და ეკოლოგიური დანიშნულების გაგება (ელემენტარულ დონეზე);
- გუნდური მუშაობის უნარები;
- კოლაჟის ტექნიკის ფლობის ელემენტარული ხერხები.

10. სილამაზე ჩვენს გარშემო – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება“, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მათი შემოქმედებითი უნარი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები გუაშის საღებავებით ქმნიან თეფშის დეკორატიულ მოხატულობას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ამსახველი ვიზუალური მასალა.

მასალა მოსწავლეთათვის:

გუაშის საღებავები, წყლიანი ჭურჭელი, ფუნჯები, ერთჯერადი თეფშები,

ტერმინები

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს იმაზე, რომ მათ უკვე იციან ხელოვნების ზოგიერთი დარგები, მათ შორის ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და არქიტექტურა, რომლებიც სახვით ხელოვნებას მიეკუთვნება. მაგრამ არსებობს აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც სილამაზეს ანიჭებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და მას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ეწოდება. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა ნივთებს ვხედავთ და ვიყენებთ ყველაზე ხშირად (სავარაუდო პასუხები: ტანსაცმელი, ჭურჭელი, ავეჯი, ხალიჩები, ლამპები და სხვ.). მოსწავლეები ჩამოთვლიან, რისგან მზადდება ეს ნივთები (ქსოვილისაგან, ხისგან, მინისგან, ლითონისგან, თიხისაგან). მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რატომ შეიძლება იყოს ზოგიერთი ნივთი ყველაზე ლამაზი (მაგ., მას აქვს ლამაზი ფერი, შემკულია დახვეწილი ორნამენტებით, აქვს ნატიფი ფორმა და ა.შ.).

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, თავად შექმნან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში: მოხატონ ორნამენტებით ჩვეულებრივი ერთჯერადი თეფშები (იხ. ელექტრონული რესურსი). (იმ შემთხვევაში, თუ ეს მასალა რაიმე მიზეზის გამო მიუწვდომელია, შესაძლებელია სახატავი ქაღალდისაგან გამოჭრილი მრგვალი „თეფშების“ მოხატვა).

მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რა არის ორნამენტი და როგორ იქმნება იგი (რაიმე დეკორატიული ელემენტების თანაბარი განმეორებით), როგორი ელემენტების გამოყენება შეიძლება, როგორი ფერები აჯობებს და ა.შ.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები გუაშის საღებავებით მოხატავენ თეფშებს ორნამენტებით. საღებავი არ უნდა იყოს ძალიან გაზავებული, რომ ნახატი უფრო მკაფიო და მჟღერი გამოვიდეს.

რეფლექსიის ფაზა

იმის შემდეგ, რაც დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში, მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რომელი ნამუშევრები მოეწონათ განსაკუტრებით და რატომ, რა შეიტყვეს გაკვეთილზე ახალი, როგორი აზრები აქვთ მათ ამ თემასთან დაკავშირებით, რისი გაკეთება შეუძლიათ მომავალში.

სასწავლო შეთავაზებები

შეიძლება ნამუშევართა შენახვა იმისთვის, რომ მომავალში მოეწყოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისადმი მიძღვნილი საკლასო გამოფენა.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეთა შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ გამოავლინონ:

- ტერმინების „სახვითი ხელოვნების“ და „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების“ სწორი გაგებისა და გამოყენების უნარი;
- გუაშის საღებავებით ორნამენტირებული დეკორატიული თეფშის შექმნის უნარი.

11. ერთად ვაკეთებთ „შემოდგომის ხალიჩას“

მიზნები: განვამტკიცოთ მოსწავლეთა ცოდნა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ, პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე, განვავითაროთ დეკორატიული და კომპოზიციური უნარები და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ დეკორა-ტიული ორნამენტული ხალიჩის ესკიზის ფრაგმენ-ტებს და აერთიანებენ მათ დიდ საერთო-საკლასო ნამუშევარში.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, პასტელები ან ფერადი ფანქრები.

ტერმინები

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და ბავშვები საუბრობენ იმის შესახებ, რაც შეიტყვეს წინა გაკვეთილზე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ, იხსენებენ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მთავარ დარგებს (კერამიკა, მინა, ხე, ლითონი, ქსოვილი). განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ხალიჩას: ჩამოთვლიან, სად გამოიყენებენ და რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მას (აფენენ იატაკზე, კიდებენ კედელზე, აფენენ ავეჯზე). მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს, რომ მომთაბარე ხალხები ხშირად ცხოვრობდნენ ხალიჩისაგან გაკეთებულ კარვებში, სადაც ხალიშა კედლების, იატაკისა და ავეჯის როლსაც ასრულებდა. შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ხალიჩების ამსახველ ვიზუალურ მასალას, მოსწავლეები საუბრობენ ფერზე, ხაზზე, ორნამენტზე, რიტმზე. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, რომ ყოველმა მათგანმა დახატოს ერთ ფურცელზე „შემოდგომის ხალიჩის“ დეტალი, შემდეგ კი ამ ფრაგმენტებს გააერთიანებენ და საერთო „ხალიჩას“ მიიღებენ.

შინაარსის რეალიზების ფაზა

სამუშაოს დაწყებამდე მასწავლებელი ცარცით ან მარკერით ხატავს დაფაზე ხალიჩის სქემას: მოსწავლეები ორი დიაგონალური ხაზით ყოფენ კვადრატულ ფურცელს ოთხ სამკუთხედად, ცენტრში იხატება შემოდგომის დიდი ფოთოლი, კიდეებში – უფრო მცირე ზომის ნახევარ-ნახევარი ფოთოლი. შემდეგ მოსწავლეები სკოჩით ამაგრებენ ნამუშევრებს ერთმანეთზე (უკანა მხრიდან) და კიდებენ „ხალიჩას“ კედელზე.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდნენ ისინი ერთად, იყო თუ არა ერთად მუშაობა სახალისო და მხიარული პროცესი, როგორი გამოვიდა

მათი საერთო ნამუშევარი. მნიშვნელოვანია, რომ საუბრის ტონი დადებითი და კეთილგანწყობილი იყოს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეთა შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ გამოავლინონ:

- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები;
- დეკორატიული და კომპოზიციური უნარები;
- ფერისა და ფორმის გრძნობა.

12. მხატვარი საკუთარი თვალით

მიზნები: პრაქტიკული სამუშაოს შესრულების და შესაბამისი ვიზუალური მასალის გაცნობის საფუძველზე მოსწავლეები ეუფლებიან საკუთარი თავის გამოსახვის ელემენტარულ უნარებს.

ამოცანები: მოსწავლეები ხატავენ ავტოპორტრეტს ფერადი ფანქრებით..

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები ცნობილი მხატვრების ავტოპორტრეტებით, პროექტორი.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, საშლელი.

ტერმინები

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

შინაარსის რეალიზების ფაზა

* თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ არც მასწავლებელი და არც მოსწავლეები არ უნდა მოელოდნენ, რომ ამ გაკვეთილის შედეგად მოსწავლე ადამიანის სრულიად რეალისტურ გამოსახულებას შეასრულებს – ასეთი მიზანი მის წინაშე არ დგას.

მთავარია, რომ გადმოიცეს ფიგურის მიახლოებითი პროპორციები, პოზა და რაიმე სახასიათო დეტალები.

მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს ადამიანის ფიგურის აგების ზოგად წესებს. იგი დაფაზე ცარცით ან მარკერით ხატავს ფიგურის ზოგად სქემას.

მოსწავლეები ანაწილებენ კომპოზიციას სასურათო სიბრტყეებზე, ხატავენ ესკიზს გრაფიტის ფანქრით და შემდეგ აფერადებენ მას ფერადი ფანქრებით (ან სურვილის შემთხვევაში პასტელებით), ამატებენ მეტყველ და სახასიათო დეტალებს.

რეფლექსიის ფაზა

გაკვეთილის ბოლოს ეწყობა გამოფენა: ნამუშევრებს სკოჩით ამაგრებენ დაფაზე ან სტენდზე. ისინი საუბრობენ იმაზე, თუ რა არის გამოსახული მათ ნამუშევრებზე, რისი ჩვენება უნდოდათ, გამოუვიდათ თუ არა ჩანაფიქრი, რას მიხვდნენ თავიანთი კლასელების შესახებ მათი ავტოპორტრეტების მეშვეობით და ა.შ. მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ კლასში იყოს კეთილგანწყობილი, მეგობრული და საქმიანი ატმოსფერო და საჭიროების შემთხვევაში აღკვეთოს არაკეთილგანწყობილი ან არასერიოზული კომენტარების მცდელობა.

სასწავლო შეთავაზებები

შეაგროვეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისათვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ როგორ შეუძლია მას გამოავლინოს:

- ფერადი ფანქრებით ავტოპორტრეტის დახატვის უნარი.

13. ვხატავთ ნატურმორტს ნატურიდან

მიზნები: პრაქტიკული აქტივობის შესრულების და შესაბამისი ნაწარმოებების გაცნობის საფუძველზე განვავითაროთ დაკვირვების უნარი, განვამტკიცოთ ნატურიდან ხატვის ჩვევა, ნატურმორტის კომპოზიციის აგების საწყისი უნარები და პასტელით მუშაობის ტექნიკის საფუძვლები.

ამოცანები: მოსწავლეები ხატავენ ნატურიდან ნატურმორტს პასტელებით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები ცნობილი მხატვრების ნამუშევრებით, დაფა და ცარცი ან სტენდი და მარკერი.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები, გრაფიტის (უბრალო) ფანქარი, საშლელი, პასტელები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს კითხვებს: „მოდით გავიხსენოთ, რა ეწოდება ისეთ სურათს, რომელზეც უსულო საგნებია გამოსახული?“ (სავარაუდო პასუხი: ნატურმორტი). „რა შეიძლება, რომ გამოისახოს ნატურმორტზე?“ (სავარაუდო პასუხი: ჭურჭელი, ხილი და ბოსტნეული, ყვავილები და სხვ.) მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ ნატურმორტი ძალზე მნიშვნელოვანი ჟანრია და მას ძალიან ბევრი მხატვარი ძველი დროიდან მისდევდა. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს შესაბამის რეპროდუქციებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს საკუთარი არჩევანის მიხედვით და უყვება მათ შესახებ, მაგალითად, რომელი მათგანია აღებული მინოსური ფრესკებიდან, რომლებიც უძველეს დროს კუნძულ კრეტაზე აგებულ სასახლეს ამკობდა, რომელი – ძველი რომის ფრესკებიდან, რომელი – შუა საუკუნეების ნაწარმოებებიდან და ა.შ., აგრეთვე სასურველია კლასიკური ჰოლანდიური ან ფლანდრიული ნატურმორტების და ქართველი მხატვრების ნაწარმოებების მაგალითების ჩვენება. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განსაკუთრებით ყურადღებით დააკვირდნენ ერთ-ერთ ნატურმორტს, (სასურველია, რომ მასზე მცირე რაოდენობის, მაქსიმუმ 3-4 ნივთი იყოს გამოსახული), და ეკითხება, რა საგნებია გამოსახული, რომელია წინ და რომელი – უკან, რომელი ეფარება სხვა ნივთს, რაზე აწყვია ისინი (მაგიდაზე, თაროზე, ბალახზე და სხვ.). ამის შემდეგ მასწავლებელი აწყობს მაგიდაზე 3 ნივთისაგან შემდგარ ნატურმორტს. ერთი ნივთი დიდი უნდა იყოს, მაგ., გოგრა ან ნესვი, ორი დანარჩენი – უფრო მომცრო, მაგ., ვაშლი და ქლიავი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი დაფაზე ცარცით (ან სტენდზე მარკერით) უჩვენებს მოსწავლეებს, როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა გააკეთონ ესკიზი

ფანქრით (მაგალითისთვის იხ. ელექტრონული რესურსი): ჯერ მონიშნონ თხელი ხაზებით, სად იქნება ცენტრი, შემდეგ მიანიშნონ ჯერ უკანა, შემდეგ კი წინა ნივთები. მერე დაამატონ დეტალები, მაგ., ყუნწები ან ფოთლები და ბოლოს მოინიშნება მაგიდის აღმნიშვნელი ხაზი. შემდეგ მოსწავლეები აფერადებენ ესკიზს პასტელებით.

რეფლექსიის ფაზა

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი და ბავშვები სტენდზე ან კედელზე გამოფენენ ნახატებს. ისინი საუბრობენ თავიანთ და სხვის ნამუშევრებზე, აღნიშნავენ, რა და როგორ არის გამოსახული ნახატებზე, რა მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ.

სასწავლო შეთავაზებები

შეაგროვეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლე უნდა შევაფასოთ იმის მიხედვით, თუ როგორ შეუძლია მას გამოავლინოს:

- ნანახი ნატურმორტების აღწერის უნარი;
- ნატურიდან ხატვის უნარი (ელემენტარულ დონეზე);
- კომპოზიციური ესკიზის შესრულების უნარი;
- პასტელით მუშაობის უნარ-ჩვევები.

14. ფოთოლცვენა – ვხატავთ პეიზაჟს წარმოსახვით

მიზნები: პრაქტიკული აქტივობის შესრულების და შესაბამისი ნაწარმოებების გაცნობის საფუძველზე განვავითაროთ წარმოსახვა და ხედვითი მეხსიერება, კომპოზიციის აგების საწყისი უნარები და პასტელით მუშაობის ტექნიკის საფუძვლები.

ამოცანები: მოწაფეები წარმოსახვის მეშვეობით ხატავენ შემოდგომის პეიზაჟს ფერადი ფანქრებით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.II.1, ს.გ.II.4, ს.გ.II.7, ს.გ.II.11.

მასალა მასწავლებლისათვის

დაფა, ფერადი ცარცები, ან დიდი ფურცლები და პასტელები. რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები ცნობილ მხატვართა ნამუშევრებით, პროექტორი.

მასალა მოსწავლეებისათვის

სახატავი ფურცლები, შავი გრაფიტის ფანქარი, ფერადი ფანქრები, საშლელი.

ტერმინები

ჰორიზონტის ხაზი

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს კითხვებს: „მოდით, გავიხსენოთ, თუ გინახავთ შემოდგომის ხედი? როგორ მოგეწონათ იგი? როგორ გამოიყურებოდა მთები, მინდვრები, ტყე? ყველაზე მეტად რომელი ფერები დაგვჭირდება ასეთი პეიზაჟის დასახატად?”. შემდეგ მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ ბუნების გამოსახვა მხატვრებმა ძალზე შორეულ წარსულში დაიწყეს. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს შესაბამის რეპროდუქციებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს საკუთარი არჩევანის მიხედვით და უყვება მათ შესახებ: როდის და სად არის შესრულებული ესა თუ ის ნაწარმოები, რა არის მასზე გამოსახული და ა.შ. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ შემოდგომის პეიზაჟი და ფოთოლცვენა და აღწერონ, რას დახატავენ თავიანთ ნახატებზე და რა ფერებს გამოიყენებენ.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი დაფაზე ცარცით (ან სტენდზე მარკერით) უჩვენებს მოსწავლეებს, როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა გააკეთონ ესკიზი ფანქრით: ჯერ მონიშნონ თხელი ხაზებით, სად იქნება ცენტრი, შემდეგ მიანიშნონ, სად იქნება გამოსახული ხეები, ბუჩქები და სხვ. მერე დაამატონ დეტალები, მაგ., ჰაერში მოფარფატე და მიწაზე დაცვენილი სხვადასხვა ზომის ჭრელი ფოთლები. შემდეგ ესკიზი ფერადი ფანქრებით უნდა შეფერადდეს. ამის შემდეგ მოსწავლეები ხატავენ შემოდგომის პეიზაჟს აღწერილი ხერხით. აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ მოსწავლეებმა ზუსტად კი არ უნდა გაიმეორონ ნაჩვენები მაგალითი, არამედ შეუძლიათ და უმჯობესიცაა, დამოუკიდებლად მოიფიქრონ საკუთარი ვარიანტები.

რეფლექსიის ფაზა

დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ ნამუშევრების შესახებ, აღწერენ, რა გამოსახეს, რა ფერები და ფორმებია გამოყენებული ამ ნამუშევრებში, როგორი განწყობა იგრძნობა, და ა.შ. მასწავლებელი ყურადღებას აქცევს, რომ მოსწავლეთა კომენტარები პოზიტიური მეგობრული და იყოს და ამავე დროს იყოს საქმიანი საუბარი იმაზე, თუ რისი შეცვლა ან დამატება გააუმჯობესებდა ნახატებს.

დამატებითი აქტივობები

შესაძლებელია:

- ნამუშევრის შესრულება სხვა ტექნიკით, მაგ., პასტელებით, გუაშის ან აკვარელის საღებავებით;
- ნახატზე პატარა ფერადი ფოთლების დაწებება.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეთა შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ გამოავლინონ:

- ფერადი ფანქრებით შემოდგომის პეიზაჟის წარმოსახვით დახატვის უნარი.

15. ფერების სამყარო – ძირითადი და შედგენილი ფერები (გაკვეთილი I)

მიზნები: საინტერესო და ასაკისათვის შესაფერისი ფორმით მოვუთხროთ მოსწავლეებს ძირითადი და შედგენილი ფერების შესახებ, სტიმული მივცეთ შემოქმედებითი უნარისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარებას, დავეხმაროთ მოტორიკის დახვეწასა და მხედველობითი მეხსიერების განმტკიცებაში.

ამოცანები: ვასწავლოთ საგნებისა და ცხოველების გამოსახვა მარტივი ფორმების, ძირითადი და შედგენილი ფერების გამოყენებით, ფურცელზე კომპოზიციის ელემენტების სწორი განლაგება და მასალათა და იარაღთა სწორად ხმარება.

შესაბამისობა სტანდარტთან;

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

ინტეგრირება:

ბუნება

მასალები და იარაღები

მასწავლებლისთვის: პლაკატი ფერების წრის გამოსახულებით, ბარათები სხვადასხვა ფერის საგანთა ამსახველი სურათებით, რეპროდუქცია მატისის „წითელი ოთახით" ან სხვა შესაფერისი გამოსახულება,

მოსწავლეთათვის: სახატავი ქაღალდის ფურცლები, ფერადი ფანქრები, საშლელი.

ტერმინები:

ძირითადი ფერები, შედგენილი ფერები, ფერების ბორბალი, შეზავება,

გაკვეთილის გეგმა:



1. გამოწვევის ფაზა 3–5 წთ;
2. თამაში „გამოიცანი ფერები" 8–10 წთ;
3. პრაქტიკული სამუშაო 20-25 წთ;
4. შემაჯამებელი გამოფენა 8–10წთ.

გაკვეთილის მსვლელობა:

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს ბუნებაში არსებული ფერების შესახებ, სვამს კითხვებს, მაგ. „რომელი ფერები იცით? რომელი ფერები გიყვართ?" და ა.შ. მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს რომელიმე ცნობილი მხატვრის ისეთ რეპროდუქციას, სადაც ნათლად გაირჩევა პირველადი და მეორადი ფერები, მაგ., მატისის „წითელ ოთახს", და სთხოვს ჩამოთვალონ, თუ რა ფერებს ხედავენ სურათზე. შემდეგ უჩვენებს პლაკატს „ფერების წრის" გამოსახულებით და უხსნის, რომ წითელი, ყვითელი და ლურჯი **ძირითადი ფერებია**, რომლებიც, ყველა სხვა ფერებისაგან განსხვავებით, ფერთა შეზავებით არ მიიღება, ამიტომაც ეწოდებათ მათ „ძირითადი". ამ წრეზე გამოსახული დანარჩენი ფერები – ნარინჯისფერი, იისფერი და მწვანე კი **შედგენილი ფერებია**, რომლების მისაღებად პირველადი ფერების შეზავებაა საჭირო.

ამის შემდეგ ტარდება თამაში „გამოიცანი ფერები": მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს სურათებს სხვადასხვა საგანთა გამოსახულებით და სთხოვს, ტაში დაუკრან იმ შემთხვევაში, თუ საგანი ძირითადი ფერისაა. იგებს ის, ვინც ყველაზე ნაკლებ შეცდომას დაუშვებს.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს, ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ უნდა გამოსახონ სხვადასხვა საგნები და ცხოველები, მაგ. ბურთი, თევზები, ჭიამაია ან პეპელა, (შეიძლება სხვა საგნების არჩევა სურვილის შემთხვევაში). ამ გამოსახულებათა ფორმა ძალზე უბრალოა და იგება წრეზე, რომელიც მიიღება რაიმე მრგვალი საგნის შემოხაზვით. (მაგ, მონეტის, ჭიქის ძირის და სხვ.) შემდეგ წრეს ემატება საჭირო დეტალები; თვალები, კუდები, ფარფლები ან ფრთები და ა.შ. გამოსახულებანი უნდა შეფერადდეს ძირითადი ფერებით. მასწავლებელს შეუძლია,

მთელ კლასს ერთნაირი დავალება მისცეს ან, უმჯობესია, შესთავაზოს ბავშვებს, თავად აირჩიონ რამდენიმე შემოთავაზებიდან ერთ-ერთი. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში რჩევას აძლევს ან სხვა სახით უწევს დახმარებას ბავშვებს. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აწყობენ გამოფენას: მზა ნამუშევრებს სკოჩით ამაგრებენ ქაღალდის დიდ ფორმატზე ან ჭიკარტებით სტენდზე.

რეფლექსიის ფაზა.

მოსწავლეები საუბრობენ თავანთ და სხვის ნამუშევრებზე და გამოთქვამენ თავანთ აზრს. მასწავლებელი სვამს კითხვებს: რა არის გამოსახული ნახატზე? რა ფერებია გამოყენებული? გინახავთ თუ არა ასეთნაირად შეფერილი საგნები? ჰგავს თუ არა ისინი ნამდვილს თუ უფრო ფანტაზიის ნაყოფია? თუ არის საგნები ლამაზად განლაგებული ფურცელზე? რა მოგწონთ ამ ნამუშევარში?

დამატებითი აქტივობები

დამატებითი მუშაობის ფარგლებში შესაძლებელია:

- მოსწავლეებმა გამოჭრან და დააწებონ ძირითადი ფერის ფორმები.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეთა შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ გამოავლინონ:

- ძირითადი და შედგენილი ფერების გარჩევისა და დასახელების უნარი.
- ძირითადი ფერების მეშვეობით მარტივი გამოსახულებების შექმნის უნარი.

ხელოვნების ნაწარმოებში ძირითადი ფერების გარჩევის უნარი.

16. ფერების სამყარო (გაკვეთილი II) – ყვავილებიანი ნატურმორტი

მიზნები: განვამტკიცოთ მოსწავლეების ცოდნა ძირითადი და შედგენილი ფერების შესახებ მარტივი ექსპერიმენტებისა და პრაქტიკული აქტივობების საფუძველზე, გავაცნოთ მათ ტერმინი „ნატურმორტი“, განვავითაროთ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ვარჯიშობენ შედგენილი ფერების მიღებაში და თითებით ასრულებენ ჯგუფურ ნამუშევარს „ყვავილებიანი

ლარნაკი“.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის:

რეპროდუქციები ნატურმორტების გამოსახულებით, ფერების ბორბლის გამოსახულებიანი პლაკატი, სამი წყლიანი ქილა, გუაშის საღებავები.

მასალა მოსწავლეთათვის:

დიდი ფორმატის სახატავი ფურცლები, გუაშის საღებავები, პალიტრები, წყლიანი ჭურჭელი.

ტერმინები

ფერების ბორბალი, შეზავება, ნატურმორტი

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მოსწავლეები იხსენებენ წინა გაკვეთილის მასალას და პასუხობენ შეკითხვებს: „რომელია ძირითადი ფერები?“ „რატომ ეწოდებათ მათ ასე?“ „რა საგნებია შეფერილი ძირითადი ფერებით?“ „რომელია შედგენილი ფერები?“ „რა საგნებია შეფერილი შედგენილი ფერებით?“ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ცნობილი მხატვრების შესაფერის ნამუშევრებს, მაგალითად, მატისის „ფორთოხლებიან ნატურმორტს“, და სთხოვს ბავშვებს, აჩვენონ და დაასახელონ შედგენილი და ძირითადი ფერები. აქვე მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ „ნატურმორტი“ ეწოდება ისეთ სურათს, რომელზეც გამოსახულია ყვავილები, ხილი, ჭურჭელი ან სხვა უსულო საგნები.

შემდეგ მასწავლებელი ატარებს ექსპერიმენტს: სამ წყლიან ქილაში იგი აწვეთებს ძირითადი ფერის საღებავების ორ-ორ წვეთს: 1. წითელს და ლურჯს, 2. წითელს და ყვითელს და 3. ყვითელს და ლურჯს. მოსწავლეები ხმამაღლა ასახელებენ თითოეულ შემთხვევაში მიღებულ ფერს (იისფერი, ნარინჯისფერი, მწვანე).

შინაარსის რეალიზების ფაზა:

ბავშვები, რომლებსაც პალიტრაზე უდევთ მხოლოდ სამი ძირითადი საღებავი, აგრძელებენ ამ ცდას და სველ ქაღალდზე აწვეთებენ და ფუნჯით ავლებენ ხაზებს, ერთმანეთში ურევენ ამ ფერებს და აკვირდებიან შედეგს. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, უნახავთ თუ არა მათ ისეთი ყვავილები, რომლებიც შედგენილი ფერებით იხატება (იები, იასამანი, ზაფრანები, სუმბული, ტიტები, შროშანები, გეორგინები). მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ყოველი ჯგუფი დიდ სუფთა ფურცელზე თითებით ხატავს ყვავილებიან ლარნაკს ძირითადი და შედგენილი ფერებით.

რეფლექსიის ფაზა

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აწყობენ გამოფენას: მზა ნამუშევრებს სკოჩით ამაგრებენ ქაღალდის დიდ ფორმატზე ან ჭიკარტებით სტენდზე. ისინი საუბრობენ იმაზე, თუ რა ფერებია გამოყენებული ნახატებზე და იმაზე, თუ კიდევ რისი დახატვა შეიძლება მომავალში ამ ფერებით (მაგ. თევზების, ჩიტების, მედუზების და ა.შ.).

დამატებითი აქტივობები

შესაძლებელია:

- გაკვეთილზე შედგენილი ფერებით მოხატული ფურცლების გამოყენება ფერადი კონვერტების ან „ქარის სატრიალების“ გასაკეთებლად (იხ. ელექტრონული რესურსი)

სასწავლო შეთავაზებები

შეაგროვეთ ჯგუფური ნამუშევრები საკლასო გამოფენისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენენ ისინი:

- გარემოში ძირითადი ფერების გარჩევისა და დასახელების უნარს;
- ხელოვნების ნაწარმოებში ძირითადი და შედგენილი ფერების გარჩევის უნარს;
- ძირითადი და შედგენილი ფერების მეშვეობით თითებით მარტივი ყვავილებიანი ლარნაკის შექმნის უანრს;
- ტერმინ „ნატურმორტის“ სწორად გაგებას და ხმარებას;
- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

17. ფოთლის არსებები

მიზნები: პრაქტიკული დავალების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფორმისა და ფერის გრძნობა, ხელის მოტორიკა, შეხებითი შეგრძნებები, შემოქმედებითობა და დაკვირვების უნარი, განვამტკიცოთ კოლაჟის შესრულების მარტივი ხერხების ფლობა.

ამოცანები: მოსწავლეები აკეთებენ კოლაჟებს სხვადასხვაგვარი ფოთლებისაგან..

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

მასალა მოსწავლეთათვის:

სქელი ქაღალდი ან თხელი მუყაო, წებო, სხვადასხვა ფორმის, ზომის, ფერისა და ფაქტურის ფოთლები, თესლები, მძივები, ფლომასტერები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

გაკვეთილის დაწყებამდე აუცილებლად წინასწარ უნდა იყოს მომზადებული კოლაჟის შესრულებისთვის საჭირო მასალა: სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ფოთლები. თუ რაიმე მიზეზის გამო ფოთლების შეგროვება ვერ ხერხდება, შეიძლება კომპიუტერიდან ამოიბეჭდოს შესაფერისი ფოთლების გამოსახულებები და დაურიგდეს მოსწავლეებს.

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, რომ ბუნებაში მრავალი სხვადასხვანაირი ხე არსებობს და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ისინი. მოსწავლეები ყვებიან, სად და როდის უნახავთ ისინი.. ამის შემდეგ ბავშვები ათვალიერებენ ფოთლებს და ამსგავსებენ მათ რაიმე რეალურ ან ფანტასტიკურ

არსებებს.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ქაღალდის ფურცელზე აწებებენ სხვადასხვა ფოთლებს ისე, რომ მიამსგავსონ ისინი რაიმე არსებებს. რაიმე მარცვლების ან მძივების დაწებებით ისინი გამოსახავენ დეტალებს: თვალებს, ცხვირებს და ა.შ. სხვა საჭირო დეტალებს მიახატავენ ფერადი ფლომასტერებით. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენს მოსწავლეებს.

რეფლექსიის ფაზა

დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები ცდილობენ, ფრთხილად მოექცნენ ნამუშევრებს, არ დააზიანონ ისინი. მოსწავლეები საუბრობენ თავიანთ და სხვის ნამუშევრებზე, გამოთქვამენ იდეებს იმის შესახებ, თუ ვინ არის გამოსახული და რა მოეწონათ განსაკუთრებით და რატომ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები საკლასო გამოფენისთვის „ცხოველთა სამყარო“.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია მას გამოავლინოს:

- ფანტაზიის უნარი და დაკვირვებულობა;
- კოლაჟის შესრულების უნარ-ჩვევები.



18. აფრიკა!

მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი მათთვის უცნობი ქვეყნების მიმართ, გავაღრმაოთ მათი წარმოდგენა დედამიწის შორეული კუთხეების შესახებ, განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია და წარმოსახვის უნარი და გუაშის საღებავებით მუშაობის უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები ხატავენ აფრიკას წარმოსახვით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები მოცემულ თემაზე.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები, გრაფიტის ფანქარი და საშლელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს იმის შესახებ, უყვართ თუ არა მათ მოგზაურობა და რომელი ქვეყნები აინტერესებთ. შემდეგ მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას აფრიკაზე და ესაუბრება მოსწავლეებს აფრიკის ბუნებაზე, მის მრავალფეროვნებაზე, უდაბნოებზე, ჯუნგლებზე, პალმებსა და ბაობაბებზე, უზარმაზარ ველებზე – სავანებზე, აფრიკაში მცხოვრებ ცხოველებზე. მასწავლებელი უჩვენებს აფრიკის პეიზაჟებისა და ცხოველთა სამყაროს ამსახველ ვიზუალურ მასალას. ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ და გამოსახონ აფრიკული პეიზაჟი და რომელიმე ცხოველი, მაგ., სპილო ან ჟირაფი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მუშაობის დაწყების წინ მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, მოიფიქრონ, როგორ პეიზაჟს დახატავენ, სად განათავსებენ ცხოველებს, რამდენად კარგად მოთავსდება ისინი სასურათო სიბრტყეზე, კიდევ რა დეტალების დახატვა სურთ და ა.შ. მასწავლებელი დაფაზე ცარცით ან მარკერით აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ იხატება ნაბიჯ-ნაბიჯ ესა თუ ის ცხოველი (იხ. ელექტრონული რესურსი). შემდეგ ბავშვები ჯერ ასრულებენ მონახაზს უბრალო ფანქრით, შემდეგ კი აფერადებენ მას გუაშის საღებავებით. დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რა გამოსახეს თავის ნამუშევრებზე, რა არის, მათი აზრით, ყველაზე საინტერესო აფრიკასთან დაკავშირებით, რას გრძნობდნენ, როდესაც ამ სურათებს ხატავდნენ, რისი გადმოცემა უნდოდათ თავიანთ ნამუშევრებში, შეძლეს თავიანთი ჩანაფიქრის გადმოცემა თუ რაიმეს დამატება ან შეცვლა სურთ, რომელი ნამუშევარი მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ.

დამატებითი აქტივობები

მოსწავლეებმა შეიძლება დახატონ სურათების გარშემო ლამაზი ორნამენტირებული ჩარჩოები და აჩუქონ ისინი თავიანთ ოჯახის წევრებს.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ ნამუშევრები მოსწავლეთა პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მათ გამოევლინათ:

- წარმოსახვით ეკზოტიკური პეიზაჟის და ცხოველების მოფიქრების უნარი;
- სასურათო სიბრტყის სწორი კომპოზიციური გამოყენების უნარი;
- გუაშის საღებავებით მუშაობის საწყისი უნარები.

19. შემაჯამებელი გაკვეთილი

მიზნები: მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება.

ამოცანები: მოსწავლეები მონაწილეობენ ინტელექტუალურ თამაშში „მოძებნე ზედმეტი“ და აგრეთვე პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე ახდენენ ათვისებული უნარების დემონსტრირებას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა – რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები, სადაც ასახულია სხვადასხვა დარგის ნაწარმოებები, პროექტორი.

გაკვეთილის გეგმა

1. შესავალი საუბარი 3 წთ;
2. საკონტროლო აქტივობა „უპასუხე შეკითხვებზე“ 12 წთ;
3. პრაქტიკული აქტივობა 15 წთ;
4. შედეგების ანალიზი 5 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები აღნიშნავენ, რომელი ახალი ტერმინები და ცნებები შეისწავლეს, რა ტექნიკებს გაეცნენ, რომელ ახალ უნარ-ჩვევებს დაეუფლნენ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რა შეიტყვეს ახალი (მაგალითად, მათ იციან და შეუძლიათ ახსნან, თუ რა არის მოზაიკა, პიქტოგრამა, სტატუეტი და სილუეტი, რა არის და რისთვისაა საჭირო ციხე-კოშკი, ისინი გაეცნენ ზოგიერთი უცხო ქვეყნის, მაგალითად, ეგვიპტის და იაპონიის კულტურული მემკვიდრეობის მაგალითებს, გაეცნენ ქართველი და უცხოელი მხატვრების ნაწარმოებებს, აგრეთვე ფლობენ ფერადი ფანქრებით, პასტელით, აკვარელის და გუაშის საღებავებით და პლასტილინით მუშაობის ძირითად (მარტივ) ხერხებს, შეუძლიათ შერეული მასალით მუშაობა, ფერადი ქაღალდის და სხვა შესაფერისი მასალის დაწებებით ბრტყელი ან მოცულობრივი ნამუშევრების შექმნა და არატრადიციული მასალების გამოყენება.

შინაარსის რეალიზების ფაზა

თამაში „მოძებნე ზედმეტი“. მასწავლებელი ჰყოფს კლასს ჯგუფებად და უჩვენებს რეპროდუქციებს, სადაც ასახულია ერთტიპური ნაწარმოებები ერთი გამონაკლისით: მაგ., რამდენიმე მრგვალი ქანდაკება და ერთი – რელიეფი, რამდენიმე მოზაიკა და ერთი ფერწერული ნამუშევარი და ა.შ. მასწავლებელი თავად ირჩევს, რა შეკითხვები დაუსვას მოსწავლეებს, მაგრამ ეს კითხვები ამ წელს გავლილი მასალის სფეროდან უნდა შეირჩეს.

თამაშის წესები: ჯგუფები პასუხობენ ერთმანეთის მიყოლებით, ისინი თითო ქულას (ვარსკვლავს, გულს, ყვავილს) იღებენ სწორ პასუხში, თუ პასუხი არასწორია, შემდეგი ჯგუფი პასუხობს იმავე კითხვას. მასწავლებელი აქცევს ყურადღებას, რომ თამაშის წესები დაცული იყოს.

პრაქტიკული აქტივობა. პრაქტიკული უნარების დემონსტრირების მიზნით მოსწავლეები ასრულებენ მცირე მოცულობის პრაქტიკულ დავალებას, მაგ., კომპოზიციას სასურველი მასალით თავისუფალ თემაზე.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ ჩატარებულ თამაშზე და აფასებენ მიღებულ შედეგებს. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად გამოავლინეს მათ მიღებული ცოდნა და რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეს ცოდნა კიდევ უფრო გაღრმავდეს. ასევე საუბრობენ შესრულებულ ნამუშევრებზე. მასწავლებელი მიუთითებს, თუ რა მიღწევები გამოავლინეს მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების თვალსაზრისით და რისი დაუფლება იქნება კიდევ საჭირო. მასწავლებლის საუბარი ხელს უნდა

უწყობდეს მოსწავლეების მოტივაციას, იყოს დადებითი და პოზიტიური, მაგრამ ამავე დროს შეიცავდეს საქმიან რჩევებს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ:

- თამაშის მსვლელობის დროს გამოვლენილი ცოდნისა და უნარების მიხედვით;
- პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევების მიხედვით.

20. მეგობრების მგზავრობა

მიზნები: მოსწავლეები პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე ეუფლებიან აპლიკაციის ტექნიკის საფუძვლებს, ავითარებენ წარმოსახვის უნარს და შემოქმედებითობას და გუნდური მუშაობის უნარებს.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ აპლიკაციას „მხიარული მატარებელი“.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა მოსწავლეთათვის:

ფერადი ქაღალდები, წებოს ფანქარი, ფუნჯი, მაკრატელი, ფლომასტერები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ უმოგზაურიათ მათ სადმე, როდის, ვისთან ერთად, რა შთაბეჭდილებები დარჩათ მათ და ა. შ. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რითი მოგზაურობდნენ ისინი – მანქანით, თვითმფრინავით, მატარებლით თუ გემით და როგორ მოეწონათ ეს სატრანსპორტო საშუალება. შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გუნდურ აქტივობას: წარმოიდგინონ, რომ ისინი მეგობრებთან ერთად მატარებლით მიდიან სამოგზაუროდ და გამოსახონ ეს სცენა ფერადი ქაღალდებისაგან შექმნილი აპლიკაციით, ბოლოს კი ნახატები მიამაგრონ ერთმანეთს.

შინაარსის რეალიზების ფაზა

თავდაპირველად მოსწავლეები უბრალო ფანქრით ასრულებენ ესკიზს და მიანიშნებენ, სად განლაგდება პეიზაჟის დეტალები, მაგ., მთები, ხეები და ა.შ, მატარებლის ლიანდაგები, ვაგონები და ელმავალი. მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ ლიანდაგების ხაზები ყველა ნახატზე ერთნაირად უნდა იყოს ფურცელზე განლაგებული და თვალყურს ადევნებს, რომ ნახატები თავსებადი იყოს. შემდეგ მოსწავლეები გამოჭრიან და დააწებებენ ლურჯ ცას და თეთრ ღრუბლებს, მწვანე მთებს ან მდელოს, ზედ დააწებებენ სხვადასხვა ფერის მართკუთხედებს – ვაგონებს, ვაგონებზე კი მომცრო თეთრ ან სხვა ღია ფერის მართკუთხედებს – ფანჯრებს. ფანჯრებში ფლომასტერებით ჩახატავენ მხიარულ სახეებს, გარშემო მიახატავენ ან მიაწებებენ დეტალებს – ყვავილებს, პეპლებს ან ჩიტებს. როდესაც ნამუშევრები დასრულდება, მოსწავლეები სკოჩით აწებებენ მათ ერთმანეთზე და მიღებულ ერთიან ნამუშევარს გამოაკრავენ კლასში.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ ნამუშევრების შესახებ, ყვებიან, თუ ვინ და რა გამოსახეს, მსჯელობენ ფერებზე, ფორმებზე, მათ განლაგებაზე, იმაზე, თუ რა განწყობის გამოხატვა უნდოდათ და რამდენად შეძლეს ჩანაფიქრის განხორციელება.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ ნამუშევრები მოსწავლეთა პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვთ, რამდენად შეძლეს მათ გამოევლინათ:

- წარმოსახვით შექმნილი სცენის გამოსახვის უნარი;
- აპლიკაციის საფუძვლების დაუფლება;
- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები.

21. როგორ მოძრაობენ დახატული ფიგურები

მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერების, უშუალო დაკვირვებისა და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი, შემოქმედებითობა და ხატვის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები პასტელის ტექნიკით ასრულებენ ნამუშევარს მოძრავი ფიგურების გამოსახულებით..

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

შესაფერისი ვიზუალური მასალა მოძრავი ფიგურების გამოსახულებით.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ქაღალდები, უბრალო ფანქარი და საშლელი, პასტელები ან ფერადი ფანქრები

ტერმინები

მოძრაობა

გაკვეთილის გეგმა

1. შესავალი საუბარი 10 წუთი;
2. პრაქტიკული სამუშაო 25 წუთი;
3. წარდგინება 10 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ. რომ ხელოვნების ზოგიერთი დარგი, მაგალითად, კინო, გამოსახავს ადამიანებს მოძრაობის მომენტში, მაგრამ სახვითი ხელოვნების დარგები თავისთავად უმოძრაოა. თუმცა მხატვარს და მოქანდაკეს შეუძლია გამოსახოს ადამიანი ისეთ პოზაში, რომ მაყურებელი ხვდება: ეს ადამიანი მირბის, ხტება, ცეკვავს და ა.შ. შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას მოძრავი ფიგურების გამოსახულებით და სთავაზობს მოსწავლეებს, კარგად დააკვირდნენ ფიგურების პოზებს და სცადონ მათი გამეორება. ბავშვები იმეორებენ მოძრაობებს და აღწერენ, როგორ მოძრაობს ხელი, ფეხი, რა მდგომარეობაშია ტანი. ამის შემდეგ მასწავლებელი ცარცით ან მარკერით დაფაზე უჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე მოძრავი ფიგურის უბრალო სქემებს (იხ. ელექტრონული რესურსი).

* როგორც უკვე აღინიშნა, არც მასწავლებელი და არც მოსწავლეები არ უნდა მოელოდნენ, რომ ამ გაკვეთილის შედეგად მოსწავლე ადამიანის სრულიად რეალისტურ გამოსახულებას შეასრულებს – ასეთი მიზანი მის წინაშე არ დგას.

მთავარია, რომ გადმოიცეს ფიგურის მიახლოებითი პროპორციები, პოზა და მოძრაობის ზოგადი ეფექტი..

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ქაღალდის საგანგებო ფურცლებს – ბარათებს, რომლებზეც შავი ფლომასტერით მკაფიოდ ხატია სხვადასხვა მოძრაობების ამსახველი სქემები, ანუ ე.წ. „ჯოხების კაცუნები“. მოსწავლეები ზემოდან აფარებენ მათ შედარებით თხელ სახატავ ფურცელს, ისეთს, რომლის ქვეშაც მოჩანს „ჯოხების კაცუნა“, და მის გარშემო ფერადი ფანქრებით ან პასტელებით ხატავენ უკვე „ნამდვილ“ ადამიანებს: ფიგურებს ტანსაცმლით, თმებით, სახის ნაკვთებით. გამოდის სხვადასხვაგვარი მოძრავი ფიგურები, მაგალითად, ბავშვები, რომლებიც მირბიან, ბურთს თამაშობენ, პეპლებს იჭერენ და ა.შ. ამისთვის საჭირო იქნება დეტალების – ბურთის, პეპლების საჭერი ბადის და სხვ. მიხატვა.

რეფლექსიის ფაზა

გაკვეთილის ბოლოს ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ როგორი ფიგურები გამოსახეს, როგორი პოზები და მოძრაობები დახატეს, რამდენად შეძლეს თავის ნამუშევრებში მოძრაობის შთაბეჭდილების გადმოცემა და ა.შ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ ნამუშევრები მოსწავლეთა პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მათ გამოევლინათ:

- სახვით ხელოვნებაში მოძრაობის გამოსახვის სწორი გაგება,
- პოზებისა და მოძრაობების ელემენტარულ დონეზე გამოსახვის უნარი.

22. ორნამენტებიანი ხელთათმანი

მიზნები: პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფერის, ფორმისა და რიტმის გრძნობა, ფანტაზია და კომპოზიციის აგების ელემენტარული უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები ფლომასტერებით ასრულებენ ორნამენტირებული ხელთათმანის გამოსახულებას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ქაღალდი, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, ფლომასტერები.

გაკვეთილის გეგმა

1. შესავალი საუბარი 10 წუთი;
2. პრაქტიკული სამუშაო 25 წუთი;
3. წარდგინება 10 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ მათ უკვე იციან, თუ რა არის ორნამენტი და აქვთ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება იგი. მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, თუ რა არის რიტმი და აღნიშნავს, რომ ხელოვნებაში ეს სიტყვა რაიმე გამოსახულების, ნიშნის ან ფორმის პერიოდულ განმეორებასა და მონაცვლეობას ნიშნავს. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს პირველ კლასში შესრულებულ ორნამენტს და უსვამს კითხვებს: „რა ტიპის ორნამენტები იცით?" (სავარაუდო პასუხები: მაგალითად, გეომეტრიული და მცენარეული). „რა ელემენტები გამოიყენეთ ორნამენტების შექმნისას?" (სავარაუდო პასუხი: ხაზები, გეომეტრიული ფიგურები, კოპლები და სხვ.) მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ორნამენტს დიდი როლი აქვს დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში, მაგალითად, ტანსაცმლის დიზაინში. იგი სთავაზობს მოსწავლეებს, შემოხაზონ ხელთათმანის კონტური და მოხატონ იგი ნებისმიერი ორნამენტებით.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები გრაფიტის ფანქრით ასრულებენ ხელთათმანის კონტურულ მონახაზს და ახატავენ ზედ ორნამენტებს. ისინი შემოავლებენ კონტურებს ფლომასტერებს და გააფერადებენ ფონს.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ როგორი გამოვიდა მათი ხელთათმანები, როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოიყენეს, რომელი ხელთათმანები უფრო მოსწონთ და ჩაიცვამდნენ თუ არა მათ.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მათ გამოევლინათ:

- დეკორატიული ალდო, ფერისა და ხაზის ფლობის უნარი ორნამენტის შესრულების დროს;
- ტერმინ „რიტმის“ გაგებისა და სწორად ხმარების უნარი.

23. საახალწლო განწყობით – „სათაგურის” ილუსტრაცია (გაკვეთილი I)



მიზნები: გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი და სიყვარული მხატვრული ლიტერატურის მიმართ, განვავითაროთ ხატოვანი აზროვნება და მეხსიერება, დავხვეწოთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ხატავენ ილუსტრაციებს ვაჟა ფშაველას „სათაგურის“ მიხედვით. პირველ გაკვეთილზე ხატავენ გრაფიტის (უბრალო) ფანქრით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

საახალწლო სცენების ამსახველი ილუსტრაციები საბავშვო წიგნებიდან,

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები, გრაფიტის ფანქრები და საშლელი.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 14-16 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 22-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 6-8 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რომ ახლოვდება შობა და ახალი წელი, ყვებიან საახალწლო და საშობაო ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, იმაზე, თუ რომელი საშობაო სიმღერები, ლექსები, მოთხრობები, მულტიპლიკაციური ფილმები თუ წარმოდგენები უყვართ. მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს „სათაგურს“ და უჩვენებს იოსებ გაბაშვილის ილუსტრაციებს.

მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ როგორ მოეწონათ მოთხრობა, როგორები არიან აქ თაგვები, საინტერესოა თუ არა, რომ თაგვები ადამიანებივით ლაპარაკობენ და იქცევიან, როგორ მოსწონთ დასასრული და ის, რომ ფიცხელა გაათავისუფლეს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, კიდევ თუ უნახავთ მათ ილუსტრაციები ან მულტიპლიკაციური ფილმები, სადაც მთავარი გმირები თაგვები არიან, როგორ გამოიყურებოდნენ ისინი, ჰგავდნენ თუ არა რაიმეთი ადამიანებს, ეცვათ თუ არა ტანსაცმელი და ა.შ. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, თვითონ როგორ გამოსახავდნენ ილუსტრაციაზე თაგვებს, როგორი გარეგნობა ექნებოდათ, როგორი ტანსაცმელი.

მასწავლებელი და მოსწავლეები მსჯელობენ იმაზე, თუ რომელი მომენტებია ყველაზე საინტერესო დასახატი. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბავშვებმა უნდა იფიქრონ რამდენიმე ვარიანტზე – მაგ: არა უბრალოდ ფიცხელა, არამედ ფიცხელა შედის გალიაში, მეგობრები კი გვერდიდან უთვალთვალებენ, ან ფიცხელა ზის სათაგურში, რომელსაც თაგვები ეწევიან, ეფემიას უჭირავს სათაგური, რომელზეც თაგვები კიდია, ფიცხელა უყვება მეგობრებს თავისი გმირობის ამბებს, თაგვებს სუფრა აქვთ გაშლილი და ა.შ. მასწავლებელი დიდ ფურცელზე (ან დაფაზე) 2-3 სწრაფ ჩანახატს უჩვენებს ბავშვებს, მაგრამ ურჩევს, თავად მოიფიქრონ კომპოზიცია. (თაგვის ნაბიჯ-ნაბიჯ დახატვის სქემა იხ. ელექტრონულ რესურსში).

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები გრაფიტის (უბრალო) ფანქრით ხატავენ კომპოზიციას. ყურადღება ექცევა ნამუშევრის ფორმატის შერჩევას (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური), და ობიექტების თანაბარზომიერ განლაგებას. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მუშაობის მსვლელობას და საჭიროების შემთხვევაში აძლევს ამა თუ იმ რჩევას, ეხმარება მათ პრაქტიკული ოსტატობის დაუფლებაში. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები აწყობენ ნამუშევართა გამოფენას.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები და მასწავლებელი მსჯელობენ გამოფენილი ნამუშევრების შესახებ. ბავშვები ყვებიან, რა დახატეს, რითი დააინტერესა ისინი ამ მოთხრობამ, როგორი გრძნობებია გამოსახული ამ სურათში, როგორ გადმოსცემს ნახატი ამ გრძნობებს (მაგ. „ტანსაცმელში გამოწყობილი თაგვები ძალიან სახალისოდ გამოიყურებიან", და ა. შ.). მასწავლებელი ხელს უწყობს საუბრისას დადებითი და საქმიანი ატმოსფეროს შექმნას.

დამატებითი აქტივობები

შესაძლებელია:

ბავშვებმა მასწავლებლის დახმარებით გაინაწილონ როლები და გაითამაშინ პატარ-პატარა ფრაგმენტები.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ ნამუშევრები გამოფენისთვის „ჩვენი საყვარელი წიგნები“.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მათ გამოევლინათ:

- შესაფერისი სიუჟეტის შერჩევის უნარი;
- კომპოზიციის აგების ელემენტარული უნარი;
- პერსონაჟთა და გარემოს გამოსახვის უნარი (მარტივი ფორმებით) ;
- ილუსტრაციებზე საუბრის უნარი.

24. საახალწლო განწყობით – „სათაგურის” ილუსტრაცია (გაკვეთილი II)

მიზნები: გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი და სიყვარული მხატვრული ლიტერატურის მიმართ, განვავითაროთ ხატოვანი აზროვნება და მეხსიერება, დავხვეწოთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები სასურველი მასალით (ფერადი ფანქრები, პასტელები და სხვ.) ასრულებენ ვაჟა ფშაველას „სათაგურის“ წინა გაკვეთილზე შესრულებულ ილუსტრაციებს.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

საახალწლო სცენების ამსახველი ილუსტრაციები საბავშვო წიგნებიდან,

მასალა მოსწავლეთათვის:

წინა გაკვეთილზე შესრულებული ესკიზები, გრაფიტის ფანქრები და საშლელი, ფერადი ფანქრები ან სხვა საურველი მასალა.

ტერმინები

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფერადოვან გადაწყვეტას ლიტერატურული ნაწარმოების განწყობის გადმოცემისათვის. იგი უჩვენებს ბავშვებს ცნობილი მხატვრების მიერ ილუსტრირებულ საბავშვო წიგნებს და უსვამს კითხვებს მათი ფერადოვანი გადაწყვეტის შესახებ. იგი უჩვენებს შესაფერის ილუსტრაციებს და ეკითხება: როგორ გგონიათ, ეს ფერები ნათელია თუ ბნელი? ნაზია თუ მკვეთრი? როგორი ფერები აჯობებს მხიარული სურათისთვის? სევდიანი სურათისთვის? საშიში სურათისთვის?

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები პასტელებით, ფერადი ფანქრებით ან ცვილის ფანქრებით (ან კრაიონებით) აფერადებენ წინა გაკვეთილზე დაწყებულ ნამუშევარს. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მუშაობის მსვლელობას და ეხმარება მათ პრაქტიკული ოსტატობის დაუფლებაში. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აწყობენ ნამუშევართა გამოფენას.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და ბავშვები მსჯელობენ გამოფენილი ნამუშევრების შესახებ. ბავშვები ყვებიან, რა დახატეს, რითი დააინტერესა ისინი ამ სიუჟეტმა, როგორი გრძნობებია გამოსახული ამ სურათში, როგორ გადმოსცემს ამ გრძნობებს ფერი და ნახატი (მაგ. „ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი ფიცხელა ძალიან ლამაზად გამოიყურება", ან „კუთხეში მჯდომი შავი კატა ძალიან საშიშად გამოიყურება" და ა. შ.). მასწავლებელი ხელს უწყობს საუბრისას კეთილგანწყობილი და საქმიანი ატმოსფეროს შექმნას.

დამატებითი აქტივობები

შესაძლებელია:

ბავშვებმა მასწავლებლის დახმარებით გაინაწილონ როლები და გაითამაშინ პატარ-პატარა ფრაგმენტები.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ გამოავლინონ:

- თავიანთი ნახატებისთვის შესაფერისი და საინტერესო ფერადოვანი გადაწყვეტის მიგნება;
- ილუსტრაციებზე საუბრის უნარი.

25. ვემზადებით კარნავალისთვის

მიზნები: საახალწლო ზეიმისთვის სამშვენისების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითი ფანტაზია და ჯგუფური მუშაობის უნარები, განვამტკიცოთ პრაქტიკული უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ საახალწლო კარნავალისთვის საჭირო აქსესუარებს..

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

შაბლონები და სქემები აქსესუარების გასაკეთებლად.

მასალა მოსწავლეთათვის:

ფერადი ქაღალდი, ერთჯერადი თეფშები, თხელი მუყაო, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, სახაზავი, მაკრატელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, ფერადი ზონრები, მძივები, ბრჭყვიალები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ საახალწლო კარნავალის ორგანიზების შესახებ, მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ მორთავენ საკლასო ოთახს და რა იქნება ამისთვის საჭირო (სასურველია წინა წელს შესრულებული სამშვენისებისა და სათამაშოების გამოყენებაც). შემდეგ მოსწავლეები ყვებიან, თუ ვისი განსახიერება სურთ კარნავალზე და როგორი კოსტიუმები აქვთ მოფიქრებული. მასწავლებელი სთავაზობს მათ, შეასრულონ სხვადასხვაგვარი აქსესუარები თავიანთთვის და მოწვეული სტუმრებისთვის.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები იყოფიან მცირე ჯგუფებად. მასწავლებელი უხსნის და უჩვენებს, როგორ კეთდება ერთჯერადი თეფშებისაგან ქუდები, გვირგვინები და ნიღბები, უხატავს ცარცით ან მარკერით სქემებს, ქაღალდის მარაოები, უჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა გამოსახულებებს და შაბლონებს (იხ. ელექტრონული

რესურსი). მოსწავლეები ჯერ მიანიშნებენ ქაღალდზე, თეფშზე არ მუყაოზე გაჭრის ან გაკეცვის ადგილებს, შემდეგ გამოჭრიან და დააწებებენ ნივთებს. ამის შემდეგ ნივთს გუაშის საღებავებით შეღებავენ და როდესაც იგი გაშრება, დააწებებენ სხვადასხვა ფერად და ბრჭყვიალა დეტალებს. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მუშაობის პროცესს, აკონტროლებს ბავშვების მიერ უსაფრთხოების წესების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მოსწავლეებს – რჩევას აძლევს ან რაიმე სხვა სახის დახმარებას უწევს. მზა ნამუშევრებს მოსწავლეები ინახავენ საახალწლო კარნავალისთვის სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ კოლოფებში.

რეფლექსიის ფაზა

მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ათვალიერებენ შესრულებულ აქსესუარებს, ირგებენ ქუდებს და ნიღბებს, საუბრობენ იმაზე, თუ რომელი მათგანია უფრო ლამაზი, რომელი – ყველაზე სასაცილო, რომელი – ყველაზე უჩვეულო და ა.შ..

სასწავლო შეთავაზებები

მოსწავლეთა ნამუშევრები უნდა შევინახოთ საახალწლო კარნავალისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მათ გამოევლინათ:

- ფანტაზიის უნარი საახალწლო ზეიმისთვის საჭირო აქსესუარების მოფიქრებისას;
- ფერისა და ფორმის გრძნობა;
- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

26. შობის წინა ღამე

მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერების, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია და ემოციური სფერო, დავხვეწოთ ფერისა და ფორმის გრძნობა და ელემენტარული კომპოზიციური უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები გუაშის საღებავებით ასრულებენ შობისწინა ღამის გამოსახულებას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ცნობილი მხატვრების (მაგ., ელენე ახვლედიანის, თენგიზ მირზაშვილის, პიტერ ბრეიგელის, კლოდ მონეს, „ბებია“ მოზესის და სხვ.) რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები ზამთრის პეიზაჟის თემაზე.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები, უბრალო ფანქარი, საშლელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ცნობილი მხატვრების ზამთრის პეიზაჟებს, მაგ., ელენე ახვლედიანის „სიღნაღი“ და „ძველი თბილისი, ზამთარი“, თენგიზ მირზაშვილის, პიტერ ბრეიგელის, კლოდ მონეს, კამილ პისაროს ზამთრის პეიზაჟებს და ესაუბრება იმაზე, თუ რა ფერებით ხატავენ მხატვრები თოვლს, როგორაა დახატული თოვლი სახლების სახურევებზე და ხეებზე, რა ფერით ხატია სარკმლები, რა ფერისაა ცა. ამის შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნაწარმოებებს, რომლებიც შობისწინა დამეს ეძღვნება: ცნობილი ამერიკელი მხატვრების „ბებია მოზესის“ ნამუშევრებს და თომას კინკეიდის ტილოებს.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ხატავენ თოვლიან ღამეს. მასწავლებელი შეახსენებს მათ გუაშის საღებავით მუშაობის ძირითად წესებს: უფრო მუქი ფერის მისაღებად საღებავს უნდა შეერიოს შავი ფერი, უფრო ღია ფერისთვის – თეთრი. აკვარელისაგან განსხვავებით, გუაშის საღებავით შეიძლება სქლად ხატვა და ბევრი ფენების დადება, მაგრამ ჯერ პირველი ფენა კარგად უნდა გაშრეს.

კომპოზიციური გადაწყვეტის მაგალითისთვის მასწავლებელი დაფაზე ცარცით ან მარკერით სწრაფად მონიშნავს ერთ ან ორ კომპოზიციურ სქემას, მაგრამ აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ უმჯობესია კი არ გაიმეორონ ისინი, არამედ მოიგონონ საკუთარი ვარიანტები.

მოსწავლეები გრაფიტის ფანქრით ხატავენ ესკიზს: უკანა პლანზე ცას, მთებს ან ბორცვებს, შუა პლანზე – სახლს, ნაძვებს, წინა პლანზე – თოვლის კაცს ან სხვა რაიმე დეტალს სურვილისამებრ. შემდეგ მოსწავლეები მუქი ლურჯი ან შავი საღებავით ხატავენ ცას, როცა ის შეშრება, ზედ თეთრი ან ყვითელი ფერით იხატება მთვარე და ვარსკვლავები. მერე იხატება თოვლი თეთრი და ცისფერი საღებავებით, შემდეგ – სახლი დათოვლილი სახურავით (თოვლის მოხაზულობა მომრგვალებული უნდა იყოს) და ყვითელი ფანჯრებით, შემდეგ – დათოვლილი ნაძვის ხეები და რაიმე სხვა დეტალები სურვილისამებრ.

რეფლექსიის ფაზა

სამუშაოს დასრულების შემდეგ ნახატები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები მსჯელობენ იმაზე, იგრძნობა თუ არა ნახატებზე ღამე, რამდენად დამაჯერებლად გამოუვიდათ სინათლის და თოვლის გადმოცემა, რამდენად სწორად დახატეს პლანები და სხვ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

- მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:
- წარმოსახვის უნარს ღამის თოვლიანი პეიზაჟის მოგონებისას;
- სინათლისა და თოვლის ეფექტების გადმოცემის უნარს ;
- ფერისა და ფორმის გრძნობას;
- კომპოზიციური გადაწყვეტის ელემენტარულ უნარებს.

27. მხატვრის თვალით დანახული თამაშები



მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერებისა და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი, შემოქმედებითობა და ხატვის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები პასტელებით ხატავენ თამაშობათა სცენებს წარმოსახვით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისათვის

თამაშების ამსახველი ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული ნაწარმოებები, მაგ., დიმიტრი ერისთავის „კლასობანა“, რევაზ თარხან-მოურავის „ლახტი“, პიტერ ბრეიგელის „ბავშვთა თამაშობანი“, შარდენის „საპნის ბუშტები“, მერი კესეტის „სანაპიროზე მოთამაშე ბავშვები“, სუ ჰანჩენის „ბურთით მოთამაშე ბავშვები“ (12 ს), სუძუკი ჰარუნობუს „ფრანი“ (18 ს).

მასალა მოსწავლეებისათვის

ქაღალდი, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, პასტელები ან ფერადი ფანქრები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ რომელი თამაშები იციან, რომელი უყვართ განსაკუთრებით, რას თამაშობენ ყველაზე ხშირად და ა.შ. მასწავლებელი უჩვენებს მათ ვიზუალურ მასალას და უყვება, რომ ცნობილი მხატვრები მრავალ ქვეყანაში, ძალიან დიდი ხნის წინათაც კი, დიდი სიამოვნებით ხატავდნენ ისეთ თითქოს უბრალო სურათებს, რომლებზეც სხვადასხვა თამაშობებია გამოსახული: მაგალითად, თუ დიმიტრი ერისთავის „კლასობანა“ და რევაზ თარხან-მოურავის „ლახტი“ ჩვენს ქვეყანასა და ეპოქაშია შესრულებული, სუ ჰანჩენის „ბურთით მოთამაშე ბავშვები“ შორეულ ჩინეთში, 900 წლის წინ არის დახატული, სუძუკი ჰარუნობუს „ფრანი“ - 300 წლის წინ იაპონიაში, პიტერ ბრეიგელის „ბავშვთა თამაშობანი“ - ნიდერლანდებში, 500 წლის წინ, ამერიკელმა მერი კესეტმა კი „სანაპიროზე მოთამაშე ბავშვები“ დაახლოებით საუკუნენახევრის წინ დახატა. ეს იმას ნიშნავს, რომ თამაში სულაც არ არის უმნიშვნელო და უინტერესო სიუჟეტი – პირიქით, მხატვრებიც და მაყურებლებიც ასეთ სურათებს ძალიან აფასებენ.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დახატონ მათთვის ყველაზე საინტერესო თამაშების სცენები პასტელებით ან ფერადი ფანქრებით. იგი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ უკვე აქვთ გამოცდილება მოძრავი ფიგურების გამოსახვაში და ურჩევს, გამოიყენონეს გამოცდილება: დახატონ ბავშვები მოძრაობაში, მაგ., რაიმე სპორტული თამაშის მომენტში, ველოსიპედზე, ბურთით და ა.შ.

მასწავლებელი ცარცით ან მარკერით დაფაზე უჩვენებს მოსწავლეებს მოძრავი ფიგურის რამდენიმე უბრალო სქემას (სქემების და ნაბიჯ-ნაბიჯ ხატვის

მაგალითები იხ. ელექტრონულ რესურსში), მაგრამ მიუთითებს, რომ უმჯობესია მათ არ გადახატონ მაგალითები, არამედ თავად მოიფიქრონ სიუჟეტი და პერსონაჟები.

შინაარსის რეალიზების ფაზა

ბავშვები გრაფიტის ფანქრით ხატავენ კომპოზიციას. იგი შეიძლება იყოს ერთ ან მრავალფიგურიანი, მაგრამ უმჯობესია, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეებმა არ სცადონ ზედმეტად ბევრი პერსონაჟის გამოსახვა. დასრულებული ესკიზი გაფერადდება ფანქრებით ან პასტელებით. მუშაობის პროცესში მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მათ და საჭიროების შემთხვევაში აძლევს ამა თუ იმ რჩევას. ყურადღება ექცევა ნამუშევრის ფორმატის შერჩევას (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური), და ობიექტების თანაბარზომიერ განლაგებას. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი და ბავშვები სტენდზე ან კედელზე გამოფენენ ნახატებს.

რეფლექსის ფაზა

მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რა არის მათი საყვარელი თამაში, როგორი ფიგურები გამოსახეს, როგორი პოზები და მოძრაობები დახატეს, შეძლეს თუ არა საკუთარი გრძნობების გამოხატვა, რამდენად შეძლეს თავიანთ ნამუშევრებში მოძრაობისა და ხალისის შთაბეჭდილების გადმოცემა და ა.შ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები სამომავლო გამოფენისთვის „სპორტი – ჯანმრთელობა და ხალისი“.

შეფასების კრიტერიუმები:

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- სიუჟეტის შერჩევის უნარს;
- კომპოზიციის აგების უნარს;
- პერსონაჟთა და გარემოს გამოსახვის უნარს (მარტივი ფორმებით) ;
- მოძრაობის გადმოცემის უნარს (ელემენტარულ დონეზე).

28. ვძერწავთ მოცეკვავე გოგონას

მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერების, უშუალო დაკვირვებისა და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვების უნარი, შემოქმედებითობა და ძერწვის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ძერწავენ პლასტილინისაგან მოცეკვავე გოგონას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები მოცეკვავე ფიგურების გამოსახულებით.

მასალა მოსწავლეთათვის:

ფიცარი, პლასტილინი, ჩხირები, სტეკი (პლასტმასის დანა), ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

ტერმინები

სტატუეტი

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ მათ უკვე დაუხატავთ ფიგურები მოძრაობაში, რისთვისაც ისინი გულდასმით აკვირდებოდნენ როგორც ვიზუალურ მასალას, ასევე თავიანთი მეგობრების მოძრაობებს, რამაც შემდეგ ხელი შეუწყო მათ ნახატებზე მუშაობის დროს. ამჯერად იგი სთავაზობს მოსწავლეებს გამოძერწონ ფიგურა მოძრაობაში – მოცეკვავე გოგონა.

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას მოძრავი ფიგურების – მოცეკვავე გოგონების სტატუეტების გამოსახულებით და სთავაზობს მოსწავლეებს, კარგად დააკვირდნენ ფიგურების პოზებს და სცადონ მათი გამეორება, ასევე თავად მოიგონონ ცეკვის მოძრაობები. ბავშვები ასრულებენ

მოძრაობებს და აღწერენ, როგორ მოძრაობს ხელები, ფეხები, რა მდგომარეობაშია ტანი, როგორაა მოცემული თავი. ასევე აკვირდებიან სხეულის ნაწილების ფორმებს და ზომებს.

* როგორც უკვე აღინიშნა, არც მასწავლებელი და არც მოსწავლეები არ უნდა მოელოდნენ, რომ ამ გაკვეთილის შედეგად მოსწავლე ადამიანის სრულიად რეალისტურ გამოსახულებას შეასრულებს – ასეთი მიზანი მის წინაშე არ დგას. მთავარია, რომ გადმოიცეს ფიგურის მიახლოებითი პროპორციები, პოზა და მოძრაობის ზოგადი ეფექტი..

შინაარსის რეალიზების ფაზა

მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები მოიფიქრებენ, როგორი იქნება მათი „ქანდაკება“, როგორი პოზა ექნება მას, როგორ იქნება ჩაცმული. ამის შემდეგ ისინი ძერწავენ მოცეკვავე გოგონას. მასწავლებელი აკვირდება მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს მოსწავლეებს.

რეფლექსიის ფაზა

დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები ათვალიერებენ ნამუშევრებს და საუბრობენ მათ შესახებ: როგო გამოიყურებიან ისინი, როგორი პოზები და მოძრაობები აქვთ, რა აცვიათ, და ა.შ., საუბრობენ იმაზე, რამდენად დამაჯერებლად გამოუვიდათ ფიგურები და მათი მოძრაობები.

სასწავლო შეთავაზებები

იმ შემთხვევაში, თუ ზოგ მოსწავლეს არ დააინტერესებს შემოთავაზებული თემა, მას შეუძლია გამოძერწოს რაიმე სხვა მოძრავი ფიგურა, მაგ., რომელიმე სუპერგმირი.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად გამოავლინეს მათ:

- პლასტილინისაგან გამოძერწილ ფიგურაში მოძრაობის გადმოცემის უნარი (ელემენტარულ დონეზე).

29. უჩვეულო წერილები

მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერების და მხატვრული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, ფანტაზია, დაკვირვების უნარი და კომუნიკაციის უნარები, ჯგუფური უშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ხატავენ და უგზავნიან ერთმანეთს „დახატულ წერილებს“.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები ნახატი წარწერების – პიქტოგრამების გამოსახულებით.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები.

ტერმინები

პიქტოგრამა

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 5 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ უნახავთ მათ ნიშნები, რომლებზეც ნახატებითაა ახსნილი, რომ ახლომახლო სკოლა, სასადილო ან სამედიცინო პუნქტია განლაგებული, ან სხვადასხვა სპორტის სახეობების აღმნიშვნელი ნახატები? ასეთ ნახატებს, რომლებიც რაიმეს შესახებ ინფორმაციას გვატყობინებს, „პიქტოგრამა“ ეწოდება. მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, რომ აზრის ნახატებით გამოხატვის ხერხი ძალიან ძველია: შორეულ წარსულში ანბანი ჯერ არ იყო გამოგონილი და ამიტომ ადამიანებს წერა-კითხვა არ შეეძლოთ. მაგრამ მათთვისაც ზოგჯერ აუცილებელი იყო, გადაეცათ ვინმესთვის ახალი ამბავი ან რაიმე მნიშვნელოვანი შეტყობინება.. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ხატავდა ამ ინფორმაციის შემცველ ამბავს რომელიმე გამოსაჩენ ადგილას: ქვაზე, კლდეზე და სხვ. მეცნიერები ახლაც პოულობენ და იკვლევენ ასეთ „დახატულ წერილებს“, ანუ „პიქტოგრამებს“.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თამაშს „წაიკითხე წერილი“. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, ხატავენ „წერილებს“ და უგზავნიან ერთმანეთს. შინაარსი მარტივი უნდა იყოს და ერთ ფრაზას შეიცავდეს, მაგ., „მე ვმგზავრობ თვითმფრინავით“, ან „ჩვენ ვიყავით ტყეში“, ან „ზღვა ძალიან ღელავს“ და ა.შ.

იგებს ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. ქულები იწერება როგორც წერილის სწორად წაკითხვაში, ასევე წერილის გასაგებად დახატვაშიც.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები ათვალიერებენ „წერილებს“ და საუბრობენ იმაზე, თუ რომელი მათგანი გამოვიდა ყველაზე საინტერესო და რომელი – ყველაზე გასაგები, რომელია სასაცილო და რომელი – მოწყენილი,

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად გამოავლინეს მათ:

- ტერმინ „პიქტოგრამის“ სწორი გაგების და დამახსოვრების უნარი;
- ჯგუფში მუშაობის უნარი;
- ინფორმაციის შემცველი ნახატის შესრულების უნარი.



30. ძველი სამყაროს საოცრება – პირამიდები

მიზნები: საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, თემის შესახებ მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი ისტორიული, გეოგრაფიული და კულტურული გარემოსადმი.

ამოცანები: მოსწავლეები ქმნიან აპლიკაციას ეგვიპტური პირამიდების გამოსახულებით.

სტანდარტებთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისათვის

ვიზუალური მასალა ეგვიპტური პირამიდების გამოსახულებით.

მასალა მოსწავლეებისათვის

მუყაო, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებოს ფანქარი, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;

2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, როგორ ხატავდნენ ისინი შორეულ აფრიკას და ესაუბრება იმაზე, რომ ძველად აფრიკაში შეიქმნა საოცრებებით აღსავსე სამეფო – ეგვიპტე. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, უნახავთ თუ არა მათ მულტიპლიკაციური ან მხატვრული ფილმები ან წიგნები ეგვიპტეზე, რამ დააინტერესათ, რა დაამახსოვრდათ.

შემდეგ მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, რომ ძველად არსებობდა რამდენიმე საოცარი არქიტექტურული ძეგლი და ქანდაკება, რომლებიც იმდენად გამოირჩეოდნენ თავისი სილამაზითა და ზომით, რომ ადამიანებმა მათ „მსოფლიოს 7 საოცრება“ უწოდეს. მათგან დღეს მხოლოდ ეგვიპტური პირამიდები შემორჩა – უზარმაზარი აკლდამები, სადაც ეგვიპტის მეფეები – ფარაონები განისვენებდნენ.

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას – რეპროდუქციებს, ფოტოებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს – ეგვიპტური პირამიდების ამსახველი ხედებით. ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გააკეთონ პირამიდებიანი პეიზაჟის კოლაჟი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები გრაფიტის ფანქრით ასრულებენ ღია ფერის მუყაოს ფურცელზე ესკიზს. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ჰორიზონტის ხაზი, შემდეგ – მოინიშნოს ნამუშევრის შუა ნაწილში პირამიდების კონტურები, შემდეგ ყველაზე წინ განლაგებული დეტალები – მაგ., პალმები, აქლემი ან ადამიანის ფიგურა. როდესაც ესკიზი მზად არის, მოსწავლეები გუაშის საღებავებით ხატავენ ცას და უდაბნოს. სანამ საღებავი შეშრება, ფერადი ქაღალდებისაგან გამოიჭრება სხვადასხვა ზომის სამი პირამიდა, პალმები და აქლემები (სქემები იხ. ელექტრონულ რესურსში). სურვილის შემთხვევაში წინა პლანის დეტალები შეიძლება საღებავითაც დაიხატოს. შემდეგ ქაღალდის დეტალები დაწებდება ფონზე. დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და ბავშვები მსჯელობენ გამოფენილი ნამუშევრების შესახებ. ბავშვები ჰყვებიან, რა დახატეს, რითი დაინტერესა ისინი ამ სიუჟეტმა, შეძლეს თუ არა ნამუშევრებში გამოეხატათ თავიანთი აზრები და გრძნობები, რა შეიტყვეს ახალი, რა იციან კიდევ ეგვიპტის შესახებ ისეთი, რისი გამოსახვაც საინტერესო

იქნებოდა მომავალში. მასწავლებელი ხელს უწყობს საუბრისას პოზიტიური და საქმიანი ატმოსფეროს შექმნას.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოფენისთვის „ძველი სამყარო“.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- კომპოზიციის აგების უნარს;
- პერსონაჟთა და გარემოს გამოსახვის უნარს (მარტივი ფორმებით) ;
- აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით ეგვიპტური პეიზაჟის გადმოცემის უნარს.

31. „რომაული მოზაიკა” ბუნებრივი მასალებით

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „მოზაიკა“, პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ ფერისა და ფორმის გრძნობა და კომპოზიციური უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ ანტიკური სტილის მოზაიკას ბუნებრივი მასალებისაგან.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ანტიკური ხანის მოზაიკების ამსახველი ვიზუალური მასალა

მასალა მოსწავლეთათვის:

ერთჯერადი თეფში ან მრგვალად გამოჭრილი მუყაო, წებო, ფუნჯი, სხვადასხვა ფერის მარცვლები.

ტერმინები

მოზაიკა

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ადრექრისტიანული რომაული ტაძრების მოზაიკებს და მარტივად უყვება მათ შესახებ: როდესაც ძველ რომში დაიწყეს ქრისტიანული ტაძრების შენება, იატაკებზე ფერადი კენჭებისაგან აწყობდნენ ლამაზ გამოსახულებებს – მოზაიკებს. ასეთ მოზაიკებზე ხშირად გამოსახავდნენ ხოლმე თევზებს, რადგანაც მათ სიმბოლურად ქრისტეს სახელს უკავშირებდნენ. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეასრულონ თევზების გამოსახულებიანი მოზაიკა ნატურალური მასალების – თესლებისა და მარცვლებისაგან.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ერთჯერად თეფშზე ან მრგვალად გამოჭრილ მუყაოზე წაუსვამენ წებოს, შემდეგ კი დააწყობენ ზედ მუქ მარცვლებს და ცენტრში გამოსახავენ ორი თევზის სილუეტებს. შიგნიდან თევზებს და ფონს ფერადი მარცვლებით შეავსებენ. თეფშის ან მუყაოს წრის გარშემო სხვადასხვა ფერის მარცვლებით ამოაწყობენ ორნამენტს. ნამუშევრებს მოსწავლეები გამოფენენ კლასში. ამისთვის საჭიროა სიფრთხილე: ნამუშევარი აუცილებლად კარგად უნდა იყოს გამშრალი, რისთვისაც იგი ერთხანს უმოძრაოდ უნდა გავაჩეროთ.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რა შეიტყვეს ახალი, დააინტერესათ თუ არა ახალმა ტექნიკამ – მოზაიკამ, თუ უნახავთ სადმე მოზაიკური გამოსახულებები, მოეწონათ თუ არა ამ ტექნიკით მუშაობა, რამდენად გამოუვიდათ ეს ნამუშევრები და კიდევ რის გამოსახვას ისურვებდნენ ამ ტექნიკით.

დამატებითი აქტივობები

შესაძლებელია აგრეთვე მოზაიკის შესრულება სხვა მასალით: მძივებით, ღილებით, კვადრატებად დაჭრილი ფერადი ქაღალდებით და ა.შ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს მათ, გამოევლინათ:

- ტერმინ „მოზაიკის“ სწორად გაგება და ხმარება;
- მარტივი ნახატისა და ფერის გადმოცემა მოზაიკის ტექნიკით.

32. ვხატავთ დინოზავრებს



მიზნები: პრაქტიკული აქტივობის შესარულების საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი ბუნებრივი გარემოს, ცხოველთა სამყაროს და მისი ისტორიისადმი, განვავითაროთ შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები ხატავენ დინოზავრებს პასტელებით ან ფერადი ფანქრებით..

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4..

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

დინოზავრების ამსახველი ვიზუალური მასალა

მასალა მოსწავლეთათვის:

ქაღალდი, გრაფიტის ფანქარი და საშლელი, პასტელები ან ფერადი ფანქრები.

გაკვეთილის გეგმა

1. შესავალი საუბარი 10 წთ;
2. პრაქტიკული სამუშაო 25 წთ;
3. ნამუშევართა წარდგენა 5 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ დინოზავრების შესახებ. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ უნახავთ მათ წიგნები, მულტფილმები ან მხატვრული ფილმები დინოზავრებზე, თუ დააინტერესა ისინი ამ თემამ და რატომ. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ დინოზავრები ძალიან განსხვავებულები იყვნენ: ზოგი უზარმაზარი იყო, ზოგი მომცრო, ზოგი ჰაერში დაფრინავდა, ზოგი ცურავდა, ზოგი მიწაზე ცხოვრობდა, ზოგი ბალახისმჭამელი იყო, ზოგი – ხორცის. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ მეცნიერებმა ჯერ ზუსტად არ იციან, რატომ გადაშენდნენ დინოზავრები და ბევრი სხვადასხვა ვერსია აქვთ. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, როგორ წარმოუდგენიათ იმდროინდელი გარემო, როგორი მცენარეები იზრდებოდა, ჰგავდა იმდროინდელი პეიზაჟი დღევანდელს თუ სხვანაირი იყო.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს შესაბამის ვიზუალურ მასალას და სთავაზობს, აირჩიონ რომელიმე დინოზავრი, კარგად დააკვირდნენ და შემდეგ დახატონ პასტელებით ან ფერადი ფანქრებით.

შინაარსის რეალიზების ფაზა

საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი დაფაზე ცარცით ან მარკერით ხატავს დინოზავრების მარტივ სქემებს (იხ. ელექტრონული რესურსი). მოსწავლეები თავდაპირველად ასრულებენ ესკიზს გრაფიტის ფანქრით, შემდეგ კი აფერადებენ მას პასტელებით ან ფერადი ფანქრებით.

რეფლექსიის ფაზა

დასრულებული ნამუშევრენი გამოიფინება კლასში. მასწავლებელი და ბავშვები საუბრობენ საკუთარ და მეგობართა სურათების შესახებ და უზიარებენ ერთმანეთს აზრებს, მიუთითებენ, თუ რა გამოვიდა განსაკუთრებით საინტერესოდ, რა მოეწონათ განსაკუთრებით, და რისი გაკეთება შეიძლებოდა სხვანაირად.

დამატებითი აქტივობები

შეიძლება ფერად ბუშტებზე ქაღალდისაგან გამოჭრილი თავებისა და ფეხების მიწებება, რაც მოცულობრივი დინოზავრების ეფექტს მოგვცემს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენენ ისინი:

- წარმოსახვის უნარს და ფანტაზიას;
- ფერადი ფანქრებით ხატვის ელემენტარულ უნარებს.

33. რობოტები და ნამ ჯუნ პაიკი



მიზნები: საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, კონსტრუირების უნარი და მოტორიკა.

ამოცანები: მოსწავლეები აწყობენ კოლოფებისაგან რობოტებს ნამ ჯუნ პაიკის სტილით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ხუან მიროს ნაწარმოებთა რეპროდუქციები

მასალა მოსწავლეთათვის:

სხვადასხვა ფორმისა და ზომის კოლოფები, ფერადი ქაღალდები, ალუმინის ფოლგა, სხვადასხვა თავსახურები, წებო, სკოჩი, გუაშის საღებავები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ დღეს რობოტების ადგილი ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება – რობოტები მუშაობენ დაზგა-დანადგარებზე, ატარებენ ტრანსპორტს, უკრავენ მუსიკას, ეთამაშებიან ბავშვებს და ა.შ. რობოტებზე იღებენ ფილმებს და მულტფილმებს, იგონებენ წიგნებს. მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს, რომ ცნობილი თანამედროვე ამერიკელი (კორეული წარმოშობის) ხელოვანი ნამ ჯუნ პაიკი რობოტების ქანდაკებებს ქმნის სხვადასხვა აპარატურისაგან – ამისთვის იგი იყენებს ძველ ტელევიზორებს, რადიომიმღებებს, ანტენებს და სხვა ნივთებს. შემდეგ ათვალიერებენ ვიზუალურ მასალას. მოსწავლეები აღწერენ ნამ ჯუნ პაიკის ნამუშევრებს და აღნიშნავენ, რითია ისინი საინტერესო, რითია უჩვეულო, რა მოსწონთ და ა.შ.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოლოფებისაგან აწყობენ რობოტებს, ღებავენ, აწებებენ ფერად ქაღალდებს და სხვადასხვა დეტალებს, ახატავენ სახის ნაკვთებს.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაარქვან სახელები თავიანთ რობოტებს, მოიგონონ მათი დანიშნულება – რა შეუძლიათ ამ რობოტებს, რისთვის იყენებენ მათ, როგორი ხასიათი აქვთ. ბავშვები იგონებენ და უყვებიან მეგობრებს იმის შესახებ, თუ რა ისტორიები გადახდათ თავს მათ რობოტებს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ფანტაზიას და წარმოსახვის უნარს რობოტების მოგონების და გამოსახვის დროს;

- ნამ ჯუნ პაიკის ნამუშევრებზე დაკვირვების უნარს;
- ხაზის და ფერის ფლობის ელემენტარულ უნარებს.

34. ყველაზე ლამაზი სიზმარი და დავით კაკაბაძე

მიზნები: დავით კაკაბაძის ნამუშევართა გაცნობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა და წარმოსახვის უნარი.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ აბსტრაქტულ კომპოზიციას გუაშის საღებავებით დავით კაკაბაძის სტილით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა დავით კაკაბაძის აბსტრაქტული ნამუშევრების გამოსახულებით.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცელი, გუაშის საღებავები, წყლიანი ჭურჭელი, ფუნჯი, ჯაგრისი,

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ზოგჯერ ხელოვანი გამოსახავს არა რაიმე სიუჟეტს, ნივთს ან ადამიანს, არამედ მხოლოდ ლამაზ ფერებს, ფორმებს და ხაზებს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ უნახავთ მათ ფერადი სიზმრები, როდესაც სხვადასხვა ფერის ხაზები და ლაქები თითქოს ირევა თვალწინ და თანდათან სხვა ფორმებს იღებს. იგი უჩვენებს მოსწავლეებს დავით კაკაბაძის აბსტრაქტულ ნამუშევართა რეპროდუქციებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს და ეკითხება, ხომ არ აგონებენ ისინი სიზმრებს, რას წააგავს

ისინი, შეუძლიათ თუ არა მათ საკუთარი ფანტაზიით დაინახონ აქ რაიმე, რა გრძნობებს იწვევს ეს სურათები, მაგალითად, მხიარულია ისინი თუ მშვიდი, აღელვებული თუ მეოცნებე, ნაზი თუ მკაცრი, სასიამოვნო თუ შიშისმომგვრელი და ა.შ., ლამაზია თუ არა ისინი, რა ფერები, ფორმები და როგორი ხაზები გამოიყენა მხატვარმა.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები სახატავ ფურცლებზე ხატავენ კომპოზიციას დავით კაკაბაძის სტილით: ჯერ იხატება მუქი ფონი. შემდეგ სველ საღებავზე დებენ სხვადასხვა ფერის მონასმებს, რომლებიც ფუნჯით აირევა ერთმანეთში და გამოვა შერეული ფერადი ლაქები. როდესაც საღებავი შეშრება, ზედ დაიხატება უფრო მუღერი და ღია ფერის ტალღოვანი ფორმები და ხაზები. როდესაც ნახატი ბოლომდე გაშრება, მასზე დაეშხეფება თეთრი საღებავის წვრილი წვეთები ფუნჯით ან კბილის ჯაგრისით.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები საუბრობენ საკუთარ და მეგობრების ნამუშევრებზე, ყვებიან, რას აგონებს მათ ეს გამოსახულებები, რა ფერები და ფორმებია გამოყენებული, რა გრძნობებს აღძრავს ეს ნახატები და ა.შ. მასწავლებელი ყურადღებას აქცევს, რომ მოსწავლეთა კომენტარები პოზიტიური და მეგობრული იყოს.

დამატებითი აქტივობები

შესაძლებელია:

აბსტრაქტული გამოსახულების შექმნა მარტივი კომპიუტერული პროგრამის, მაგ., მაგ., Paint , Tux Paint ან SmoothDraw მეშვეობით.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- შემოქმედებითობას, ფანტაზიას და დეკორატიულ ალღოს აბსტრაქტული კომპოზიციის შექმნის დროს.

35. შემაჯამებელი გაკვეთილი

მიზნები: მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება.

ამოცანები: მოსწავლეები მონაწილეობენ ინტელექტუალურ თამაშში „უპასუხე შეკითხვაზე“ და აგრეთვე პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე ახდენენ ათვისებული უნარების დემონსტრირებას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა – რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები, სადაც ასახულია სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებები, პროექტორი.

გაკვეთილის გეგმა

1. შესავალი საუბარი 3 წთ;
2. საკონტროლო აქტივობა „უპასუხე შეკითხვებზე“ 10-12 წთ;
3. პრაქტიკული აქტივობა 15 წთ;
4. შედეგების ანალიზი 5 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ განვლილი მასალის შესახებ, აღნიშნავენ, რომელი ახალი ტერმინები და ცნებები შეისწავლეს, რა ტექნიკებს გაეცნენ, რომელ ახალ უნარ-ჩვევებს დაეუფლნენ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რა შეიტყვეს ახალი (სავარაუდო პასუხები: მათ იციან და შეუძლიათ ახსნან, თუ რა არის „სახვითი ხელოვნება“ და „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება“, ასევე იციან, თუ რა არის ფერწერა და გრაფიკა და რითი განსხვავდებიან ისინი, რა არის მრგვალი ქანდაკება და რელიეფი, არქიტექტურა. ისინი გაეცნენ ცისარტყელას ფერებს და შეუძლიათ მათი საშუალებით ნამუშევრების შექმნა, შეიტყვეს მოცულობის გამოსახვის შესახებ, იციან, რას ნიშნავს „რიტმი“, აგრეთვე ფლობენ ფერადი ფანქრებით, აკვარელის და გუაშის საღებავებით და პლასტილინით მუშაობის ძირითად (მარტივ) ხერხებს, შეუძლიათ ფერადი ქაღალდის და სხვა შესაფერისი მასალის დაწებებით ბრტყელი ან მოცულობრივი ნამუშევრების შექმნა და არატრადიციული მასალების გამოყენება.

შინაარსის რეალიზების ფაზა

თამაში-ვიქტორინა „უპასუხე შეკითხვაზე“. იმის მერე, რაც მოსწავლეები დაასახელებენ განვლილ მასალას, მასწავლებელი ჰყოფს კლასს ჯგუფებად და უჩვენებს მათ შესაფერის რეპროდუქციებს, სადაც ასახულია სხვადასხვა დარგის ნაწარმოებები. მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის დარგებს.

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ნაწარმოებებს (მაგ. მატისის ან ვან გოგის ნამუშევრებს) და სთხოვს, მიუთითონ ძირითადი და შედგენილი ფერები. შემდეგ მოსწავლეები ჩამოთვლიან და უჩვენებენ ცისარტყელას ფერებს.

თამაშის წესები: ჯგუფები პასუხობენ ერთმანეთის მიყოლებით, ისინი თითო ქულას (ვარსკვლავს, გულს, ყვავილს) იღებენ სწორ პასუხში, თუ პასუხი არასწორია, შემდეგი ჯგუფი პასუხობს იმავე კითხვას. მასწავლებელი აქცევს ყურადღებას, რომ პასუხები თავის დროზე იყოს გაცემული, არ იყოს ადგილიდან წამოძახილები და წესების დარღვევა.

პრაქტიკული აქტივობა. პრაქტიკული უნარების დემონსტრირების მიზნით მოსწავლეები ასრულებენ მცირე მოცულობის პრაქტიკულ დავალებას, მაგ. ჩანახატს ფერადი ფანქრებით თავისუფალ თემაზე.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ ჩატარებულ თამაშზე და აფასებენ მიღებულ შედეგებს. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად გამოავლინეს მათ მიღებული ცოდნა და რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეს ცოდნა კიდევ უფრო გაღრმავდეს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ:

- თამაში-ვიქტორინის მსვლელობის დროს გამოვლენილი ცოდნისა და უნარების მიხედვით;
- პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევების მიხედვით.

36. დასაკეცი წიგნი

მიზნები: პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი ლიტერატურისა და ილუსტრირებული წიგნებისადმი, განვავითაროთ შემოქმედებითობა და ჯგუფური მუშაობის უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები ამზადებენ დასაკეც წიგნს საყვარელი ნაწარმოების ილუსტრაციებით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

მასალა მოსწავლეთათვის:

მუყაოს ფურცლები, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები.

ინტეგრირება

ქართული ენა და ლიტერატურა

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს საყვარელი წიგნების შესახებ: რა წიგნები აქვთ სახლში და როგორია ეს წიგნები: როგორი ზომა და ფორმა აქვთ, როგორი ილუსტრაციები, რომელი ზღაპარი ან მოთხრობა უყვართ ყველაზე მეტად, რომელია მათი საყვარელი პერსონაჟი და ა.შ. ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად გააკეთონ გასაშლელი წიგნი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ირჩევენ საყვარელ ზღაპარს ან მოთხრობას. შემდეგ მოსწავლეები შეთანხმდებიან, თუ რომელი მომენტების ილუსტრაციების შესრულება სურთ, მაგალითად, „კარლსონის სახლი სახურავზე“, „კარლსონი ზის ფანჯარაზე“, „კარლსონი და ბიჭუნა საუბრობენ“ და სხვ. ამის შემდეგ ჯგუფის ყოველი წევრი ღია ფერის თხელ მუყაოზე ან სქელ ქაღალდზე ხატავს თითო ილუსტრაციას. ბავშვები ჯერ მოიფიქრებენ კომპოზიციას, გადაწყვეტენ, ვის, რას და სად განათავსებენ სასურათო სიბრტყეზე და უბრალო ფანქრით ხატავენ ესკიზს, შემდეგ კი აფერადებენ მას. როდესაც ყველა ილუსტრაცია მზად იქნება, მოსწავლეები სკოჩით აერთებენ მათ თანმიმდევრულად და კეცავენ.

რეფლექსიის ფაზა

როდესაც სამუშაო დასრულებული იქნება, მოსწავლეები გამოფენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასში. ისინი ათვალიერებენ მეგობრების ნამუშევრებს და ყვებიან თავიანთი წიგნების შესახებ: რომელი ნაწარმოები აირჩიეს და რატომ, რა არის გამოსახული ილუსტრაციებზე, რომელი ილუსტრაცია მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ, კიდევ რისი გამოსახვა შეიძლებოდა და ა.შ.

დამატებითი აქტივობები

შესაძლებელია ილუსტრაციების შესრულება აპლიკაციის ტექნიკით: გამოსახულებები გამოიჭრება ფერადი ქაღალდისაგან და დაწებდება წიგნის გვერდებზე.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ფანტაზიას და დეკორატიულ ალღოს ილუსტრირებულ წიგნზე მუშაობის დროს;
- ჯგუფური მუშაობის უნარებს.

37. ციხე-სიმაგრე მუყაოს კოლოფებისაგან (გაკვეთილი 1)

მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერების და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე შევუქმნათ მოსწავლეებს წარმოდგენა ციხე-სიმაგრეების შესახებ, განვამტკიცოთ კონსტრუირების ელემენტარული უნარები და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები აკეთებენ ციხე-კოშკების კონსტრუქციებს სხვადასხვაგვარი კოლოფებისაგან.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4,

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ციხე-კოშკების ამსახველი რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები.

მასალა მოსწავლეთათვის:

მუყაოს კოლოფები, გუაშის საღებავები, ფუნჯები, წყლიანი ჭურჭელი, ღრუბელი, წებო, მაკრატელი.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ მათ უკვე იციან ზოგი რამ საცხოვრებელი სახლების შესახებ და უმუშავიათ კიდეც ამ თემაზე. მაგრამ საცხოვრებელი არქიტექტურის გარდა, არსებობს კიდევ ბევრი ძალზე საჭირო და ლამაზი ნაგებობა, მათ შორისაა, მაგალითად, ციხე-კოშკები. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს ყველა კუთხეში ბევრი ციხე-კოშკის ნახვა

შეიძლება და ეკითხება, უნახავთ თუ არა ციხე-კოშკები, ახსოვთ თუ არა მათი სახელები და რისთვის იყო, მათი აზრით, ისინი საჭირო (სავარაუდო პასუხი: მტრისაგან თავდასაცავად). მასწავლებელი აჩვენებს მათ შესაფერის ვიზუალურ მასალას და შემდეგ სთავაზობს, გააკეთონ ციხე-კოშკები კოლოფებისაგან

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები იყოფიან 3-4 კაციან ჯგუფებად. ჯგუფის თითოეული წევრი მუყაოს კოლოფისაგან აკეთებს ერთ კოშკს. ისინი სხვადასხვა ზომის და სიმაღლის უნდა იყოს, ზოგი – მართკუთხა, ზოგი – მრგვალი, მუყაოს რულონებისაგან. ყუთის ზედა ნაწილზე ამოიჭრება ქონგურები. კედლები შეიღებება და ღრუბლით პატარა ლაქებით მოიხატება. შემდეგ დახატავენ (ან ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრიან და დააწებებენ) კარს და პატარა სარკმლებს – სათოფურებს. როდესაც ჯგუფის ყველა წევრი დაასრულებს თავის კოშკს, ისინი ერთმანეთზე დაწებდება და მივიღებთ ერთიან ციხე-სიმაგრეს.

რეფლექსიის ფაზა

ნამუშევრების დასრულების შემდეგ მოსწავლეები ათვალიერებან ნამუშევრებს და საუბრობენ იმაზე, თუ როგორ შეძლეს მათ ჩანაფიქრის განხორციელება, რომელ ზღაპარს ან ლეგენდას აგონებთ მათ ეს ციხეები, კიდევ რა მასალისაგან შეიძლება ციხე-კოშკების გაკეთება და ა.შ.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- მუყაოს კოლოფისაგან შენობის კონსტრუირების და დეკორირების უნარს,
- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

38. ციხე-სიმაგრეები მუყაოს კოლოფებისგან (გაკვეთილი 2)

მიზნები: პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა კომპოზიციის გრძნობა, მოდელირებული გარემოს მრავალგვარი მასალებით შექმნის უნარი და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ერთად აკეთებენ „ლანდშაფტს“ წინა გაკვეთილზე შექმნილი ციხე-კოშკებისთვის სხვადასხვა მასალების გამოყენებით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა მოსწავლეთათვის:

წინა გაკვეთილზე გაკეთებული ციხე-კოშკები, მუყაოს დიდი ნაჭერი, გუაშის საღებავები, ფუნჯები, წყლიანი ჭურჭელი, ღრუბელი, წებო, მაკრატელი, სხვადასხვა ბუნებრივი მასალები და დეტალები – ტოტები, კენჭები, ქვიშა და სხვ.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ წინა გაკვეთილზე მათ მიერ შესრულებული ციხე-კოშკები შეიძლება გამოიყენონ დიდი საერთო ნამუშევრის – ფანტაზიით შექმნილი „ციხე-კოშკების ქვეყნის“ შესაქმნელად.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ასრულებენ გუნდურ სამუშაოს: ქმნიან „ლანდშაფტს“ თავიანთი ციხე-სიმაგრეებისთვის. თავდაპირველად მუყაოს დიდ ნაჭერზე მონიშნავენ, სად განლაგდება შენობები, შემდეგ კი ფუნჯებით ან ღრუბლით ღებავენ მას გუაშის მწვანე საღებავით. ყველა ჯგუფი აწებებს ამ „ლანდშაფტზე“ საკუთარ შენობას. კოშკებს შორის გუაშის ნასცრისფერი ან ყვითელი საღებავით იხატება დაკლაკნილი „ბილიკები“, რომლებზეც წაუსვამენ წებოს თხელ ფენას და დააყრიან ქვიშას. ლურჯი და ცისფერი საღებავებით იხატება ოვალური „ტბები“ (შეიძლება მათი სხვა ტექნიკით შექმნაც: პატარა მრგვალი სარკეების დაწებება). ალაგ-ალაგ შეიძლება დაწებდეს ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრილი ან დახატული ხეები, ან ნამდვილი პატარა ტოტები, კენჭები, ხავსი ან სხვა დეტალები. ლანდშაფტზე აგრეთვე შეიძლება განლაგდეს პლასტილინისაგან გამოძერწილი ფიგურები.

რეფლექსიის ფაზა

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ათვალიერებენ „ციხე-კოშკებიან ლანდშაფტს“ და საუბრობენ იმაზე, თუ როგორ შეძლეს მათ ჩანაფიქრის განხორციელება, რამდენად კარგადაა განლაგებული შენობები, კიდევ რა დეტალების მოფიქრება შეიძლებოდა და ა.შ.

დამატებითი აქტივობები

მოსწავლეებს შეუძლიათ მოიგონონ რაიმე ზღაპარი ან ამბავი, რომელიც მოხდა „ციხე-კოშკების ქვეყანაში“ და ყვებიან მას.

სასწავლო შეთავაზებები

ნამუშევარი შეიძლება გამოვიყენოთ ციხე-კოშკებისათვის მიძღვნილი თემატური საღამოს ჩასატარებლად.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ფანტაზიას, კომპოზიციურ და დეკორატიულ უნარებს შენობებისთვის საერთო „ლანდშაფტის“ შექმნის პროცესში,
- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

39. იალქნიანი ნავები ზღვაში

მიზნები: მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე გავზარდოთ მოსწავლეების ინტერესი გარე სამყაროსა და ბუნებისადმი, გავავარჯიშოთ სივრცის მარტივად გადმოცემასა და აპლიკაციის ტექნიკით მუშაობაში.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ ზღვის პეიზაჟს იალქნიანი ნავებით აპლიკაციის ტექნიკით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა იალქნიანი გემების გამოსახულებით (იან ვან გოიენის, არტ ვან დერ ნეერის, ჯოზეფ თერნერის, რაულ დიუფის და სხვ. ნაწარმოებების რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები).

მასალა მოსწავლეთათვის:

თხელი მუყაო ან სქელი ქაღალდი, გრაფიტის ფანქარი და საშლელი, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო ან წებოს ფანქარი, გუაშის საღებავები, წყლიანი ჭურჭელი, ფუნჯები წებოსა და საღებავებისათვის, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

ტერმინები

ჰორიზონტის ხაზი

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ მდინარეებს, ტბებს, ზღვებსა და ოკეანეებს: წყლის გარეშე პლანეტა გაშრებოდა და უდაბნოდ გადაიქცეოდა, იქ ვერ იცხოვრებდნენ ცოცხალი არსებები, ვერ იხარებდნენ მცენარეები. გარდა ამისა, წყალში ცხოვრობენ სხვადასხვანაირი თევზები, ცხოველები და წყალმცენარეები, რომელთა გარეშე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. ზღვა უხსოვარი დროიდან ადამიანებს მოგზაურობის საშუალებასაც აძლევდა: როდესაც არ არსებობდა თვითმფრინავი, მანქანა და მატარებელი, შორეული სივრცეების გადალახვა უმეტესად აფრებიანი ან ნიჩბებიანი გემებით ხდებოდა. ასეთი გემები დღესაც არსებობს, თუმცა ისინი უფრო სანაოსნო სპორტისთვის და სასეირნოდ გამოიყენება. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას აფრებიანი გემების გამოსახულებებით: იან ვან გოიენის, არტ ვან დერ ნეერის, ჯოზეფ თერნერის, რაულ დიუფის და სხვ. ნაწარმოებების რეპროდუქციებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გამოსახონ აფრებიანი ნავები ზღვაში აპლიკაციის ხერხით.

შინაარსის რეალიზების ფაზა

სამუშაოს დაწყებამდე მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს პეიზაჟის შესრულების თანმიმდევრობას: ჯერ თეთრ მუყაოზე ან სახატავ ფურცელზე გრაფიტის ფანქრით მსუბუქად უნდა მოვნიშნოთ ჰორიზონტის ხაზი, ანუ ის ხაზი, რომელიც, როგორც გვეჩვენება, ცას ზღვისგან (ან მიწისაგან) გამოყოფს. შემდეგ მის ზემოთ განლაგებულ ნაწილს, ანუ ცას, გუაშის ცისფერი და ლურჯი საღებავებით შევღებავთ (ჰორიზონტალური მონასმებით, მარცხნიდან მარჯვნივ). შეიძლება აგრეთვე ცაზე თეთრი საღებავით ღრუბლების გამოსახვა. შემდეგ იმ ზომის ლურჯ ქაღალდს, რომ საკმარისი იყოს ჰორიზონტის ქვემოთ დარჩენილი ადგილის დასაფარად, დავხევთ ტალღოვან ზოლებად ისე, რომ მოხევის ადგილზე თეთრი ხაზები დარჩეს. ნავებს გამოვჭრით მუღერი ფერის (წითელი, ყვითელი) ქაღალდებისაგან, ხოლო იალქნებს – თეთრი ქაღალდისაგან. მასწავლებელი

შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ყველაზე ახლოს განლაგებული ნავი ყველაზე დიდი უნდა იყოს, შემდეგი – უფრო მომცრო და ყველაზე შორს – ყველაზე პატარა. დიდი მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრობას დაწებების დროს: ჯერ ჰორიზონტთან წებდება ყველაზე პატარა ნავი, შემდეგ წებდება „ტალღა“ მერე – მომცრო ნავი და მის ქვემოთ - ისევ ტალღა, ბოლოს დიდი ნავი და მის ქვემოთ - ბოლო ტალღა. ტალღები წებდება ისე, რომ ნავების ძირები ოდნავ გადაფაროს.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები გამოფენენ კლასში ნამუშევრებს და საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა გამოსახეს, როგორ გამოიყურება ზღვა მათ ნამუშევრებზე, როგორაა განლაგებული ნავები, როგორ განწყობას ქმნის ეს ნამუშევრები და ა.შ,

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ტერმინ „ჰორიზონტის ხაზის“ სწორი გაგებისა და გამოყენების უნარს,
- დეტალების კომპოზიციური განლაგების უნარს,
- აპლიკაციის ტექნიკით მუშაობის საბაზისო უნარებს.



40. აღმოსავლური ახალი წელი

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს შორეული აღმოსავლეთის კულტურასთან დაკავშირებული საახალწლო აყვავებული ხეების გამოსახვის თემატიკა და ბეჭდური გამოსახულებების შექმნის ახალი ტექნიკა, განვავითაროთ მათი ინტერესი უცხო კულტურებისადმი, გემოვნება და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ქმნიან პანოს აყვავებული ალუბლის გამოსახულებით ანაბეჭდის ტექნიკით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ჩინური და იაპონური ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები აყვავებული ხეების გამოსახულებებით.

მასალა მოსწავლეთათვის:

თეთრი თხელი მუყაოს დიდი ნაჭერი, გრაფიტის ფანქარი და საშლელი, შავი ან მუქი ყავისფერი ფლომასტერი, გუაშის საღებავები, წყლიანი ჭურჭელი,

ერთჯერადი თეფშები საღებავის დასასხმელად, პლასტმასის ბოთლები (საბეჭდავები).

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში – იაპონიაში, ჩინეთში, კორეაში და სხვ., ახალ წელს ზეიმობენ არა ზამთარში, არამედ გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებს. განსაკუთრებით მათ უყვართ აყვავებული ხეების – ალუბლის, ატმის, ქლიავის თვალიერება და მათი სილამაზით ტკბობა. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ჩინელი და იაპონელი მხატვრების ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს აყვავებული ხეების გამოსახულებით და სთავაზობს, თავადაც შექმნან ამ სიუჟეტზე ნამუშევრები მათთვის უკვე ნაცნობი ანაბეჭდის ტექნიკით.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. მუყაოს დიდ თხელ თეთრ ფურცლებზე უბრალო ფანქრით მსუბუქად მიანიშნებენ ტოტის მონახაზს (ტოტს რამდენიმე განშტოება უნდა ჰქონდეს). ფურცლის ფორმატი ვერტიკალური უნდა იყოს. შემდეგ ნახატს შემოავლებენ მუქ ყავისფერ ან შავ ფლომასტერს (შეიძლება გუაშის საღებავისა და თხელი ფუნჯის გამოყენება). ერთჯერად თეფშებზე ან სხვა შესაფერის ჭურჭელზე დაასხამენ საჭირო რაოდენობის გუაშის ვარდისფერ საღებავს (საღებავი არ უნდა იყოს ძალიან თხელი) და მასში აწობენ პლასტმასის ბოთლის, მაგალითად, ბორჯომის, კოკა-კოლის ან მსგავსი ბოთლის ძირებს, რომლებსაც ქვემოთ 5 გამონაზარდი აქვთ. ამის მერე საღებავიან ბოთლებს მიადებენ ტოტების ბოლოებს და გამოვა ხუთფურცლიანი ვარდისფერი ყვავილები.

რეფლექსიის ფაზა

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ კლასში თავის კომპოზიციებს. ისინი ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ მოეწონათ მათ იაპონური და ჩინური ნაწარმოებები, რა თვისებები დაინახეს მათში (სინაზე, დახვეწილობა, ლამაზი ფერები და სხვ.), საუბრობენ იმაზე, თუ როგორი გამოვიდა მათი ნამუშევრები, არის თუ არა მსგავსება იაპონურთან, თუ დააინტერესა ისინი ახალი ტექნიკით მუშაობამ და კიდევ რისი გამოსახვა შეიძლება ამ ტექნიკით.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები თემატური გაკვეთილის ან საღამოსთვის „მე მომწონს იაპონია“, სადაც მოსწავლეები ამ ნამუშევრების გარდა გამოფენენ იაპონიასთან დაკავშირებულ სხვა მასალებსაც და ისაუბრებენ იმაზე, თუ რა იციან იაპონიის შესახებ.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ელემენტარული კომპოზიციური და დეკორატიული უნარებს ბუნებრივი ბეჭდური კომპოზიციის შექმნის პროცესში;
- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

41. გაზაფხული და ვინსენტ ვან გოგი

მიზნები: ვიზუალური მასალის დათვალიერების, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი ბუნებისადმი, მხატვრული ხედვა, დაკვირვებულობა, მხედველობითი მეხსიერება და გუაშით ხატვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები გუაშის საღებავებით ასრულებენ ვან გოგის „აყვავებული ხის“ ასლს.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვან გოგის „აყვავებული ხის“ რეპროდუქცია ან კომპიუტერული ფაილი, პროექტორი.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ქაღალდი, უბრალო ფანქარი და საშლელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, სველი ერთჯერადი ხელსახოცები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საურობენ იმის შესახებ, თუ წელიწადის რომელი დროა უფრო ლამაზი და რატომ, საუბრობენ გაზაფხულზე, იმაზე, თუ რითი ვგრძნობთ გაზაფხულის დადგომას (დნება თოვლი, დგება თბილი და მზიანი ამინდები, იზრდება ბალახი და ყვავილები, ხეებზე ფოთლები და ყვავილები ჩნდება). მასწავლებელი უყვება ბავშვებს, რომ გაზაფხულის სილამაზემ შთააგონა ბევრი ცნობილი მხატვარი, მათ შორის სახელგანთქმული ჰოლანდიელი მხატვარი ვინსენტ ვან გოგი.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვან გოგის „აყვავებული ხის“ (ანუ „ეძღვნება მაუვეს“) რეპროდუქციას ან კომპიუტერულ გამოსახულებს. ბავშვები რამდენიმე წუთის განმავლობაში გულდასმით აკვირდებიან ნამუშევარს და დეტალურად აღწერენ მას: რა ფორმისაა ტილო, რა არის ზედ გამოსახული, როგორია თვით ხე და რა ხატია მის გარშემო, როგორი ხაზები და ფორმებია გამოყენებული, რა ფერებია ნახმარი და როგორ გრძნობებს აღძრავს ეს ნაწარმოები. ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დახატონ „აყვავებული ხის“ ასლი გუაშის საღებავებით.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები დაფაზე ან სტენდზე სკოჩით ან ჭიკარტებით ამაგრებენ ნამუშევრებს. მასწავლებელი და ბავშვები საუბრობენ მათ შესახებ და უზიარებენ ერთმანეთს აზრებს, მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი ასლები გამოუვიდათ, რამდენად კარგად დაიმახსოვრეს და გადმოსცეს დეტალები, რამდენად მიამსგავსეს ნამუშევრები ორიგინალს, აღნიშნავენ, თუ რაიმე გამორჩათ ან სხვანაირად გამოუვიდათ. კლასში უნდა იყოს საქმიანი და კეთილგანწყობილი ატმოსფერო, საუბრის ტონი ზრდილობიანი და კონსტრუქციული უნდა იყოს.

სასწავლო შეთავაზებები

შეაგროვეთ მოსწავლეთა ნამუშევრები მათი პორტფოლიოებისათვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ნაწარმოების აღქმის და დამახსოვრების უნარს;

- ასლის შესრულების უნარს ელემენტარულ დონეზე;
- გუაშის საღებავებით მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებს ელემენტარულ დონეზე.

42. რას ვაჩუქებთ დედას?

მიზნები: პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, გემოვნება, დეკორატიული უნარი და ძერწვის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები აკეთებენ საჩუქარს დედის დღისთვის: მარილიანი ცომისაგან ან თიხისაგან ძერწავენ სამკაულებს.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა მოსწავლეთათვის:

თიხა ან მარილიანი ცომი, ხის წვრილი მახვილი ჩხირები, გუაშის ან აკრილის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, თხელი მავთული.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ დედის დღის შესახებ. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს იმაზე, თუ რას ეძღვნება ეს დღესასწაული, რა მნიშვნელობა ენიჭება ამ დღეს, რა გრძნობებს და ფიქრებს იწვევს იგი. მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, დაამზადონ საჩუქრები ამ დღისთვის და გამოძერწონ სამკაულები პლასტიკური მასის, თიხის ან მარილიანი ცომისაგან.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ძერწავენ სამაჯურებს, მძივებს, გულსაკიდებს ან ბეჭდებს – რაც თავად სურთ. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გააფრთხილოს ბავშვები, მიაქციონ ყურადღება, რომ საგანი შესაფერისი ზომისა იყოს. გამოძერწილ ნივთებს მოხატავენ გუაშის ან აკრილის საღებავებით და გააშრობენ (ყოველი მძივი

გაშრობამდე უნდა გაიხვრიტოს თხელი ჩხირით). შეიძლება აგრეთვე მზა ნივთების ლაკით დაფარვაც. მძივები უნდა აიცვას თხელ მავთულზე და ბოლოები დაუმაგრდეს.

რეფლექსიის ფაზა

მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები და მასწავლებელი ათვალიერებენ ნამუშევრებს და საუბრობენ იმაზე, თუ ვინ რა გააკეთა, როგორი ნამუშევრები გამოუვიდათ, რომელი მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ, რამდენად საინტერესო იყო ახალი ტექნიკით მუშაობა, იყო თუ არა სამუშაო რთული და კიდევ რისი გაკეთება შეიძლება დედის დღისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ფანტაზიას, დეკორატიულ უნარს და გემოვნებას სამკაულის მოფიქრების დროს,
- ფორმის, ფერის ფლობის და კომპოზიციური გადაწყვეტის ელემენტარულ უნარებს,
- ძერწვის ელემენტარულ უნარებს.

43. საალდგომო ნატურმორტი – ვხატავთ ფიროსმანის სტილით

მიზნები: ფიროსმანის ნამუშევართა დათვალიერების, მსჯელობისა და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა მხატვრული ხედვა, შემოქმედებითობა და გუაშის საღებავებით მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ საალდგომო ნატურმორტს ფიროსმანის სტილით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები ფიროსმანის ნამუშევრებით. მათ შორის აუცილებლად – საალდგომო ნაწარმოებებით.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები და შავი ქაღალდი, გრაფიტის ფანქრები და საშლელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, ერთჯერადი სველი ხელსახოცები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;

3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფიროსმანის ნაწარმოებთა ამსახველ ვიზუალურ მასალას (მათ შორის აუცილებლად – სააღდგომო თემატიკას) და ესაუბრება ფიროსმანის შესახებ, ეკითხება, თუ უნახავთ მისი ნამუშევრები, რა ნამუშევრები იყო ეს, სად და როდის უნახავთ, რომელი მოეწონათ ყველაზე მეტად, როგორ მოსწონთ მისი სურათების ფერადოვნება, რა ფერებს იყენებს იგი, რომელ ნახატზეა უფრო კაშკაშა ფერები და რომელზე – ნაზი, რა უფრო საინტერესოა – პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები, ცხოველები თუ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი სცენები, რას ვხედავთ ხოლმე ყველაზე ხშირად მის სააღდგომო სურათებზე (სავარაუდო პასუხი: წითელ კვერცხებს, პასკებს ჯვრით, წითელბაფთიან ბატკნებს, მოფარფატე ანგელოზებს, წარწერებს „ქრისტე აღდგა!“).

შინაარსის რეალიზების ფაზა

ბავშვები ხატავენ სააღდგომო ნატურმორტს ფიროსმანის სტილით. ჯერ ჩვეულებრივ სახატავ ფურცელზე გრაფიტის ფანქრით სწრაფად მონიშნავენ კომპოზიციას, განსაზღვრავენ, სად და რას გამოსახავენ. როდესაც ესკიზი მზად იქნება, სრულდება ნახატი გუაშის საღებავებით შავ ფურცელზე. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი დაფაზე ცარცით ან მარკერით აჩვენებს, როგორ იხატება ბატკანი (იხ. დანართი).

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები საუბრობენ გამოფენილ ნამუშევრებზე, აღნიშნავენ, რამდენად შეძლეს ჩანაფიქრის განხორციელება, იგრძნობა თუ არა ნახატებზე საზეიმო სააღდგომო განწყობა, ფიროსმანის ნახატებიდან კიდევ რომელი იქნებოდა მათთვის შთაგონების განსაკუთრებული წყარო და ა.შ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოფენისთვის „შთაგონების წყარო – საყვარელი მხატვრები“.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ფიროსმანის მანერით შესრულებული ნატურმორტის თავისებური ინტერპრეტაციის მოფიქრების უნარს,
- კომპოზიციის აგების, ფერისა და ფორმის ფლობის ელემენტარული უნარებს.

44. რას დახატავ ეზოში – დედამიწის დღე

მიზნები: საერთაშორისო ეკოლოგიური დღესასწაულის – დედამიწის დღის აღნიშნვაში მონაწილეობის და შესაბამისი თემატიკის ნამუშევრების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ეკოლოგიური აზროვნება, ფანტაზია და შემოქმედებითი უნარი.

ამოცანები: მოსწავლეები ფერადი ცარცებით ხატავენ სკოლის ეზოში ნამუშევრებს ეკოლოგიურ თემატიკაზე.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა მოსწავლისათვის

ფერადი ცარცები

გაკვეთილის გეგმა:

1. გამოწვევის ფაზა 5 წუთი
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 30 წუთი
3. რეფლექსიის ფაზა 10 წუთი

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რას წარმოადგენს დედამიწის დღის დღესასწაული, რას ეძღვნება იგი და რა შეიძლება გაკეთდეს ამ დღის აღსანიშნავად.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ატარებენ ღონისძიებას: სკოლის ეზოში, ასფალტზე, ხატავენ ფერადი ცარცებით ბუნების და გარემოს დაცვისთვის მიძღვნილ სურათებს – დედამიწას, ყვავილებს, მზეს, ცისარტყელას, ხელჩაკიდებულ ბავშვებს, ჩიტებს, ცხოველებს და ა.შ.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები საუბრობენ შესრულებულ ნამუშევრებზე და მათ სიუჟეტებზე, ყვებიან, რა დახატეს, აღნიშნავენ, ვისი ნამუშევარი გამოვიდა ყველაზე საინტერესო და რატომ, გამოთქვამენ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რატომაა საჭირო დედამიწის დღის აღნიშნვა.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მათ გამოევლინათ:

- ინტერესი გარემოს დაცვისადმი და ამ საკითხის მნიშვნელოვნების გაგება,
- შემოქმედებითობა და ფანტაზია დედამიწის დღისადმი მიძღვნილი სიუჟეტის მოფიქრებასა და შესრულებაში.

45. სვანური პეიზაჟი კოშკით

მიზნები: საილუსტრაციო მასალის დათვალიერების, მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერესი საქართველოს ბუნებრივი და კულტურული გარემოსადმი, მათი წარმოსახვა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ სვანური კოშკის გამოსახულებას შერეული ტექნიკით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

ინტეგრირება

ბუნებისმეტყველება

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

სვანეთის ამსახველი ფოტოები და ფერწერული ნამუშევრების რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები, პროექრორი.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ფურცლები ან თხელი მუყაო, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო ან წებოს ფანქარი, აკვარელის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, გრაფიტის (უბრალო) ფანქარი, საშლელი, შავი ფლომასტერი ან კალამი შავი მელნით.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ საქართველოში ბევრი სხვადასხვა კუთხეა და ეკითხება, თუ რომელი მათგანი აქვთ ნანახი. საუბრობენ ამ კუთხეების მრავალფეროვნებაზე – ზოგი მათგანი მთაშია განლაგებული, ზოგი – ბარად, ზოგი – ზღვის პირას, ყველგან თავისებური ბუნებაა, სხვადასხვანაირი

მცენარეები ხარობს, სოფლებში თავისებურ მეურნეობას ეწევიან – კახეთში, მაგალითად, ყურძენი მოჰყავთ, სამეგრელოში – სიმინდი, ქართლში – ხილი და ბოსტნეული და ა.შ. თვით ამ სოფლებსაც თვითმყოფადი იერი აქვთ. სვანეთი, მაგალითად, მთიანი მხარეა და მის სახეს განსაკუთრებულ თავისებურებას თოვლიანი მთების ფონზე განლაგებული ძველებური კოშკები ანიჭებს.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას სვანური პეიზაჟების გამოსახულებით: ფოტოებს, დავით კაკაბაძის, ვახტანგ ჯაფარიძის, ელენე ახვლედიანის ნამუშევრების რეპროდუქციებს.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეასრულონ წარმოსახვით შექმნილი ნამუშევარი შერეული ტექნიკით: ფონზე გამოისახება სვანეთის მთები აკვარელის საღებავებით, წინ კი აპლიკაციის ტექნიკით შესრულებული სვანური კოშკი.

მოსწავლეები გრაფიტის ფანქრით მსუბუქად მიანიშნებენ, რა და სად გამოისახება სასურათო სიბრტყეზე: ტალღოვანი ხაზებით მოინიშნება მთები. წინ მოინიშნება დიდი კოშკისთვის განკუთვნილი ადგილი (ეს ადგილი თავიდანვე არ დასველდება და არ შეიღებება).

მთების ზემოთ განლაგებული არე სველდება ფუნჯით ან ღრუბლით და ლურჯი საღებავით იხატება ცა. მონასმები უნდა წაესვას ჰორიზონტალურად, შეფერადებას ვიწყებთ სურათის ზედა კიდიდან და თანდათან ჩამოვდივართ ქვევით. ფერი თანდათან უნდა ღიავდებოდეს, რისთვისაც საღებავს ემატება წყალი. მთების სილუეტამდე უნდა დავტოვოთ შეუღებავი თეთრი არე. შემდეგ ვასველებთ მთების არეს და შევაფერადებთ მას. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ შორეული საგნების ფერები იცვლება: ის, რაც უფრო შორსაა, უფრო ბაცი და მკრთალი გვეჩვენება. ამიტომ ყველაზე ზემოთ განლაგებული შორეული მთები ცისფერია, (მთის წვერები თეთრად რჩება), ცოტა უფრო ქვემოთ, უფრო ახლოს განლაგებული მთები იხატება ლურჯად, ხოლო ყველაზე ახლოს, ყველაზე ქვემოთ განლაგებული მთები – მწვანედ. (თუ კლასის ფანჯრიდან მოჩანს მთები, სასურველია, მივაქციოთ მათ ბავშვების ყურადღება). როდესაც ნახატი შეშრება, მასზე აწებებენ ნაცრისფერი ქაღალდისაგან ამოჭრილ ქონგურებიან კოშკს. შავი ფლომასტერით ან კალმით მას გარშემო შემოევლება კონტური, კედლებზე კი ალაგ-ალაგ მიეხატება ქვების ფორმები., პატარა სარკმლები და კარი.

რეფლექსიის ფაზა

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აწყობენ გამოფენას: მზა ნამუშევრებს სკოჩით ამაგრებენ ქაღალდის დიდ ფორმატზე ან

ჭიკარტებით სტენდზე. მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რა არის გამოსახული მათ ნამუშევრებზე, როგორი ფერებია გამოყენებული, როგორ გრძნობებს და ფიქრებს აღძრავს ეს სურათები, რა მოსწონთ და რას შეცვლიდნენ ან გააუმჯობესებდნენ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოფენისთვის „ჩვენი სამშობლო – საქართველო“.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- მთიანი პეიზაჟის გამოსახვის უნარს;
- აკვარელის საღებავებით მუშაობის საბაზისო უნარებს;
- აპლიკაციის ტექნიკით მუშაობის საბაზისო უნარებს.

.

46. გამოძერწე შენი საყვარელი გმირი

მიზნები: მსჯელობის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, წარმოსახვის უნარი და ძერწვის ელემენტარული უნარები.

ამოცანები: მოსწავლეები ძერწავენ მათ მიერ არჩეული გმირის ფიგურას პლასტილინით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

ინტეგრირება

ქართული ენა და ლიტერატურა

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

მასალა მოსწავლეთათვის:

პლასტილინი, ხის მახვილი ჩხირები, პლასტმასის დანა (სტეკი).

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ ვინ არის მათი საყვარელი გმირი. ეს შეიძლება იყოს წიგნის ან ფილმის პერსონაჟი, რეალური ადამიანი, ისტორიული პირი, მულტიპლიკაციური ფილმის ან კომიქსის პერსონაჟი და ა.შ. მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ ვინ იყო ეს გმირი, სად და როდის ცხოვრობდა, რაში მდგომარეობს მისი გმირობა, რა განსაკუთრებული საქციელი ჩაიდინა მან, ჰქონდა თუ არა მას რაიმე განსაკუთრებული თვისებები თუ ჩვეულებრივი ადამიანი იყო, როგორ გამოიყურებოდა იგი, რა ეცვა და ა.შ.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, რაც შეიძლება ნათლად წარმოიდგინონ მათი საყვარელი გმირი და მოიფიქრონ, როგორ და როგორი თანმიმდევრობით გამოსახავენ მას, როგორი გარეგნობა, ტანსაცმელი და პოზა ექნება მათ მიერ გამოძერწილ პერსონაჟს. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, თუ როგორ იძერწება მრგვალი დეტალები (მაგ. თავი), გრძელი დეტალები (მაგ. კიდურები ან კუდი), ცილინდრული ან კვადრატული დეტალები აქსესუარებისთვის. მოსწავლეები ჰაერში ხელებით აჩვენებენ საჭირო მოძრაობებს. ამის შემდეგ მოსწავლეები ძერწავენ მოფიქრებულ პერსონაჟს პლასტილინისაგან.

რეფლექსიის ფაზა

დასრულებულ ნამუშევრებს მოსწავლეები გამოფენენ კლასში. ისინი ათვალიერებენ ნამუშევრებს და საუბრობენ მათ შესახებ, ყვებიან მათი გმირების ისტორიებს, აღნიშნავენ, თუ რამ დააინტერესათ განსაკუთრებით და კიდევ რისი გამოსახვა შეიძლება ამ თემასთან დაკავშირებით. მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა გამოუვიდათ განსაკუთრებით კარგად და რისი დამატება იქნებოდა კარგი.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- ფანტაზიას და წარმოსახვის უნარს საყვარელი გმირის ფიგურის მოგონების და გამოსახვის დროს;
- პლასტილინისაგან ძერწვის ელემენტარულ უნარებს.

47. ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობები

მიზნები: მსჯელობისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ, განვავითაროთ მსჯელობის უნარი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ მათთვის სასურველი ღირსშესანიშნაობის გამოსახულებას პასტელის ტექნიკით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ქაღალდი, უბრალო ფანქარი, საშლელი, პასტელები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ, მათი აზრით, რა გაგვაჩნია საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მშვენიერი და ფასეული. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ ჩამოთვალონ სრულიად განსხვავებული მაგალითები, იქნება ეს, ვთქვათ, ძველი ტაძარი ან ციხე-კოშკი, ხატი ან ფრესკა, ქანდაკება ან ბუნების ლამაზი ხედი და სხვ. მოსწავლეები ჩამოთვლიან, თუ რა ღირსშესანიშნაობები უნახავთ, რის შესახებ გაუგიათ ან წაუკითხავთ, რა მიაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ და მნიშვნელოვნად. მოსწავლის პირადი აზრი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი უნდა იყოს: არ არის აუცილებელი, მის მიერ არჩეული ობიექტი საქვეყნოდ იყოს აღიარებული. მაგალითად, თუ მოსწავლეს მიაჩნია, რომ მისი სოფლის მახლობლად მოჩხრიალე წყარო, რომელიც, ლეგენდის თანახმად, თამარ მეფის სახელს უკავშირდება, ან ათასწლოვანი მუხა, რომელიც მის ქალაქში იზრდება, არის ღირსშესანიშნაობა, მის აზრს პატივი უნდა ვცეთ.

შინაარსის რეალიზების ფაზა

როდესაც მოსწავლეები აირჩევენ, რომელი ღირსშესანიშნაობის გამოსახვა სურთ, ისინი წარმოსახვით ასრულებენ ნამუშევრის მონახაზს გრაფიტის ფანქრით, შემდეგ კი აფერადებენ მას პასტელებით.

რეფლექსიის ფაზა

სამუშაოს დასრულების შემდეგ ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები ყვებიან იმაზე, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის სიუჟეტი, ვინ და რა გამოსახეს, რატომ მიაჩნიათ, რომ ის, რაც მათ გამოსახეს, ღირსშესანიშნავია. მოსწავლეები აგრეთვე საუბრობენ მეგობრების ნამუშევრებზეც, სვამენ კითხვებს, გამოთქვამენ

საკუთარ აზრს. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, რომ საუბარი მეგობრულ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში მიმდინარეობდეს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოავლენს იგი:

- სიუჟეტის შესაფერისად შერჩევის და კომპოზიციური გადაწყვეტის უნარს,
- პასტელის ტექნიკით მუშაობის უნარს (მარტივ დონეზე).

48. სილუეტური პორტრეტები

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს ტერმინი „სილუეტი“, პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ხელის მოტორიკა.

ამოცანები: მოსწავლეები ასრულებენ სილუეტურ პორტრეტებს პროფილური ფოტოების მეშვეობით.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა სილუეტების გამოსახულებით

მასალა მოსწავლეთათვის:

სახატავი ქაღალდი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი, პროფილური ფოტოპორტრეტი, მაკრატელი.

ტერმინები

სილუეტი

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ტერმინს „სილუეტი“ და აუხსნის, რომ ეს არის ერთი ფერის ბრტყელი გამოსახულება რომელიმე სხვა ფერის ფონზე. მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ასეთ ნამუშევრებში სულ ორი ფერი და კონტურული ნახატებია გამოყენებული, მაგრამ სილუეტური გამოსახულება მაინც შეიძლება ძალზე მეტყველი და გამომსახველი

იყოს. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიზუალურ მასალას სილუეტების გამოსახულებით. მოსწავლეები აქცევენ ყურადღებას გამოსახული ფიგურების სახის პროფილების სახასიათო ნიშნებს, პოზების და მოძრაობების თავისებურებებს.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები ასრულებენ სილუეტურ პორტრეტებს პროფილური ფოტოების მეშვეობით (იხ. ელექტრონული რესურსი. ღრუბლით ან დიდი ფუნჯით ასველებენ ფურცელს და ფარავენ მას ღია ფერის თხელი, კარგად გაზავებული გუაშის საღებავებით. შემდეგ მოსწავლეები გამოჭრიან პროფილურ პორტრეტებს, დადებენ მათ მომზადებულ ფონზე და ზემოდან შეღებავენ გუაშის შავი საღებავით ან ტუშით. შემდეგ ფოტოს აიღებენ და მის ადგილას დარჩება ღია ფერის სილუეტი შავ ფონზე.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები გამოფენენ დასრულებულ პორტრეტებს კლასში. ისინი ათვალიერებენ მეგობრების ნამუშევრებს და საუბრობენ იმაზე, იგრძნობა თუ არა მსგავსება სილუეტურ პორტრეტებში, რატომ არის, მათი აზრით, ისინი საინტერესო, კიდევ როგორი ხერხებით შეიძლება სილუეტების შექმნა (მაგალითად, შავი ქაღალდისაგან გამოჭრა) და ა.შ.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ავლენს იგი:

- ტერმინ „სილუეტის“ გაგებისა და სწორად ხმარების უნარს ;
- პორტრეტული სილუეტის შესრულების უნარს.

49. ხედი ჩემი ფანჯრიდან

მიზნები: პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვებულობა, კომპოზიციური უნარები და შერეული ტექნიკით მუშაობის უნარ-ჩვევები.

ამოცანები: მოსწავლეები შერეული ტექნიკით (ფერადი ფანქრებით და აპლიკაციით) ასრულებენ კომპოზიციას „ხედი ჩემი ფანჯრიდან“.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5.

მასალა მოსწავლეთათვის:

მუქი (ყავისფერი ან შავი) მუყაო, მაკრატელი, გრაფიტის ფანქარი, სახაზავი, წებო ან წებოს ფანქარი, ფერადი ფანქრები.

გაკვეთილის გეგმა

1. გამოწვევის ფაზა 10-12 წთ;
2. შინაარსის რეალიზების ფაზა 20-25 წთ;
3. რეფლექსიის ფაზა 8-10 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხედონ ფანჯრიდან და აღწერონ, რას ხედავენ: ქუჩას, პეიზაჟს, სკვერს, სკოლის ეზოს, სადაც ბავშვები თამაშობენ და ა.შ. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა აღწერონ, რა ფორმებს, ხაზებს და ფერებს ხედავენ (მაგ., სახლი მართკუთხა ფორმისაა, სახურავი წითელია და სამკუთხაა, მთები მწვანეა და ტალღოვანია, და ა.შ.). მასწავლებელი სთავაზობს მათ, დახატონ ის, რასაც ფანჯრიდან ხედავენ. ამავე დროს, მოსწავლეებს უფლება ეძლევათ, საკუთარი ფანტაზიით დაამატონ ან მოაკლონ კომპოზიციას რაიმე დეტალები: ადამიანის ფიგურა, ხე, ძაღლი, მაღაზიის აბრა და ა.შ.

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები გრაფიტის ფანქრით ხატავენ კომპოზიციას, შემდეგ კი აფერადებენ მას. როდესაც ნახატი მზად იქნება, მას დაადებენ მუყაოზე და გრაფიტის ფანქრით და სახაზავით აღნიშნავენ „ფანჯრის“ ზომებს, შემდეგ კი გამოჭრიან მას და დააწებებენ ნახატზე.

რეფლექსიის ფაზა

მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი და ბავშვები აკვირდებიან დეტალებს, საუბრობენ იმაზე, თუ რა არის ნახატებში საერთო და რა – განსხვავებული, იმაზე, თუ ვისთვის რა იყო მთავარი და საინტერესო ფანჯრიდან დანახულ სცენაში, რა მიზეზით დაამატეს ესა თუ ის დეტალი და ა.შ.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ავლენს იგი:

- დანახულ სცენასა და მის დეტალებზე დაკვირვების უნარს;
- პრაქტიკულ უნარებს (მარტივ დონეზე).

50. შემაჯამებელი გაკვეთილი

მიზნები: მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება.

ამოცანები: მოსწავლეები მონაწილეობენ ინტელექტუალურ თამაშში „მოძებნე ზედმეტი“ და აგრეთვე პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე ახდენენ ათვისებული უნარების დემონსტრირებას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა – რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები, სადაც ასახულია სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებები, პროექტორი.

გაკვეთილის გეგმა

1. შესავალი საუბარი 3 წთ;
2. საკონტროლო აქტივობა „უპასუხე შეკითხვებზე“ 10-12 წთ;
3. პრაქტიკული აქტივობა 15 წთ;
4. შედეგების ანალიზი 5 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები აღნიშნავენ, რომელი ახალი ტერმინები და ცნებები შეისწავლეს, რა ტექნიკებს გაეცნენ, რომელ ახალ უნარ-ჩვევებს დაეუფლნენ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რა შეიტყვეს ახალი (მაგალითად, მათ იციან და შეუძლიათ ახსნან, თუ რა არის მოზაიკა, პიქტოგრამა, სტატუეტი და სილუეტი, რა არის და რისთვისაა საჭირო ციხე-კოშკი, ისინი გაეცნენ ზოგიერთი უცხო ქვეყნის, მაგალითად, ეგვიპტის და იაპონიის კულტურული მემკვიდრეობის მაგალითებს, გაეცნენ ქართველი და უცხოელი მხატვრების ნაწარმოებებს, აგრეთვე ფლობენ ფერადი ფანქრებით, პასტელით, აკვარელის და გუაშის საღებავებით და პლასტილინით მუშაობის ძირითად (მარტივ) ხერხებს, შეუძლიათ შერეული მასალით მუშაობა, ფერადი ქაღალდის და სხვა შესაფერისი მასალის დაწებებით ბრტყელი ან მოცულობრივი ნამუშევრების შექმნა და არატრადიციული მასალების გამოყენება.

შინაარსის რეალიზების ფაზა

1. თამაში „მოძებნე ზედმეტი“. მასწავლებელი ჰყოფს კლასს ჯგუფებად და უჩვენებს რეპროდუქციებს, სადაც ასახულია ერთი ტიპის ნაწარმოებები ერთი გამონაკლისით: მაგ. რამდენიმე მრგვალი ქანდაკება და ერთი – რელიეფი, რამდენიმე მოზაიკა და ერთი ფერწერული ნამუშევარი და ა.შ. მასწავლებელი

თავად ირჩევს, რა შეკითხვები დაუსვას მოსწავლეებს, მაგრამ ისინი ამ წელს გავლილი მასალის სფეროდან უნდა შეირჩეს.

თამაშის წესები: ჯგუფები პასუხობენ ერთმანეთის მიყოლებით, ისინი თითო ქულას (ვარსკვლავს, გულს, ყვავილს) იღებენ სწორ პასუხში, თუ პასუხი არასწორია, შემდეგი ჯგუფი პასუხობს იმავე კითხვას. მასწავლებელი აქცევს ყურადღებას, რომ თამაშის წესები დაცული იყოს.

2. პრაქტიკული აქტივობა. პრაქტიკული უნარების დემონსტრირების მიზნით მოსწავლეები ასრულებენ მცირე მოცულობის პრაქტიკულ დავალებას, მაგ., კომპოზიციას სასურველი მასალით თავისუფალ თემაზე.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ ჩატარებულ თამაშზე და აფასებენ მიღებულ შედეგებს. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად გამოავლინეს მათ მიღებული ცოდნა და რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეს ცოდნა კიდევ უფრო გაღრმავდეს. ასევე საუბრობენ შესრულებულ ნამუშევრებზე. მასწავლებელი მიუთითებს, თუ რა მიღწევები გამოავლინეს მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების თვალსაზრისით და რისი დაუფლება იქნება კიდევ საჭირო. მასწავლებლის საუბარი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების მოტივაციას, იყოს დადებითი და პოზიტიური, მაგრამ ამავე დროს შეიცავდეს საქმიან რჩევებს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ:

- თამაშის მსვლელობის დროს გამოვლენილი ცოდნისა და უნარების მიხედვით;
- პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევების მიხედვით.

შეფასება

მოსწავლის შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

მოსწავლის აკადემიური მიღწევა ხშირად და მრავალმხრივად უნდა შეფასდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.

შეფასების სახეები

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ქულების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, სწავლობს მათ საჭიროებებს, რათა თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. ასეთ კონსტრუქციულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს არ აფერხებთ მარცხის/წარუმატებლობის შიში და ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ცოდნის დონის მიუხედავად, მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, ამდიდრებენ გამოცდილებას და იუმჯობესებენ უნარებს.

განმავითარებელი შეფასების პროცესში უნდა ჩაერთოს მასწავლებელიც და მოსწავლეებიც. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავადაც უნდა ცდილობდნენ, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამგვარ პროცესებში მოსწავლეების ჩართვა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარებს აყალიბებს და ზრდის მათ ქმედითუნარიანობასა და პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან

მიმართებით, რაც მას საშუალებას აძლევს, იგრძნოს წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები (მაგ. ათვისებულია/ფლობს, ათვისების/დაუფლების პროცესშია, ასათვისებელია/დასაუფლებელია). ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

შეფასება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

შეფასება სწავლების განუყოფელი ნაწილია და შემოწმების მთლიანი პროცესის შედეგს წარმოადგენს. შედეგზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების შესაბამისად, იგი უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლის მიერ გამოვლენილ სასწავლო შედეგებს, სადაც თეორიულ ცოდნასთან შედარებით („რა იცის მოსწავლემ") უპირატესობა ენიჭება პრაქტიკულ ცოდნას, ანუ უნარ-ჩვევებს („რა შეუძლია მისწავლეს").

სასწავლო შედეგები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში ფართო შესაძლებლობებს იძლევა საესესმენტო ინფორმაციის შეგროვებისათვის, რისთვისაც ამ დარგში მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები არსებობს. მაგალითად:

- პერიოდული საკლასო და სასკოლო გამოფენები,;
- პორტფოლიოები და პრაქტიკული სავარჯიშოების ალბომები;
- ნამუშევრები;
- მასწავლებლის წიგნაკი საინფორმაციო ჩანაწერებისათვის, სადაც ასახული იქნება ყოველი მოსწავლის მიერ განვლილი გზა;
- ტესტი. მას შეიძლება მრავალგვარი ფორმა ჰქონდეს: კითხვარი, დაუმთავრებელი წინადადებების დასრულება, კროსვორდი, ხელოვანის (ან ნამუშევრის, ეპოქის, სტილის, ქვეყნის) ამოცნობა და სხვ. (ამ ტიპის ტესტების ნიმუშები იხილე მოსწალის სახელმძღვანელოს დასკვნით ნაწილებში);
- კითხვარები;
- მსჯელობა საკუთარ და სხვათა ნამუშევრებზე;

- დისკუსია;
- პრეზენტაცია.

ეს ხერხები გვაძლევს საშუალებას შევაგროვოთ საკმარისი ინფორმაცია მოსწავლეთა შეფასებისათვის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში და, რაც მნიშვნელოვანია, შევაფასოთ არა მარტო ერთი კონკრეტული ნამუშევარი, არამედ ავსახოთ მოსწავლის შემოქმედებითი და გონებრივი ზრდის პროცესი, გამოვავლინოთ ის სფეროები, სადაც მოსწავლე წარმატებულია ან ნაკლებადაა წარმატებული და დავსახოთ ნაკლოვანებათა დაძლევის გზები.

მასწავლებელი აფასებს ბავშვებს დაკვირვების საფუძველზე, ინახავს მოკლე ჩანაწერებსა და ანოტირებული ნამუშევრების მაგალითებს.

რესურსები

კლარკი, ჯ. „ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია“,

ყიფშიძე, ა. „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი“, 1985.

ამირანაშვილი, შ. „ქართული ხელოვნების ისტორია“,

ბერიძე, ვ. „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“.

Joy Evans, Tanya Skelton. *How to Teach Art to Children*, *Grades 1-6* Teacher ed. Edition

Helen D. Hume, *The Art Teacher's Book of Lists,* Jossey-Bas, 2010

Dewey, John. ***How we think.*** Lexington, MA: D.C. Heath & Co., (1910).

Dewey, John, Dewey, Evelyn. *Schools of Tomorrow,* Dutton, 1962

Alan Crawford, Wendy Saul, Samuel Mathewsand Jim MaKinster, ***Teaching And Learning Strategies For The Thinking Classroom,*** *Publisher:* International Debate Education Association

Anderson, Lorin W. & David R. Krathwohl. A *Taxonomy for Learning, Teaching and Assessing*. Addison Wesley Longman, Inc., 2001.

Bean, J. *Engaging ideas: The Professor's Guide to Integrating Writing, Critical Thinking and Active Learning in the Classroom*. San Fracinsco: Jossey-Bass, 1996.

STEEL, J. L. The Reading and Writing for Critical Thinking Project: A Framework for School Change. In D. KLOOSTER, J. STEEL, & P. BLOEM (Eds.). Ideas Without Boundaries: International Reading Association. 2001.

Educational Reform through Reading, Writing and Critical Thinking. International Reading Association. 2001.

Bloom, Benjamin S. *Taxonomy of Educational Objectives. The Classification of Educational Goals. Handbook I: Cognitive domain.* 1. New York : David Mc Kay Company, Inc., 1956.

Braus, J. Wood, D. *Environmental education in the schools: creating a program that works!* [1994] North American Association for Environmental Education (USA)

კომენტარები II კლასის მასწავლებლის წიგნის ელექტრონულ რესურსზე

II კლასის ელექტრონულ რესურსში მოცემულია კომპიუტერული ფაილები იმ მხატვართა ნაწარმოებებით, რომლებიც მასწავლებლის წიგნშია ნახსენები და ვიზუალური ინსტრუქციები (ნაბიჯ-ნაბიჯ). მითითებულია აგრეთვე ვიდეოგაკვეთილების ელექტრონული მისამართები და იმ სასარგებლო საიტების მისამართები, რომლებზეც განთავსებულია მასალები გაკვეთილის დაგეგმვაზე, სახელოვნებო ლექსიკონები და ენციკლოპედიები, ხელოვანთა ბიოგრაფიები და ვიზუალური მასალა და სხვ.

მასწავლებელს შეუძლია ელექტრონული რესურსის მასალები გამოიყენოს საკუთარი საჭიროებისთვის, ან აჩვენოს მოცემული მასალები მოსწავლეებს პროექტორის ან ბუკის (საბავშვო ლეპტოპის) საშუალებით.

სასარგებლი ელექტრონული საიტების მისამართები:

http://www.artlex.com

http://www.artcyclopedia.com

http://www.artchive.com/ftp_site.htm

http://www.theteachersguide.com/Artlessonplans.html

http://www.metmuseum.org/

http://www.getty.edu/education/teachers/building_lessons/guide.html

http://www.drawingandpaintinglessons.com/

http://www.drawinghowtodraw.com/directoryhome.html

http://www.scholastic.com/teachers/collection/lesson-planning

http://resources.opened.io/plan-lessons/

ვიდეოგაკვეთილების ელექტრონული მისამართები:

https://www.youtube.com/watch?v=rCXgJzq-NxA&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=m1OPt40eKVI&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=09xupPMNY3g

https://www.youtube.com/watch?v=IGfTgRz79CE&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=p4Uz0wwCdqE&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=dnRFuxRI5Gw

https://www.youtube.com/watch?v=IQVkZDkgI3A

https://www.youtube.com/watch?v=MuUxqYs63Is

https://www.youtube.com/watch?v=MuUxqYs63Is

https://www.youtube.com/watch?v=vDnGuSivCQc

https://www.youtube.com/watch?v=SwETCuogDDc

ძირითადი ტერმინები:

ხელოვნების დარგები და სახეობები: სახვითი ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კინო, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, ქორეოგრაფია, არქიტექტურა.

სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების დარგები:

ფერწერა – დარგი, სადაც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება.

გრაფიკა – დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.)

ქანდაკება – სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების ძერწვისა და კვეთის ხელოვნება;

არქიტექტურა – მშენებლობის ხელოვნება

სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების ჟანრები:

პორტრეტი – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოისახულება.

პეიზაჟი (ანუ ლანდშაფტი) – სურათი, რომელზეც ბუნების ან ქალაქის ხედია გამოსახული.

ნატურმორტი – ფრანგ. „უსულო ბუნება', ანუ ნივთების გამომსახველი ჟანრი.

ყოფითი ჟანრი – ყოველდღიური ყოფის ამსახველი ჟანრი.

ისტორიული ჟანრი – ისტორიული პირებისა და მოვლენების ამსახველი ჟანრი.

რელიგიური ჟანრი – რელიგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

მითოლოგიური ჟანრი – მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

ანიმალისტური ჟანრი – ცხოველების ამსახველი ჟანრი.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ყველა დარგი, რომელიც ქმნის საყოფაცხორებო დანიშნულების ნაკეთობებს – ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, შრომის იარაღებს, ტანსაცმელს, სხვადასხვა სახის მოსართავებს და სხვ.

სახვითი ხელოვნების ძირითადი პრინციპები: მოძრაობა, წონასწორობა, რიტმი, კონტრასტი, ჰარმონია, ერთიანობა, მრავალფეროვნება, სიმეტრია/ასიმეტრია.

სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი, ფერი, ფორმა, მოცულობა, სივრცე, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა.

გამოსახვის საშუალებები: ხაზი, შტრიხი, ლაქა, მონასმი და სხვ.

დანართი
ხელოვნების ლექსიკონი

აბსტრაქციონიზმი (ლათ. „Abstractus" – განყენებული) - XXს. მხატვრული მიმდინარეობა, უსაგნო ხელოვნება, რომლის ნაწარმოებებზე არ გამოისახება რაიმე კონკრეტული ობიექტები (მაგ. ადამიანი, ხეები, სახლები და ა.შ.). აბსტრაქციონიზმი უარყოფს სამყაროსა და ადამიანის ზუსტად გამოსახვის პრინციპს – იგი არ გამოსახავს საგნებს ისე, როგორც ისინი სინამდვილეში წარმოგვიდგება და როგორც მათ თვალი ხედავს.

ავტოპორტრეტი – ხელოვანის მიერ შექმნილი თავისი გამოსახულება.

ათენა – ბერძნულ მითოლოგიაში: სამართლიანი ომისა და სიბრძნის ქალღმერთი.

აკროპოლისი - მაღლობზე აშენებული ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ალეგორია – გამოსახულება, რომელიც რაიმე სხვა, მნიშვნელოვან მოვლენას ან იდეას განასახიერებს.

ამფითეატრი – ძველ რომში: გლადიატორთა ბრძოლებისა და სხვა სანახაობე-ბისათვის განკუთვნილი ოვალური, გადაუხურავი შენობა.

ანტიკური ხელოვნება – ძვ. საბერძნეთისა და რომის ხელოვნება.

ანუბისი – ეგვიპტურ მითოლოგიაში: სულების მფარველი ღვთაება.

აპოლონი – ბერძნულ მითოლოგიაში: ხელოვნებისა და სინათლის ღმერთი.

არქიტექტურა – შენობის დაპროექტების და აგების ხელოვნება.

ახვლედიანი ელენე – XX ს-ის ქართველი მხატვარი.

აქსესუარი – დამატებითი ნივთი (მაგ., სამკაული, ჩანთა და ა.შ.).

ბაზილიკა – გრძელი მართკუთხა შენობა, რომლის შუა, ამაღლებული ნაწილი, ანუ ცენტრალური ნავი, სვეტების რიგით გამიოყოფა გვერდითი ნავებისაგან.

ბარბალე - ქრისტიანობამდელ საქართველოში - მზის ქალღმერთი,

ბაროკო (იტალ. „barocco" – „უცნაური") – XVI - XVIIსს-ში ევროპის რიგ ქვეყნებში გავრცელებული ეფექტური, დინამიკური და ემოციური სტილი.

ბოტიჩელი სანდრო – XV-XVIსს-ის იტალიელი მხატვარი.

ბრიგიდი - ძველი კელტების მითოლოგიაში დაბადების, შთაგონების და პოეზიის ქალღმერთი.

ბუშე ფრანსუა – XVIIIს-ის ფრანგი მხატვარი, როკოკოს წარმომადგენელი.

გაბაშვილი იოსებ – XX ს-ის ქართველი მხატვარი.

გამოყენებითი ქანდაკება - მცირე ზომის ქანდაკება, რომლითაც ნივთებს ამკობენ.

გამოყენებითი ხელოვნება – ხელოვნების დარგი, რომელიც მოიცავს ხელოვანთა მიერ შექმნილი ნივთების (ჭურჭლის, ავეჯის, ტანსაცმლის და სხვ.) მრავალგვარობას.

გერბი – განმასხვავებელი ნიშანი, ემბლემა.

გეგმა - არქიტექტურაში: ნახაზი, რომელიც ზედხედს ასახავს.

გობელენი – გლუვი ხალიჩა გამოსახულებებით.

გოცოლი ბენოცო — XVს-ის იტალიელი მხატვარი.

გრაგნილი - გრძელ, ვიწრო ფურცელზე შესრულებული ნაწერი ან ნახატი. გრავიურა – სურათი, რომელიც რაიმე ფირფიტაზე (მაგ., ხეზე ან ლითონზე) იკვეთება და შემდეგ იბეჭდება.

გრაფიკა – ხელოვნების დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.)

დავიდი ჟაკ ლუი – XVIII-XIXსს-ის ფრანგი მხატვარი, ნეოკლასიციზმის წარმომადგენელი.

დაზგური სურათი – სახატავ დაზგაზე, ანუ მოლბერტზე შექმნილი შედარებით მცირე ზომის სურათი, რომელიც, (მაგ., ფრესკისაგან ან მოზაიკისაგან განსხვავებით,) ნებისმიერ შენობაში შეიძლება გამოიფინოს.

დელაკრუა ეჟენ – XIX ს-ის ფრანგი მხატვარი, რომანტიზმის დამაარსებელი.

დეტალი – მთელის ნაწილი, ფრაგმენტი.

დივალი („სინათლის სხივები") - ინდური ახალი წელი.

დიზაინი – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგი, რომელიც ნივთიერი გარემოს მხატვრულ სახეს ქმნის.

დიონისე – ბერძნულ მითოლოგიაში მევენახეობისა და ღვინის ღმერთი.

დონჟონი - ციხე-დარბაზის მთავარი კოშკი.

დრაკონი - ზღაპრული მფრინავი და ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული, რომელიც ჩინურ მითოლოგიაში კეთილი ღვთაება იყო.

ესკიზი ანუ ჩანახატი – სწრაფი მოსამზადებელი ნახატი.

ესტამპი (ფრ. estampe) – გრაფიკული ნაწარმოები, ანაბეჭდი.

ექსპონატი - სამუზეუმო ნივთი.

ექსტერიერი - შენობის ხედი გარედან.

ვან გოგი ვინსენტ - XIX-XXსს. ჰოლანდიელი მხატვარი, პოსტიმპრესიონიზმის წარმომადგენელი.

ვან დეიკი ანტონის — XVIIს-ის ფლანდრიელი მხატვარი.

ვან დერ ნეერი არტ – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი, პეიზაჟისტი.

ვან ეიკი იან – XVს-ის ნიდერლანდელი მხატვარი

ვაზარელი ვიქტორ - XXს-ის საფრანგეთში მოღვაწე უნგრელი მხატვარი, ოპ-არტის დამაარსებელი.

ველასკესი დიეგო – XVIIს-ის ესპანელი მხატვარი.

ვიზაჟი (ფრანგ. visage –სახე) – იგივე მაკიაჟი, სახის მხატვრული გაფორმების ხელოვნება.

ვიტრაჟი –- ფანჯრის ჩარჩოში ჩასმული ფერადი მინის ნაჭრებისაგან შედგენილი სურათი.

ზევკსისი – ძვ. წ. V-IV სს. ბერძენი მხატვარი.

ზევსი – ელინთა მთავარი ღმერთი.

ზიკურათი – საფეხუროვანი საკულტო კოშკი შუამდინარეთში.

თავშეყრის წერტილი – წარმოსახვითი წერტილი ჰორიზონტის ხაზზე, სადაც პერალელური ხაზები თითქოს თავს იყრის.

ილუსტრაცია (ლათ. „illustratio") - ტექსტის დასურათება

იმპრესიონიზმი (ფრანგ. „Impression" – შთაბეჭდილება) - XIX ს. მეორე ნახ. მხატვრული მიმდინარეობა.

იმპრესიონისტები. – იმპრესიონიზმის მიმდევრები: ედუარდ მანე, ედგარ დეგა, კლოდ მონე, ოგიუსტ რენუარი, ბერტა მორიზო, ალფრედ სისლეი, კამილ პისარო, მერი კესეტი და სხვ.

ინტენსიური ფერები - მკვეთრი, კაშკაშა ფერები.

ინტერიერი - შენობის შიგა ნაწილი.

იშთარი – სიყვარულისა და ომის ქალღმერთი შუამდინარეთში.

კაკაბაძე დავით - XX. ქართველი მხატვარი.

კალდერი ალექსანდერ – XXს-ის ამერიკელი ხელოვანი, კინეტიკური ქანდაკების (მობილების) გამომგონებელი.

კალფი ვილემ – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი-ნატურმორტისტი.

კანდინსკი ვასილი – უმეტესად გერმანიაში მოღვაწე რუსი მხატვარი.(XXს.) აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი.

კანოპი – მუმიფიცირებული ორგანოების შესანახი ჭურჭელი ძველ ეგვიპტეში.

კაპელა – ევროპულ არქიტექტურაში: პატარა სამლოცველო.

კატაკომბები - მიწისქვეშა დერეფნები ძველ რომში, რომლებსაც პირველი ქრისტიანები თავყრილობებისთვის იყენებდნენ.

კარავაჯო – XVI - XVIIსს-თა მიჯნის იტალიელი მხატვარი.

კარაჩი ანიბალე – XVIს-ის ბოლოს იტალიელი მხატვარი.

კერამიკა - თიხის გამომწვარი ნაკეთობები.

კიბელე - ნაყოფიერების ქალღმერთი ძველ რომში.

კლასიციზმი – მხატვრული მიმდინარეობა XVIIს-ში, რომლის მიმდევრები იდეალად კლასიკურ ანტიკურ ხელოვნებას მიიჩნევდნენ.

კოლიზეუმი (კოლოსეუმი) – ახ. წელთ. Iს-ში აგებული უზარმაზარი ამფითეატრი რომში.

კოლორიტი (ლათ. color – ფერი, საღებავი) – ფერწერაში: ნაწარმოებში გამოყენებული ფერების, ელფერების ერთიანობა და ურთიერთშეხამება.

კოდექსი (ლათ. codex – წიგნი) – წიგნის ერთ-ერთი ფორმა: ერთმანეთზე დაწყობილი, შუაში გადაკეცილი და დამაგრებული ფურცლები.

კოლორიტი - მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებულ ფერთა ერთიანობა და შეხამება.

კომპოზიცია – ნაწარმოების სტრუქტურა, აგებულება, მისი ელემენტების განლაგება და ურთიერთკავშირი.

კონტური – საგნის მოხაზულობა.

კრომლეხი – ქვის კოჭებით შეერთებული სვეტებისაგან შედგენილი წრიული მეგალითური ნაგებობა.

კუბიზმი – მიმართულება XXს-ის ხელოვნებაში, რომელიც საგნებს გეომეტრი-ული ფორმების სახით გამოსახავს.

ლეონარდო და ვინჩი – აღორძინების ხანის (XV-XVIსს) ფლორენციელი ხელოვანი და მეცნიერი.

ლიხტენსტაინი როი – XXს-ის ამერიკელი მხატვარი, პოპ-არტის წარმომადგე-ნელი.

ლორენი კლოდ – XVIIს-ის ფრანგი მხატვარი, კლასიციზმის წარმომადგენელი, პეიზაჟისტი.

მაზაჩო ტომაზო – XVს-ის იტალიელი მხატვარი.

მანტენია ანდრეა – XVს-ის იტალიელი მხატვარი.

მარდუქი – ბაბილონელთა მთავარი ღმერთი.

მარინა – ზღვის პეიზაჟი.

მარიამ მაგდალინელი - ქრისტეს მიმდევარი, მენელსაცხებლე დედა

მატისი ანრი - XXს. ფრანგი მხატვარი, ფოვიზმის მამამთავარი.

მეგალითები (ბერძნ. megas დიდი და lithos ქვა.) – უზარმაზარი ქვებისაგან აღმართული უძველესი არქიტექტურული ძეგლები.

მედიჩის ოჯახი – აღორძინების ხანაში: ფლორენციის ფაქტობრივი მმართველები და ხელოვნების მფარველები.

მეორადი, ანუ შედგენილი ფერები: – მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი.

მეჩეთი – მაჰმადიანური ტაძარი

მონუმენტური ქანდაკება - დიდი ქანდაკება, რომელიც რაიმე მნიშვნელოვან იდეას გამოხატავს.

მინიატურა – სახვით ხელოვნებაში: პატარა სურათი.

მირო, ხუან – XX ს-ის ესპანელი მხატვარი, სიურეალიზმის წარმომადგენელი.

მიუზიკლი – თეატრალური ჟანრი, სადაც დიდ როლს ასრულებს მუსიკა, ცეკვა და სიმღერა.

მიქელანჯელო (მიქელანჯელო ბუონაროტი) – აღორძინების ხანის დიდი იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი და პოეტი.

მოგვები – ბიბლიის მიხედვით, აღმოსავლეთის ბრძენი მეფეები.

მოდელიერი – ხელოვანი, რომელიც ტანსაცმლის დიზაინს ქმნის.

მოზაიკა – მყარი მასალის ნატეხებისგან შედგენილი სურათი.

მონოგრამა – ასოებისგან შედგენილი ნიშანი.

მობილი, ანუ კინეტიკური ქანდაკება – ჩამოკიდებული და გაწონასწორებული მოძრავი ფორმებისაგან შემდგარი კონსტრუქცია.

მუზა – ბერძნულ მითოლოგიიაში: ხელოვნების მფარველი ღვთაება.

ნავრუზი – აღმოსავლური ახალი წელი.

ნატურმორტი – „უსულო ბუნება", ნივთების გამომსახველი ჟანრი.

ნიკე – გამარჯვების ქალღმერთი ძველ საბერძნეთში.

ნეოკლასიციზმი – XVIIIს-ის ბოლოს და XIXს-ის I ნახ. მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც ანტიკური და კლასიცისტური (XVIIს) ხელოვნების სტილს და იდეებს ეყრდნობა.

ოზირისი – ეგვიპტურ მითოლოგიაში: საიქიოს მბრძანებელი.

ოპ-არტი – „ოპტიკურიხელოვნება“, XX ს-ის მხატვრული მიმდინარეობა

ოპტიკური ილუზია - მხედველობითი შევდომა, „თვალის მოტყუება".

ორიგინალი (ლათ. Originalis) - ხელოვანის საკუთარი ხელით შესრულებული ნამუშევრის დედანი.

ორნამენტი - მხატვრული ან სკულპტურული სამკაული, რომელიც რაიმე გამოსახულების რიტმული გამეორებით იქმნება.

ორგანული ფორმები – არაგეომეტრიული, უსწორმასწორო, თავისუფალი ფორმები, ან ისეთი ფორმები, როგორიც ბუნებაში გვხვდება.

პაჟი – შუა საუკუნეებში: კეთილშობილი გვარის ყმაწვილი, რაინდის მხლებელი. პარაზიუსი - ძვ. წ. V-IV სს. ბერძენი მხატვარი.

პართენონი, „უფრთო ნიკეს" ტაძარი, ერეჰთეიონი – ათენის აკროპოლისზე აღმართული ტაძრები.

პაპირუსი – მცენარე, რომლისგანაც ეგვიპტელები საწერ ფურცლებს ამზადებდნენ.

პეიზაჟი, ანუ ლანდშაფტი – სურათი, რომელზეც ბუნების ან ქალაქის ხედია გამოსახული.

პერსპექტივა (ლათ. „perspicio" – „ნათლად ვხედავ") – სიბრტყეზე სიღრმისა და მოცულობის შთაბეჭდილების შექმნის წესები.

პიკასო პაბლო – XXს-ის საფრანგეთში მოღვაწე ესპანელი მხატვარი.

პირამიდა – ფარაონის აკლდამა ძველ ეგვიპტეში.

პირობითი მასშტაბი - მთავარი ფიგურების გამოყოფა დიდი ზომის მეშვეობით.

პოლოკი ჯექსონ - XXს. ამერიკელი მხატვარი-აბსტრაქციონისტი.

პოპ-არტი - „პოპულარული ხელოვნება". XXს-ის მხატვრული მიმდინარეობა.

პორტრეტი – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულება.

პროპორცია (ლათ. პროპორტიო) – ნაწილებს შორის თანაფარდობა.

პროფილი – გვერდიდან გადმოცემული გამოსახულება.

პოსტიმპრესიონიზმი - XIX ს-ის ბოლოს-XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული მიმდინარეობა.

პოლ სეზანი – XIX-XX სს-თა მიჯნის ფრანგი მხატვარი, პოსტიმპრესიონიზმის წარმომადგენელი.

პუსენი ნიკოლა – XVIIს-ის ფრანგი მხატვარი, კლასიციზმის წარმომადგენელი.

ჟანრი (ფრანგ. genre – გვარი) – ხელოვნების სახეობა. სახვით ხელოვნებაში ჟანრები იყოფა გამოსახვის საგნის მიხედვით (მაგ., ნატურმორტი, პეიზაჟი და ა.შ.).

რაილი ბრიდჯით – XX ს-ის ბრიტანელი მხატვარი, ოპ-არტის წარმომადგენელი.

რესტავრაცია - დაზიანებული ექსპონატების აღდგენა.

„რამაიანა" - ძველინდური პოემა

რანგოლი - ინდური საახალწლო ორნამენტები.

რაფაელი (რაფაელო სანტი) – XV-XVIსს.-ის იტალიელი მხატვარი.

რეა - ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების დედა, კრონოსის მეუღლე.

რეალისტური ხელოვნება – ნაწარმოებები, რომლებიც ასახავს სამყაროს და ადამიანს ბუნებრივად, სინამდვილის შესაბამისად, ისე, როგორც მას ადამიანი ხედავს.

რეკონსტრუქცია – სახვით ხელოვნებაში: ნაწარმოების პირვანდელი სახის გამოსახვა, აღდგენა.

რელიეფი - სიბრტყეზე გამოქანდაკებული გამოსახულება.

რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი.

რენესანსი (ფრანგ.) - აღორძინება, კულტურის აყვავების ხანა ევროპაში. ჩაისახა იტალიაში, შემდეგ გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში. ძირითადად მოიცავს XV-XVIსს-ებს.

რიტმი - ხელოვნებაში: რაიმე ელემენტის პერიოდული მონაცვლეობა.

როკოკო – XVIIIს-ის მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც მოხდენილი სტილითა და მხიარული ხასიათით გამოირჩეოდა.

რომანტიზმი – XVIIIს-ის ბოლოსა და XIXს-ის I ნახ. მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც ამაღლებული, ემოციური და მგზნებარე სულით ხასიათდებოდა.

რუბენსი პეტერ პაულ – XVIIს-ის ფლანდრიელი მხატვარი.

სატრიუმფო თაღი – გამარჯვების ზეიმისათვის (ტრიუმფისათვის) განკუთვნილი ნაგებობა.

სათოფური - ციხე-კოშკის კედელში დატანებული პატარა სარკმელი.

სარკოფაგი – ქვის ან ხის სამარხი.

სილუეტი – ფიგურის ან საგნის სიბრტყობრივი, ერთი ფერით შესრულებული გამოსახულება.

სიმბოლო – გამოსახულება ან საგანი, რომელიც პირობითად განასახიერებს რაიმე ცნებას ან მოვლენას (მაგ., თეთრი შროშანა სიწმინდის სიმბოლოდ ითვლებოდა, წითელი ვარდი – სიყვარულის სიმბოლოდ და ა.შ.)

სიუზერენი – შუა საუკუნეებში: სხვა რაინდებზე მაღალი მდგომარეობის მქონე პირი.

სიუჟეტი – მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ამბავი, შინაარსი.

სკრიპტორიუმი – წიგნის სახელოსნო შუა საუკუნეებში.

სკულპტურა (ლათ. „sculpto" – ვკვეთ) – ქანდაკება, სახვითი ხელოვნების დარგი.

სტატუეტი - პატარა ქანდაკება.

სურბარანი ფრანსისკო – XVIIს-ის ესპანელი მხატვარი.

„სფუმატო" – ფერწერაში: კონტურების შერბილება შუქ-ჩრდილით.

ტიბერიუსი - რომის იმპერატორი ახ. წ. I ს.

ტიციანი – XV-XVI სს. ვენეციელი მხატვარი.

ტოტემი –- ცხოველი, რომელიც ტომის წინაპრად მიაჩნდათ.

უკანა პლანი – სურათის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე შორს გვეჩვენება.

უორჰოლი ენდი – XXს-ის ამერიკელი მხატვარი, პოპ-არტის წარმომადგენელი.

უჩელო პაოლო – XVს-ის ფლორენციელი მხატვარი.

უშებტი – მსახურთა ამსახველი თოჯინები, რომლებსაც ეგვიპტელები სამარხებში აწყობდნენ.

ფასადი - შენობის ერთ-ერთი გარეთა მხარე.

ფაქტურა (ლათ. factura – დამუშავება) – ზედაპირთა თვისებების გადმოცემა. ფერწერა – ხელოვნების დარგი, სადაც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება.

ფიდიასი – ძვ წ.-ით Vს-ის ბერძენი მოქანდაკე.

ფოვიზმი (ფრანგ. "Fauve" - ველური) - XXს. მხატვრული მიმდინარეობა. ფრაგონარი ონორე – XVIIIს-ის ფრანგი მხატვრები, როკოკოს წარმომადგენელი.

ფრანჩესკა პიერო დელა – XVს**-ის იტალიელი მხატვარი.**

ქანდაკება – სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების კვეთისა და ძერწვის ხელოვნება.

შარავანდი(შარავანდედი) ანუ ნიმბი – წმინდანის თავზე გამოსახული ნათება.

შარდენი ჟან ბატისტ სიმეონ – XVIIIს-ის ფრანგი მხატვარი.

ცერერა – რომაულ მითოლოგიაში: ნაყოფიერების ქალღმერთი.

ძირითადი, ანუ პირველადი ფერები – წითელი, ყვითელი და ლურჯი.

წინა პლანი – სურათის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ახლოს გვეჩვენება.

ჭიქური – კრიალა ნივთიერება, რომლითაც ფარავენ თიხის ნაკეთობათა ზედაპირს.

ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია – შენობა, რომლის ოთხი მკლავი ჯვრის ფორმას ქმნის და გუმბათითაა გადახურული.

ჯონსი ჯასპერ – XX ს-ის ამერიკელი მხატვარი, პოპ-არტის წარმომადგენელი.

ჯორჯონე – XV-XVIსს-ის ვენეციელი მხატვარი.

ჯოტო დი ბონდონე – XIII-XIVს. იტალიელი მხატვარი, რომელმაც პირველმა დაიწყო ხატვა ახალი, რენესანსული მანერით.

ჰაეროვანი პერსპექტივა – ეს არის ჰაერის ზემოქმედება სხვადასხვა მანძილზე განლაგებულ საგანთა ფერზე და სიმკვეთრეზე.

ჰალსი, ფრანს – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი.

ჰიდრა – ბერძნულ მითოლოგიაში – ცხრათავიანი ურჩხული.

ჰედა ვილემ კლაას – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი-ნატურმორტისტი.

ჰერაკლე – ბერძნული მითების პერსონაჟი, სახელოვანი გმირი.

ჰერალდიკა — მეცნიერება გერბების შესახებ.

ჰეროლდი —- ჰერალდიკის სპეციალისტი.

ჰუმანისტები - აღორძინების ხანაში: მეცნიერები და ხელოვანები, კლასიკური ანტიკური კულტურის მცოდნენი.